პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№265 (12636) 11 ნოემბერი სამშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი


## სათასო ბატალიები

# ამერი გვიბრუნდება

## ვიტ ჯორჯია: გორის ნაცვლად მცხეთაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 11.11. ზესტაფონი ცენტრალური. 14:00 | 11.11. რუსთავი ფოლადი. 14:00 | 11.11. თბილისი მ. მესხი. 14:00 | 11.11. მცხეთა არმაზი. 14:00 |
| ზესტაფონი დინამო Live | ოლიმპი ამერი | ლოკომოტივი სიონი | ვიტ ჯორჯია მარტვილი |

პირველი მეოთხედფინალური მატჩების წინათქმა »»» 2

# ცხადაძე ბაქოს ტოვებს?



რატომ იკამათა ქართველმა მწვრთნელმა უკრაინელ კოლეგასთან?

»»» 4

## მერვე ქართველი დაღესტანში



»»» 3

ედიკ საჯაია



»»» 12

# გპირდებით!

## მინისტრი ვაშაძე სპორტულ სამყაროს შეხვდა

გუშინ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სპორტის დეპარტამენტში, დავით ნამგალაურთან ერთად, 40-მდე ფედერაციის ხელმძღვანელსა და პეკინის ოლიმპიადის მედალოსნებს შეხვდა. საპრესკონფერენციო დარბაზში გამართული შეხვედრა გაცნობითი ხასიათისა იყო, თუმც უმეტესი დრო მაინც პრობლემებზე საუბარს დაეთმო. მინისტრი სპორტულ სამყაროს პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა:

„ყველა გადაწყვეტილება ერთა_ უნდა მივიღოთ. ჩემი კაბინეტის კარი ფედერაციების წარმომადგენელთათვის ყოველთვის ღია იქნება. სჯობს, გულწრფელად გითხრათ, რომ ყველა პრობლემის გადაჭრას ვერ შეგპირდებით, მაგრამ ყველანაირად ვეცდები, რომ ძირითადი საკითხები დადებითად გადაიჭრას" - ბრძანა ვაშაძემ...

»» 13



# დავით ყიფიანის სახელობის თასი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები. წინათქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

11.11. ზესტაფონი ცენტრალური. 14:00
ზესტაფონი – დინამო Live
მთავარი მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია;
მეოთხე მსაჯი: ლ. კვარაცხელია

11.11. მცხეთა არმაზი. 14:00
ვიტ ჯორჯია – მარტვილი
მთავარი მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი
ასისტენტები: ზ. მენთეშაშვილი, დ. კურტანიძე;
მეოთხე მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი



11.11. რუსთავი ფოლადი. 14:00
ოლიმპი – ამერი
მთავარი მსაჯი: ა. კრიჭაშვილი
ასისტენტები: ზ. ჯვარიძე, ი. უკლება;
მეოთხე მსაჯი: ლ. სილაგავა

11.11. თბილისი მ. მესხი. 14:00
ლოკომოტივი – სიონი
მთავარი მსაჯი: ო. ხეცაძე
ასისტენტები: გ. ჩიგოგიძე, გ. ყრუაშვილი;
მეოთხე მსაჯი: მ. ურუშაძე

# ამერი გვიბრუნდება!



გიორგი ჩიხრაძე

...ალბათ, ბევრი გაგვინაწყენდება, ზოგისთვისაც საკამათო იქნება, მაგრამ საკუთარ აზრს ხმამაღლა დავაფიქსირებთ: ჩემპიონატის კალენდარს დახვეწა სჭირდება! რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება აგვისტოს ტრაგიკული მოვლენები, ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებაზეც ასახვა რომ პოვა; არც ის იყო პატარა ამბავი, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაზე „ამერის" უარმა რომ თერთმეტგუნდიანი ჩემპიონატი „დაგვიტოვა". ბევრს არც გათამაშების ფორმულა მოსწონს - სამწრიანი ჩემპიონატის დროს გუნდები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჩემპიონატის მატჩები, სანაკრებო პაუზები და თასის შეხვედრებიც - გამოდის, რომ ზოგიერთ გუნდს ყოველ მეოთხე დღეს უწევს თამაში. აი, ახლაც, ნოემბერში უმაღლესი ლიგის გუნდებმა ხუთი ტურის მატჩები უნდა ჩაატარონ; დავუმატოთ ამას თასის მეოთხედფინალები და აღმოჩნდება, რომ „ვიტ ჯორჯიას", „ზესტაფონს", „დინამოს", „ოლიმპს", „ლოკომოტივსა" და „სიონს" ამ თვეში... შვიდ-შვიდი მატჩი უგროვდებათ! ვერ გეტყვით, რამდენად გაუძლებენ ფეხბურთელები ასეთ არანორმალურ დატვირთვებს; თანაც, ნუ დაგვავიწყდება ჩვენი მოედნების მდგომარეობა ნოემბერში...

ასეა თუ ისე, საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატი „სრული სვლით" მიდის; არც სიურპრიზები აკლია და უკვე არაერთი ღირსშესანიშნავი მოვლენის მომსწრენიც შევიქენით. დღეს კი არანაკლებ პრინციპული და მნიშვნელოვანი მატჩებია: საქართველოს თასის პირველი მეოთხედფინალური შეხვედრები!

სათასო დაპირისპირებას, ყველგან და ყოველთვის, განსაკუთრებული ხიბლი აქვს: ფავორიტისა და აუტსაიდერის ცნება პირობითია! ანდა, „ზესტაფონი"-"დინამოსა" და „ლოკომოტივი"-"სიონის" წყვილში, როგორ შეიძლება, უპირატესობა რომელიმე გუნდს მივანიჭოთ? „ოლიმპისა" და „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელ-ფეხბურთელებიც ვერ იტყვიან, იოლად დასაძლევი მეტოქეები შეგვხვდაო: მარტვილის „მერანი" და თბილისის „ამერი" რანგით დაბალ ლიგაში კი გამოდიან, მაგრამ უბრძოლველად არაფერს დათმობენ.

ყველაზე დიდ ინტერესს, რაღა თქმა უნდა, მარადიული მეტოქეების, „ზესტაფონისა" და „დინამოს" დაპირისპირება იწვევს. შეგახსენებთ, რომ ამ ჩემპიონატში **თემურ მახარაძის** გუნდმა უკვე მოახერხა „დინამოს" დამარცხება; ამას გარდა, ჩვენ ყველაზე ტიტულოვან გუნდს თავის პრინციპულ მეტოქესთან „სხვა ანგარიშებიც" აქვს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „დინამოს" არასდროს დაუძლევია „ზესტაფონის" სათასო ბარიერი! პირველად ეს გუნდები ერთმანეთს 2004-05 წლების სეზონში შეხვდნენ, როცა კენჭისყრამ მერვედფინალში დააწყვილა. პირველი შეხვედრა თბილისში გაიმართა და მასპინძელთა მინიმალური გამარჯვებით დასრულდა - 2:1. „დინამოდან" ბურთები **ლევან მელქაძემ** და **დავით ჭიჭველიშვილმა** გაიტანეს, სტუმართაგან კი - **დიმიტრი პარამონოვმა**. განმეორებით შეხვედრაში ყველაფერი **ზურაბ იონანიძის** ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა და „ზესტაფონიც" მეოთხედფინალში გავიდა. აღსანიშნავია, რომ იმ დაპირისპირებებიდან „დინამოში" **დავით ოდიკაძელა** შემორჩა, „ზესტაფონში" კი ზემოთ ნახსენები იონანიძის გარდა, დღესაც თამაშობენ **შალვა ლონლაძე, სევასტი თოდუა** და **ბექა გოცირიძე**. მწვრთნელზე, ალბათ, აღარც ღირს ყურადღების გამახვილება: თემურ მახარაძის გაწვრთნილ გუნდებს... „დინამოსთან" შეხვედრებში, უფრო ხშირად დადებითი შედეგი ჰქონდათ. განსაკუთრებით კი ეს სათასო პაექრობებს ეხება.

ერთი წლის მერე „ზესტაფონი" და „დინამო" მეოთხედფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პირველ შეხვედრაში თავი ისევ ზურაბ იონანიძემ გამოიჩინა, ვისი გოლიც ერთადერთი აღმოჩნდა. განმეორებითი მატჩი ნულოვანი ფრით დასრულდა და ნახევარფინალშიც „ზესტაფონი" გავიდა. თუმცა, იმ შეხვედრას უსკანდალოდ არ ჩაუვლია: მეორე ტაიმში **სანდრო იაშვილის** გოლი არბიტრს რომ ჩაეთვალა, არავინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა...

და აი, წელს, საქართველოს თასის წინა გათამაშებაში, „ზესტაფონი" და „დინამო" უკვე ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. მოკლედ, ისეთი ტენდენციაა, რომ წესითა და რიგით, წლევანდელ თასის გათამაშებაში ძველი მეტოქეები... ფინალში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ კენჭისყრამ ისევ ადრეულ ეტაპზე დააწყვილა. არც ვიცით, ღირს თუ არა 2007-08 წლების სეზონის თასის ნახევარფინალების გახსენება. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი თბილისში ფრედ (1:1) დასრულდა: მეორე ტაიმში ანგარიში ბექა გოცირიძემ გახსნა, მერე „დინამოს" **მილოშ კრშკო** გაუძევს, მაგრამ მასპინძლებმა **მათე ვაწაძის** გოლით მაინც შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. განმეორებითი



თემურ მახარაძე

მატჩი 7 მაისს იყო დანიშნული, ოთხი დღით ადრე კი „ზესტაფონი"-"დინამოს" კალენდარული შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო. ალბათ, ყველას კარგად ახსოვს, რა და როგორ მოხდა: „დინამომ" 3 მაისს გაიმარჯვა და ჩემპიონობაც... ზესტაფონში იზეიმა! სამაგიეროდ, ოთხი დღის მერე **როინ ონიანის** ერთადერთი გოლით „ზესტაფონმა" უმოტივაციო (!) მეტოქე დაამარცხა და ფინალშიც გააღწია. და კიდევ ერთი ინტრიგაც: ამ წყვილში ერთმანეთს მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი ხვდებიან! მოკლედ, სუპერთასის (ისევ ზამთარში რომ უნდა გაიმართოს) მშვენიერი რეპეტიციაა...

არანაკლებ ინტერესს იწვევს ორი ამბიციური გუნდის - „ლოკომოტივისა" და „სიონის" დაპირისპირებაც. **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდმა მშვენიერი სტარტი აიღო და დამსახურებულადაც ლიდერობდა გათამაშების ცხრილს; თუმცა, ბოლოს ზედიზედ ორი საშინაო მარცხი განიცადა და ამათგან ერთ-ერთი „სიონთან" იყო. ბოლნისური კლუბი ამჯერად აშკარად აღმავლობის გზაზეა და დარწმუნებული ვართ, რომ **ოთარ კორღალიძის** შეგირდებს რეალურად ხელეწიფებათ ორივე ფრონტზე ბრძოლა. ისე, შესაძლოა, ვინმემ არც დაიჯეროს, მაგრამ საქართველოს თასის 18-წლიან ისტორიაში, „სიონი" და „ლოკომოტივი" ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან.

ისე როგორც, პირველად უნდა შეხვდნენ ერთმანეთს „ოლიმპი" და „ამერი"; სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, საქართველოს თასის ორგზის მფლობელი „ამერი" ამჯერად პირველ ლიგაში ასპარეზობს. შემადგენლობაც გვარიანად გადახალისებულ-გაახალგაზრდავებული ჰყავს, თუმცა, რაც მთავარია, გუნდში დარჩა **გიორგი ჩიხრაძე**! ჰო, საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელს ყოველთვის ამბიციური მიზნები ჰქონდა და ამ სეზონშიც უმთავრესი, რაღა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ამერი" უბრძოლველად დაუთმობს ნახევარფინალის საგზურს მეტოქეს. ასე რომ არ იქნება, კარგად იცის **ვარლამ კილასონიამ** - „ოლიმპის" ახალი თავკაცის ხელში გუნდმა, როგორც იქნა, დანავსული სერია შეწყვიტა. „სიონის" არ იყოს, „ოლიმპსაც" ისეთი სოლიდური შემადგენლობა ჰყავს, თასზე და ჩემპიონატზეც ერთნაირი წარმატებით რომ შეუძლია ასპარეზობა.

დაბოლოს, გვრჩება კიდევ ერთი წყვილი: „მერანი"-"ვიტ ჯორჯია". მარტვილელებმა უკვე მოახდინეს სენსაცია, მეოთხედფინალში რომ გააღწიეს. აღსანიშნავია, რომ ეს ბევრისთვის „უცნობი" გუნდი პირველ ლიგაში თავისი ზონის ერთ-ერთი ლიდერია და უმაღლესში აღზევებასაც ლამობს. სხვათა შორის, გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც თამაშობს: **ირაკლი ვაშაკიძე, დავით გოგოლაძე, ბესიკ კოდალაევი**...

რაც შეეხება „ვიტ ჯორჯიას", ალბათ, უკვე დროა, რომ „ვეტერინარებმა" თასზეც მიაღწიონ წარმატებას. ეგაც რომ არ იყოს, **რამაზ მუმლაძის** გუნდი ამ სეზონში იმდენად შთამბეჭდავად ასპარეზობს, უტიტულოდ დარჩენა, მართლაც, უსამართლობა იქნება...

**გია ტუხაშვილი**

---

**მსაჯის** შეურაცხყოფა, მუქარა, ხელის გარტყმა და აბუჩად აგდება - რა აღარ უნახავს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს. აგრესია მოდის ფეხბურთელისგან, მწვრთნელისგან, კლუბის მესვეურისგან და გულშემატკივრისგან... მსაჯობა ძნელია მოედანზეც და მის მიღმაც. აგრესია ცუდია, მაგრამ საიდან მოდის ის, რატომ ხდება ასე, რატომ ჭირს ბრძოლა აგრესიის წინააღმდეგ - ეს ისეთი საკითხებია, მხოლოდ საფეხბურთო სამყარო ვერ მოაგვარებს, მაგრამ რაღაცის შეცვლა აქვე, ფეხბურთის შიგნითაც შეიძლება...

რეპლიკის მაგიერ...

# ახია თქვენზე!

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **მერაბ ჟორდანია** გახლდათ, გამკაცრდა სასჯელი მსაჯის მაგინებელ-გამლახავებისთვის და შესაბამისად, იკლო აგრესიამ. დრომ ტენდენციაც შეცვალა, მსაჯის შეურაცხყოფა ხახვივით აღარ შერჩენიათ უგუნურთ და ყოველივე ეს ისეთი მოდური და „ვაჟკაცური" საქციელიც აღარ იყო, როგორიც მანამდე. იქითა მხარე თავის საქციელს ასე ამართლებდა - თითქმის ყველა მსაჯი კორუმპირებულია და მაგათ კიდევ გამოსარჩლება უნდათო?

ეროვნულ ჩემპიონატში ათას მაიმუნობაში გასვრილი მსაჯები მართლაც იყვნენ, ალბათ, ახლაც არ არის კორუფცია ბოლომდე დამარცხებული, მაგრამ ისიც ხომ ხდებოდა, რომ კლუბი კლუბს ურიგდებოდა, ფეხბურთელი ფეხბურთელს და რით იყვნენ ისინი მსაჯებზე უკეთესები? უბრალოდ, ჩამოყალიბდა თავისებური კლიშე, რომ სიბინძურე მწვრთნელს, ფეხბურთელსა და კლუბის პრეზიდენტს, ასე თუ ისე, ეპატიება, მსაჯების მიმართ ტოლერანტობა კი სისუსტის გამოვლენაა და მეტი არაფერი...

ახლა კიდევ უფრო გამკაცრებულია ბრძოლა მსაჯთა მაგინებლებისა თუ გამლახავების მიმართ, მაგრამ რატომ არ არიან მკაცრები თავად მსაჯები ასეთი ფეხბურთელების, მწვრთნელებისა თუ კლუბის მესვეურებისადმი? ბევრჯერ მომხდარა - ფეხბურთელს მსაჯისთვის „შე ჩემათი" რომ მიუმართავს და ეს ყურიდან ყურში გაუტარებიათ, წაყრუება ხდება უფრო უხამს სიტყვებზეც და ცხადია, ჩნდება კითხვა - რისი ეშინიათ მსაჯებს? შიში ყველა ნორმალურ ადამიანს აქვს და ამაში დასაძრახი არაფერია, მთავარია, სძლიო მას, მაგრამ ეს შიში ხომ რეალური უნდა იყოს. მსაჯს აქვს უფლება, მხოლოდ გინებისთვის კი არა, ხმამაღალი სიტყვისთვისაც კი უჩვენოს ფეხბურთელს ყვითელი ან წითელი ბარათი. ქართველი მსაჯები ხან არიან მკაცრები, ხან - არა, ხან იყენებენ ამ უფლებას და ხან - არა. დებულებით ყველაფრის გამართლება შეიძლება, მაგრამ მთავარი, ალბათ, ის არის, რომ მსაჯს თამაშის სადავეები ხელიდან არ გაექცეს, არ დაემართოს ის, რაც **ვალენტინ ივანოვს** 2006 წლის მუნდიალის მერვედფინალში (პორტუგალია-ჰოლანდია), როცა რუსმა არბიტრმა 12 ფეხბურთელი გააფრთხილა და 4 გააძევა...

ახლახან, ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში, ასეთი რამ მოხდა: „გაგრა"-"მესხეთის" მატჩის დროს, როცა **გიორგი გაბედავას** ჰეთ-თრიკის შემდეგ ანგარიში 3:1 გახდა, გაგრელთა მეკარე **რევაზ თევდორაძე** სათადარიგო მსაჯ **ირაკლი ურუშაძეს** მიეჭრა და ნიშნის მოგებით დაუღრიალა. ამ ინციდენტის შემდეგ ურუშაძემ მატჩის არბიტრ **მალხაზ ბეუქლიშვილს** დაუძახა და მომხდართან დაკავშირებით საქმის კურსში ჩააყენა. ბეუქლიშვილმა კი თევდორაძისთვის სიტყვიერი გაფრთხილებაც არ ჩათვალა საჭიროდ. კოლეგიალობა და პრინციპულობა - ვერც ერთი ვნახეთ და ვერც მეორე.

ჰოდა, არ უნდა ეწყინოთ მსაჯებს, თუ კიდევ ვინმე წამოაჯდებათ თავზე - ახია და იმიტომ!

**დავით თავართქილაძე**



ვალენტინ ივანოვი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ კახა კალაძესთან

# არიან ფეხბურთელები, რომლებიც კუპერს არ უნახავს...



სერია A-ს ბოლო უქმეებმა კახა კალაძის გარეშე ჩაიარა. „ლეჩესთან" ის განაცხადში იყო. ცნობილია ისიც, რომ ექტორ კუპერმა ნაკრების კაპიტანი რუმინეთთან მატჩისთვის გამოძახებულთა სიაში არ შეიყვანა. როგორც იქნა, გუშინ კალაძესთან დაკავშირება მოვახერხეთ და ამ ამბებზე გავესაუბრეთ...

**- კახა, „ლეჩესთან" მატჩში სათადარიგოთა შორის კი იყავით, მაგრამ მოედანზე არ გასულხართ. არ დასჭირდით გუნდს თუ ტრავმა ჯერ კიდევ ბოლომდე არ მოგიშუშებიათ?**

- სულ ოთხი დღეა, რაც სრული დატვირთვით ვვარჯიშობ, თუმცა ფეხი მაინც მაწუხებს. ჯერ კიდევ არ ვარ მწყობრში, მაგრამ ანჩელოტიმ სათადარიგოთა შორის მაინც შემიყვანა. თუ აუცილებლობა იქნებოდა, რამდენიმე წუთს როგორმე ვითამაშებდი.

**- „ლეჩესთან" ფრით უკმაყოფილო იქნებით...**

- ცხადია, „ლეჩე" იმ დონის გუნდი ნამდვილად არ არის, რომ 3 ქულა ვერ აგველო. რონალდინიოს გოლით თამაშს კი ვიგებდით, მაგრამ მატჩის მიწურულს დასანანი ბურთი გავუშვით და ფრეს დავჯერდით. ეს ფრე ჩვენთვის ნამდვილად დანაკარგია.

**- ამ დანაკარგით „ინტერმა" ისარგებლა და პირველი ადგილის დათმობამაც მოგიწიათ...**

- სამწუხაროდ... „ნაპოლიმაც" მოიგო და ქულებით გაგვითანაბრდა. თუმცა ჯერ მხოლოდ 11 ტურია ჩატარებული, ჩემპიონატის დიდი კიდევ წინაა. ჩვენ სკუდეტოსთვის ვიბრძვით და ამ ბრძოლაში გამარჯვებულები უნდა გამოვიდეთ - ეს არის სეზონის უმთავრესი ამოცანა. ჩვენ გარდა, ოთხ-ხუთ გუნდს აქვს ჩემპიონობის შანსი, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ფინიშის ხაზი პირველებმა ჩვენ გადავკვეთოთ.

**- ჩემპიონატისგან განსხვავებით, უეფას თასზე უდანაკარგოდ თამაშობთ...**

- ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ - სკუდეტოსთან ერთად ჩვენი სამიზნე უეფას თასიცაა. ჯერ „ჰეერენვეენს" მოვუგეთ, მერე კი „ბრაგას" და ახლა 6 ქულა გვაქვს. ასე რომ, ჯგუფიდან გასვლის საკითხი თითქმის გადავწყვიტეთ. ახლა „პორტსმუთთან" სტუმრად გვიწევს თამაში და ვნახოთ... ვეცდებით, ეს შეხვედრაც მოვიგოთ და მერე ნამდვილად თავი ქუდში გვექნება.

**- ზემოთ მითხარით, ტრავმა კვლავ მაწუხებსო. სრულად გამოჯანმრთელებისთვის რა პერიოდი გჭირდებათ?**

- ალბათ, ორი კვირა საკმარისი იქნება...

**...და ნაკრებსაც ამის გამო გამოაკლდით...**

- ფეხბურთის ფედერაციიდან დამიკავშირდნენ და ჯანმრთელობის ამბავი მკითხეს. რა თქმა უნდა, ვუთხარი, რომ ტრავმა კვლავაც მაწუხებდა და რუმინეთში თამაშს ვერ შევძლებდი.

**- რუმინეთთან მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებულთა შემადგენლობას თუ გაეცანი და რისი თქმა შეგიძლია?**

- ვნახე სია. კიდევ არიან ფეხბურთელები, რომლებიც კუპერს არ უნახავს. თუნდაც ილია კანდელაკი, ოთარ მარცვალაძე... კარგია, რომ მალხაზ ასათიანი კვლავ ნაკრებშია. რაკი მატჩი ამხანაგურია, მწვრთნელს სურს, ყველა იმ მოთამაშეს დააკვირდეს, ვისაც მის ხელში აქამდე არ უთამაშია. აშკარაა, კუპერი შანსს ყველას აძლევს. თუ როგორ გამოიყენებენ ფეხბურთელები ამ შესაძლებლობას, ეს უკვე თავად მათზეა დამოკიდებული.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

# მნიშვნელოვანია, როცა ფეხბურთელს ასე ეპყრობიან...

## ნაკრებში არგამოძახებული იაშვილი მაინც კმაყოფილია

შაბათს „კარლსრუემ" „ლევერკუზენს" ისეთი თამაში „ამოუქაჩა", გერმანულ ფეხბურთშიც რომ იშვიათად ხდება. როგორი საქმეა, ბუნდესლიგის ერთ-ერთ მოწინავე გუნდთან (ამ ტურის შემდეგ უკვე ლიდერთან) 0:3-ს აგებდე და მატჩი 3:3 დაასრულო? როგორც იცით, კარლსრუელთაგან მესამე გოლი გაიტანა ალექსანდრე იაშვილმა, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით და იქაური ამბების გარდა, რუმინეთთან მატჩისთვის არგამოძახებაზეც ვკითხეთ...

**- „ლევერკუზენს" თავურით გაუტანე. თუ გახსოვს, ბოლოს როდის შეაგდე გოლი თავით?**

- ხუთი წლის წინ, როცა „ფრაიბურგში" ვთამაშობდი. „ვოლფსბურგს" სამი გოლი შევუგდე და ამათგან, ერთი - თავით. სულ ბუნდესლიგაში თავურით ოთხი გოლი მაქვს გატანილი.

**- ალბათ, „ლევერკუზენთანაც" მარცხენაფლანგელი იყავი, გერმანიის ნაკრების მეკარე რენე ადლერს გოლიც მარცხნიდან გაუტანე. „კარლსრუეში" სულ ამ პოზიციაზე უნდა ითამაშო?**

- რა გაეწყობა, ასეთია მწვრთნელის გადაწყვეტილება. ვითომ, უფრო შეტევა მევალება მარცხენა ფლანგზე, მაგრამ მაინც შორს ვარ მეტოქის კარიდან და ასეთ დროს რთულია გოლის გატანა.

**- რთულია სამი ბურთის „ამოქაჩვაც". ყველაზე მეტად რის ხარჯზე მოახერხა ეს „კარლსრუემ"?**

- „ლევერკუზენამდე" ზედიზედ 5 მატჩი გვქონდა წაგებული და ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთ დამძიმებულ ვითარებას 0:3 რომ დაემატა, რა დღეში ვიქნებოდით? მაგრამ „კარლსრუემ", ერთი შეხედვით, გაუსაძლის მდგომარეობას მაინც დააღწია თავი. პირველ ტაიმის ბოლოს ერთი გოლის გაქვითვა რომ მოვახერხეთ, ამან იმედი მოგვცა და ძალზე მნიშვნელოვანი გამოდგა თამაშის შემოსაბრუნებლად. მეორე ტაიმში შეტევაში ძალიან აქტიურები ვიყავით, ჩემს კარიერაში აქამდე არ მომხდარა, რომ სამი ბურთი „ამოგვექაჩოს".

**- წინა სეზონში „კარლსრუე" მაჩანჩალა არ ყოფილა, ახლა კი მე-15 ადგილზეა, გასავარდნ ზონასთან ერთი საფეხური აშორებს. რატომ შეიცვალა ასე უცბად სიტუაცია?**

- ოქტომბრის შუა რიცხვებში, ნაკრების თამაშებით გამოწვეული ორკვირიანი პაუზის შემდეგ, ზედიზედ ხუთი თამაში წავაგეთ, აქედან, ორზე არაფერს ვიტყვი, დანარჩენი კი მართლა არ უნდა წაგვეგო - „ბაიერნთან" გოლი 89-ე წუთზე გავუშვით, „აინტრახტთან" 83-ე წუთზე გავიტანეთ, მაგრამ 1:2 დავმარცხდით, „გლადბახთან" კი 5:0 უნდა მოგვეგო, მაგრამ 0:1 წავაგეთ - სწორედ ამის გამო აღმოვჩნდით ასეთ მდგომარეობაში. ეს ფეხბურთია და ყველაფერი ხდება, მაგრამ მაინც ზოგადი ლაპარაკია - თუ დავაკვირდებით, ასე იმიტომ დაგვემართა, რომ ერთ შეცდომასაც კი არავინ გვპატიობს.

**- გერმანულმა პრესამ „ლევერკუზენთან" შენი გარჯა საკმაოდ მაღალი ქულით შეაფასა. გოლის გარდა, კიდევ რითი იყავი გამორჩეული?**

- გოლამდე უკეთესი მომენტი მქონდა, მაგრამ ფეხით ვერ მოვახერხე ბურთის კარში გადაგზავნა. გოლს რომ თავი დავანებოთ, თამაშშიც აქტიურად ჩავერთე და ვფიქრობ, ეს ცუდად არ გამომსვლია.

**- ბევრს ეგონა, „ბაიერნმა" სეზონი ცუდად რომ დაიწყო, ჩემპიონობის უპირობო ფავორიტი ველარ იქნებაო, თუმც ამ ტურში ლევან კობიაშვილის „შალკე" სტუმრად დაამარცხა და, ალბათ, ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. მიგაჩნია, რომ „ბაიერნია" ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი?**

- რა თქმა უნდა, „ბაიერნი" სულ სხვაა. ისე, იურგენ კლინსმანის გუნდთან 3:0 უნდა მოგვეგო, მაგრამ... რაც შეეხება „შალკეს", გელზენკირხენელებმა 13 კუთხური მოაწოდეს, „ბაიერნმა" კი მხოლოდ ერთი და მაინც გაიმარჯვა. მაშინაც კი, როცა „ბაიერნს" თამაში არ გამოსდის, მისი ფეხბურთელები მაინც დარწმუნებულები არიან, რომ წარმატებას მიაღწევენ - ასეთი მენტალიტეტი აქვთ.

**- 19 ნოემბერს საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩში რუმინეთს გაეჯიბრება, ალექსანდრე იაშვილი კი ამ მატჩისთვის არ არის გამოძახებული...**

- სანამ სია გამოქვეყნდებოდა, დამირეკეს და მითხრეს, რომ ამ შეხვედრაში სხვა მოთამაშეების გამოცდას აპირებდნენ. ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ფეხბურთელს ასე ეპყრობიან. მოკლედ, უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს. 19 ნოემბრიდან რამდენიმე დღეში ბუნდესლიგის ტურია და „ვოლფსბურგს" ვხვდებით. ამ მატჩისთვის კარგად ვიქნები მომზადებული.

**- ბულგარეთთან კარგად ითამაშე, თუმც ექტორ კუპერმა მაინც შეგცვალა და პრესკონფერენციაზე განაცხადა, გიორგი მერებაშვილის სახით დასვენებული ფეხბურთელი შემოვიყვანეო. მართლა ისე დაიღალე, რომ შესაცვლელი გახდი?**

- დაღლილი ნამდვილად არ ვყოფილვარ, მაგრამ ახლა ამას აღარ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა... მერებაშვილს ის საგოლე მომენტი რომ გამოეყენებინა, ყველა ხომ იმას იტყოდა, მწვრთნელმა რა მაგარი შეცვლა გააკეთაო...

**დავით თავართქილაძე**

U 19 ევროპის ჩემპიონატი

საკვალიფიკაციო ეტაპის წინ

# სვანაძე მხოლოდ ერთი დებიუტანტით

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება. **ზაურ სვანაძის** გუნდი ჯგუფური ეტაპის სასტარტო მატჩს 22 ნოემბერს გამართავს. შეგახსენებთ, რომ ამ სტადიას კვიპროსი მასპინძლობს. კუნძულელთა გარდა, ჩვენი მეტოქეები ჩეხეთისა და დანიის ნაკრებები იქნებიან.

სვანაძის რაზმი კვიპროსზე ხვალ გაემგზავრება. 19-წლამდელთა თავკაცმა გუშინ იმ 18 ფეხბურთელის ვინაობა გაამხილა, რომლებიც ელიტრაუნდში მოხვედრისთვის იბრძოლებენ. ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები - **გიორგი მაკარიძე** (დინამო), **ამირან კოტრიკაძე** (გაგრა);

მცველები - **დათა რიგვავა** (ანორთოსისი, კვიპროსი), **ლევან კაკუბავა, გიორგი გეთიაშვილი, გიორგი კაჭკაჭიშვილი** (ყველა დინამო), **გიორგი სარაჯიშვილი** (ოლიმპი), **ილია გამრეკლიძე** (ვიტ ჯორჯია);

ნახევარმცველები - **გიორგი სალარიძე** (რიმინი, იტალია), **ირაკლი კვეკვესკირი** (დინამო მოსკოვი, რუსეთი), **თემურ შონია, თორნიკე თარხნიშვილი** (ორივე სპარტაკი), **ნიკოლოზ ჯიშკარიანი** (დინამო), **ირაკლი ხუციძე** (ამერი);

თავდამსხმელები - **ირაკლი შეყილაძე** (ემპოლი, იტალია), **ზაქარია ბეგლარიშვილი** (აიაქსი, ჰოლანდია), **ზვიად ქანთარია** (დინამო), **მიხეილ ხოკერაშვილი** (გაგრა).

როგორც ხედავთ, სვანაძის სიაში ერთი ახალი ფეხბურთელია - **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისის" სარეზერვო გუნდში მოასპარეზე **დათა რიგვავა**, რომლის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. გარდა ამისა, 19-წლამდელთა შორის ის ფეხბურთელებიც არიან, რომლებსაც სხვა ასაკობრივ ნაკრებებშიც აქვთ ნათამაშები. კერძოდ, გუნდში მოხვდნენ **ზაქარია ბეგლარიშვილი** და **თემურ შონია**, რომლებმაც უკვე ახალგაზრდული ნაკრებიც მოსინჯეს. აქ არის 17-წლამდელთა ნაკრების ბომბარდირი **ირაკლი შეყილაძეც**.

კვიპროსამდე, ჭაბუკთა ნაკრები ხვალ იტალიაში ჩავა. ჩვენები პიზასთან ახლოს, საკურორტო ქალაქ მონტე კანტინიში დაბინავდებიან, სადაც ერთი კვირის განმავლობაში მოემზადებიან. ამას გარდა, იტალიაში 19-წლამდელები ორ ამხანაგურ შეხვედრასაც გამართავენ - 13 ნოემბერს ტოსკანის ახალგაზრდულ რეგიონულ ნაკრებს გაეჯიბრებიან, 17-ში კი „ემპოლის" დუბლებს. 19 ნოემბერს ჩვენები იტალიიდან კვიპროსზე ჩაფრინდებიან და 22-ში საქმესაც შეუდგებიან...

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# საჯაია ოფიციალურად ანჟელია

გუშინ რუსული პირველი დივიზიონის „ანჟი" კიდევ ერთი, მერვე ქართველით გამდიდრდა - მახაჩყალის კლუბთან კონტრაქტი **ედიკ საჯაიამ** გააფორმა. ქართველი მცველი 2011 წლის ივლისამდე დაღესტნური კლუბის საკუთრებაა. ადრე ჩვენ ვწერდით „ანჟიში" საჯაიას შესაძლო ტრანსფერზე, გუშინ კი ამას ოფიციალური სახე მიეცა. ედიკ საჯაია 27 წლისაა, რუსეთში მას მოსკოვის „ტორპედოში" უთამაშია.

# მხოლოდ ქებაძე

კვიპროსის ჩემპიონატის მე-8 ტურის მატჩში ახნასის „ეთნიკოსი" აეპ-ს დაუზავდა - 0:0. „ეთნიკოსის" რიგებში შეუცვლელად ითამაშა **ლევან ქებაძემ**, რომელსაც 27-ე წუთზე საგოლე მომენტი შეექმნა. მან მეკარის შეცდომით ისარგებლა, მაგრამ ოდნავ ააცილა ბურთი კარს. „ეთნიკოსი" 11 ქულით მე-7 ადგილზეა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში „ფრაიბურგმა" „ზტ. პაული" 2:0 დაამარცხა. **დავით თარგამაძე** განაცხადში არ ყოფილა. „ფრაიბურგი" 22 ქულით მე-3 ადგილზეა.

ჩეხურ გამბრინუს ლიგაში „მლადა ბოლესლავი" შინ დამარცხდა „ოსტრავასთან". **გიორგი განუგრავა** „მლადას" შემადგენლობაში არ გამოჩენილა. კლუბი კი 25 ქულით მე-3 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლიცენზიები და სემინარები

# ქართველ მწვრთნელებს ბელგიაში ელიან

ქვეყანაში ფეხბურთის განვითარებისთვის მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია. მწვრთნელთა ლიცენზირების სისტემის შექმნის გარდა, ფეხბურთის ფედერაცია სხვა მიმართულებითაც მუშაობს. 17-20 ნოემბერს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში მწვრთნელთა სემინარი გაიმართება. ამ სემინარზე ჩვენი დელეგაცია საკმაოდ წარმომადგენლობითი იქნება. თავად განსაჯეთ, საქართველოდან ამ სემინარში ერთბაშად 9 მწვრთნელი მიიღებს მონაწილეობას - **კობა ჟორჟიკაშვილი, გიორგი დევდარიანი, გაიოზ დარსაძე, ნოდარ აკობია, ვასილ მაისურაძე, გელა შეყილაძე, ლევან ხომერიკი, კოტე მელქაძე და კახი გოგიჩაიშვილი.**

**დავით ცაბაძე**

# ხაჩიძე და ძოძუაშვილი მალე პროფები გახდებიან

„გაგრა"-„მესხეთის" მატჩამდე ცოტა ხნით ადრე გაგრელთა მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ხაჩიძე** უკრაინაში გახლდათ. „პროფლიცენზიის ასაღებად მეოთხე ეტაპი გავიარე. სამი გამოცდა ჩავაბარე თამაშის ანალიზსა და პრაქტიკულ მეცადინეობაში. საქართველოდან ამ კურსებს მე და რევაზ ძოძუაშვილი გავდივართ. დეკემბერში ისევ მოგვიწევს უკრაინის დედაქალაქში ჩასვლა. საბოლოო გამოცდები უნდა ჩავაბაროთ და დიპლომი დავიცვათ, რის შემდეგაც პროფლიცენზიას მოგვცემენ" - გვითხრა ხაჩიძემ.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია ჟირას (წარსულში არც თუ ცნობილი ჩეხი მწვრთნელი) კონვენციის წევრია და იქ აღებული პროფლიცენზიით მწვრთნელს ევროპის უმეტეს ქვეყნებში შეუძლია ნებისმიერი გუნდის მთავარ დამრიგებლად მუშაობა. სხვათა შორის, ამ კონვენციის წევრია საქართველოც, თუმც ჩვენთან ჯერ მხოლოდ C, B და A ლიცენზიების აღებაა შესაძლებელი.

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონი

# ცხადაძე სტანდარდიდან მიდის?

## რატომ იკამათეს უკრაინელმა და ქართველმა მწვრთნელებმა...



კახა ცხადაძე

კვირას აზერბაიჯანის ჩემპიონატის XX ტურის შეხვედრები გაიმართა. ბაქოს „სტანდარდისა" და ზაქათალის „სიმურგის" მატჩი სკანდალით დასრულდა. „სტანდარდმა" 1:0 წააგო. ეს ერთადერთი გოლი სიმურგელმა **სოკოლოვმა** ქართველი მცველის, **ზვიად ჩხეტიანის** გადაცემით გაიტანა. სკანდალის მთავარი გმირი კი ბაქოელთა ქართველი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** გახლდათ...

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მთავარ მწვრთნელებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ცხადაძემ მსაჯობით აღშფოთება ვერ დამალა და კენჭი მეტოქის ბოსტანში ისროლა - მოგება კაცურად უნდა შეგვძლოთო. რას გულისხმობდა ქართველი მწვრთნელი, არ კონკრეტდება, თუმცა ფაქტია, რომ აზერბაიჯანში ბევრი უცხოელი სპეციალისტია, რაც ადგილობრივებს არ სიამოვნებთ. მუდმივად **ბერტი ფოგთსის** ხელფასზეა ლაპარაკი, პლუს ამას, იქაური მედიისგან სუსხი **ვლასტიმირ პეტრუელას, ანატოლი დემიანენკოს, რასიმ კარასა** და **ჯოკიჩა ხაჯიევსკისაც** არ მოჰკლებიათ...

დავუბრუნდეთ ცხადაძეს. მისმა განცხადებამ „სიმურგის" მწვრთნელი **რომან პოკორა** აღაშფოთა. უკრაინელმა ხურდა დააბრუნა: *„ჩვენ დამსახურებულად მოვიგეთ და არ მესმის, რაში ხედავთ სკანდალს? კიდევ ვიმეორებ - დღეს დამსახურებულად გავიმარჯვეთ".*

მატჩი არ გვინახავს, მაგრამ მრავლისმეტყველია მსაჯების ნამოქმედარის შეფასება, რომელიც აზერბაიჯანული პროფლიგის ოფიციალურ ვებგვერდზეა გამოქვეყნებული - „სტანდარდი"-„სიმურგის" არბიტრ **აზად მუთალიმოვს** ტურში ყველაზე დაბალი შეფასება, 7.2 ბალი (10-ბალიანი სისტემით) დაუწერეს.

ცხადაძეს წელს მიზნად ხუთეულში მოხვედრა დაუსახეს, თუმცა აზერბაიჯანში ყველა აღიარებს, რომ ამ შემადგენლობით „სტანდარდი" მაღალი ადგილებისთვის საბრძოლველად მზად არ იყო და არც ახლა არის. მართალია, შარშანდელი აუტსაიდერი გაძლიერდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ძნელია, საუკეთესოებში დამკვიდრდეს გუნდი, რომელსაც მეკარეთა მწვრთნელი არ ჰყავს, საკუთარი ბაზა არ გააჩნია და ეკიპირებაც კი პრობლემაა. დიახ, ეს ხდება აზერბაიჯანში, სადაც ქართველი ფეხბურთელები ლამის თავქუდმოგლეჯილნი გარბიან და რაღაც მითური სიმდიდრის ეტალონადაა მიჩნეული. „სტანდარდზე" ბევრად დიდი ბიუჯეტები აქვთ „ინტერს", „ბაქოს", „ქარვანს", „ხაზარსა" და „ნეფთჩის". პოსტსაბჭოურ სივრცეში კი უფულო ფულიანს ისე ვერ შეეჯიბრება, როგორც დასავლეთ ევროპაში, რადგან ხსენებულ სივრცეში ფეხბურთში ამინდს ჯერ კიდევ „ჰომოსოვიეტიკუსები" ქმნიან.

ბოლო დროს გახშირდა სპეკულაცია ცხადაძის შესაძლო გადადგომასთან დაკავშირებით. პირველად, ამაზე ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაიწერა, მაგრამ ქართველმა მწვრთნელმა მაშინ ეს ჭორად მონათლა. არ ვიცით, რამდენადაა კავშირში ამ ყველაფერთან, მაგრამ მაინც - ცხადაძემ გუნდის კაპიტნის სამკლავური ადგილობრივ მეკარეს შეხსნა (რომელიც შეცდომას შეცდომაზე უშვებდა) და **დავით ჭიჭვეიშვილს** ჩააბარა...

*„რამდენიც უნდათ, იმდენი ილაპარაკონ, თითქოს გადადგომას ვაპირებდე. ეს ჩემი და კლუბის ხელმძღვანელების საქმეა",* - განაცხადა მაშინ ცხადაძემ.

გუშინ ცხადაძის გადადგომაზე მორიგი ინფორმაცია გავრცელდა. მას ბაქოში დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ:

**- როგორც გავიგეთ, კლუბიდან წასვლას აპირებთ...**

- არა, ჯერ აქ ვარ. „სტანდარდის" ხელმძღვანელებს შევხვდი. ვილაპარაკეთ. არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

**- ანუ, გადადგომაზე არ ფიქრობთ?**

- სამი ტურიც და პირველი წრე დასრულდება. მთავარია, დარჩენილ შეხვედრებში ქულათა მაქსიმუმი დავაგროვოთ და მდგომარეობა გავიუმჯობესოთ...

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ 40 წლის ქართველი სპეციალისტი „სტანდარდს" 2008 წლის იანვრიდან ავარჯიშებს.



ირაკლი ჩირიკაშვილი

ინტერვიუ ირაკლი ჩირიკაშვილთან

# იყო სხვა ვარიანტებიც, მაგრამ ლოკომოტივი ვამჯობინე

## რატომ წავიდა ჩირიკაშვილი თბილისის დინამოდან?

**ირაკლი ჩირიკაშვილი თბილისის „დინამოდან" „ლოკომოტივში" რომ გადავიდა, ბევრს გაუკვირდა. ის რომ ნიჭიერი და პერსპექტიული ნახევარმცველია, ყველა აღიარებს. „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და მთელი გასული სეზონი იჯარით ითამაშა - ჯერ ცხინვალის „სპარტაკში", მერე კი „ბორჯომში". თუ მეხსიერებას დაძაბავთ, უთუოდ გაიხსენებთ, რომ ამ გუნდებში ამინდსა და მომენტების უმრავლესობას სწორედ ჩირიკაშვილი ქმნიდა. და დღესაც - თუ ამ სეზონში „ლოკომოტივი" წარმატებით თამაშობს, გამოცდილ ფეხბურთელებთან ერთად, მისი დამსახურებაცაა...**

**- ირაკლი, ჯერ დავიწყოთ იმით, როგორ აღმოჩნდი „ლოკომოტივში"?**

- „დინამოსთან" კონტრაქტი დამიმთავრდა და რადგან თამაშის შესაძლებლობა არ მქონდა, ბევრი არ მიფიქრია, ისე წამოვედი.

**- თავად „დინამოს" შენი დატოვება არ უცდია?**

- სცადეს, ვილაპარაკეთ კიდეც, მაგრამ დარჩენაზე უარი ვთქვი. ჯერ სამწლიანი კონტრაქტი მქონდა და მერე წლინახევრიანი რომ გავაფორმე, დუშან უჰრინმა მითხრა, მჭირდებიო, თუმცა ერთხელაც არ მათამაშა. ჯერ, ნახევარი წლით ცხინვალის „სპარტაკში" გამანათხოვრეს, ხოლო შემდეგ „ბორჯომში". რა აზრი ჰქონდა დარჩენას?

**- გამოდის, რომ უჰრინზე ნაწყენი ხარ?**

- უბრალოდ, თამაში მინდოდა, მაგრამ ამის საშუალება არ მომცა. სადაც ნორმალური პირობები შემომთავაზეს და, რაც მთავარია, თამაშის პერსპექტივა დავინახე, იქ წავედი. ერთი ეს ვერ გავიგე - უჰრინს თუ არ ვჭირდებოდი, კონტრაქტი რატომ შემომთავაზა? წუთითაც კი არ მითამაშია.

**- ალბათ, „ლოკომოტივში" უკეთ გრძნობ თავს...**

- კი, რა თქმა უნდა. იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ თავად გუნდიც საკმაოდ ძლიერია.

**- „ლოკომოტივის" გარდა, სხვა კლუბი არ გიწვევდა?**

- როგორ არა?! „ამერში", „ვიტ ჯორჯიაში", „ოლიმპსა" და „ზესტაფონში" თამაში შემომთავაზეს.

**- და რატომ მიანიჭე უპირატესობა „ლოკომოტივს"?**

- ჩემთვის ეს იყო ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი. თბილისურ გუნდში მერჩივნა თამაში, თანაც „ლოკომოტივს" საკუთარი ბაზა აქვს... მოკლედ, ეს ყველანაირად უკეთესი ვარიანტი იყო.

**- „ლოკომოტივი" წელს ლამაზ ფეხბურთს თამაშობს, თუმცა „მგლებთან" და „სიონთან" საშინაო შეხვედრები წააგეთ (7 ნოემბერს „ლოკომოტივი" შინ „ოლიმპთანაც" დამარცხდა - ავტ). ახალგაზრდულ გუნდებს არასტაბილურობა ახასიათებს, თუმც თქვენს გუნდს მაინცდამაინც ახალგაზრდულს ვერ ვუწოდებთ...**

- მითხარით, რომელია საქართველოში სტაბილური გუნდი? ჩვენ ახლა ვყალიბდებით და ასეთ დროს არასტაბილურობა ჩვეულებრივი ამბავია. არა უშავს, დავლაგდებით და უკეთ ავთამაშდებით.

**- სხვათა შორის, თავადაც არასტაბილური ხარ. გიჭირს ინიციატივის აღება?**

- როგორ გითხრათ... ძნელი სათქმელია... ინიციატივის აღება რთული საქმეა. ხან გამომდის თამაში, ხან - არა. ყოველთვის ერთ დონეზე ვერ ვთამაშებ.

**- ბოლოს ახალგაზრდულ ნაკრებში თითქმის აღარ გიწვევდნენ, თან ეს მაშინ, როცა ათამაშდი...**

- პეტარ შეგრტი მიწვევდა, მაგრამ ძირითადში ერთხელაც არ მათამაშა, ზოგჯერ განაცხადშიც ვერ ვხვდებოდი, ან თუ ვხვდებოდი, სათადარიგოებში ვიჯექი. მხოლოდ ერთხელ მათამაშა ყაზახეთში და ისიც - შეცვლაზე. წინა ციკლში სანაკრებო პრაქტიკა უფრო მეტი მქონდა - დანიასთან, საბერძნეთთან, უკრაინასა და ყაზახეთთან ვითამაშე...

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

# გამეზარდაშვილი სკონტოს კაპიტანია

**დამოუკიდებელი ლატვიური ფეხბურთის გრანდის, რიგის „სკონტოს" კაპიტნად ქართველი დავით გამეზარდაშვილი აირჩიეს. 26 წლის ცენტრალური მცველი სამი წელია ამ გუნდში თამაშობს. ერთი ხანობა, ის ქუთაისის „ტორპედოშიც" დაბრუნდა, მაგრამ მერე ისევ ლატვიას მიაშურა და მალე „სკონტოს" ერთ-ერთი ლიდერი გახდა, ახლა კი სულაც გუნდის კაპიტანია. ეს ამბავი შემთხვევით გავიგეთ: ლატვიის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის ამსახველ ფოტოზე გამეზარდაშვილი კაპიტნის სამკლავურით იყო. სწორედ ეს ფაქტი გახდა მასთან დაკავშირების მიზეზი...**



დავით გამეზარდაშვილი

**- დავით, როდის აგირჩიეს „სკონტოს" კაპიტნად?**

- უკვე მესამე ტურია, გუნდი მე გამყავს მოედანზე.

**- „სკონტოში" სამკლავურს ხომ ლატვიის ნაკრების კაპიტანი ასტაფიევსი ატარებდა?**

- კი, ასე იყო, მაგრამ მან წელს კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

**- ...და გუნდმა მის შემცვლელად აგირჩია?**

- არა, ასე არ ყოფილა. კაპიტანი ასტაფიევსი იყო, ვიცე-კაპიტანი კი მარიან პახარსი. ორივემ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ბოლო სამ ტურში მათ აღარ უთამაშიათ. მე კი მეორე ვიცე-კაპიტანი ვიყავი და ავტომატურად კაპიტანი გავხდი.

**- „სკონტოდან" წასვლას რომ აპირებ?**

- კი მინდა წასვლა უკეთეს ლიგაში, მაგრამ ჯერ ზუსტად ვერაფერს გეტყვით. კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ მიმთავრდება და უკვე მითხრეს, რომ არის რაღაც ვარიანტები, თანაც საინტერესო, როგორც მარწმუნებენ... თუმცა ახლა მეტს ვერაფერს გეტყვით. სეზონი კვირას დასრულდა და კრება ჩატარდება. მითხრეს, რომ მთავარ მწვრთნელ პოლ ეშვორტს სურს ჩემთან დალაპარაკება. თურმე, მან იცის, რომელი კლუბები მიწვევენ.

**- ლატვიაში უცხოელის კაპიტნობა პატარა საქმე არ არის...**

- ეს მეც მახარებს. რომ არ ვიმსახურებდე, ტყუილად არავინ დამნიშნავდა. ადრე რეხვიაშვილი იყო კაპიტანი და დღემდე თბილად ახსენებენ. დიდებული გრძნობაა, როცა შენს თანამემამულეზე ასეთი სიტყვები გესმის.

**- კვირას ლატვიის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი გაიფორმეთ. ადრე „სკონტო" იოლად ხდებოდა ჩემპიონი, ბოლო წლებში კი „ვენტსპილსმა" გაჯობათ. რა სჭირს გუნდს?**

- გაახალგაზრდავების პროცესი მიმდინარეობს და ასეთ სიტუაციაში მესამე ადგილიც კარგი შედეგია. ვფიქრობ, მომავალ წელს ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

დიახ, როგორც გამეზარდაშვილმა აღნიშნა, წლების წინ რიგის „სკონტოს" **ალექსანდრე რეხვიაშვილი** კაპიტნობდა, ლატვიიდან რუსეთში წასვლამდე კი ვიცე-კაპიტანი **ზურაბ მენთეშაშვილი** იყო. საერთოდ, უცხოურ კლუბებში ქართველები კაპიტნებად არცთუ იშვიათად ყოფილან - მაგალითად, **შოთა არველაძე**, რომელიც ჰოლანდიური „ალკმაარის" სამკლავურს ატარებდა. იყო დრო, „ფრაიბურგი" **ლევან კობიაშვილსა და ალექსანდრე იაშვილს** გაუყვანიათ მოედანზე. კობიაშვილი ახლა „შალკეს" ვიცე-კაპიტანია.

სამარის „კრილია სოვეტოვში" კაპიტნად აირჩიეს **დავით მუჯირი**, რომელმაც თავად თქვა სამკლავურზე უარი. ამას გარდა, შეგვიძლია გავიხსენოთ **ვასილ გიგიაძე** (კრივოი როგის „კრივბასი"); **დავით კვირკველია** (ზაპოროჟიეს „მეტალურგი"), **ლაშა ჯაკობია** (ხარკოვის „მეტალურგი") და **გია კვარაცხელია** („კაუნასი").

„მილანიდან" **პაოლო მალდინის** წასვლის შემდეგ, კაპიტნობის ერთ-ერთ კანდიდატად **კახა კალაძეც** სახელდებოდა, მაგრამ ამ კლუბში ასეა: სამკლაურს ატარებს ის, ვისაც კონკრეტულ მომენტში ამ გუნდის მაისურით ყველაზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. დღეს კი კალაძე „როსონერის" ერთ-ერთი ვიცე-კაპიტანთაგანია.

უცხოურ პრესაში — დავით მუჯირი

# ჩემზე დაწერეს, ლოკომოტივის დონის არ არისო

**დავით მუჯირი დიდ ხანს ელოდა თავის დროს მოსკოვის „ლოკომოტივში" და ისიც დადგა - მან ზედიზედ მეორედ ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში, თანაც პრინციპულ მოსკოვურ დერბიში „სპარტაკთან", გაიტანა გამარჯვების გოლი და championat.ru-სგან მატჩის საუკეთესო შეფასება, 7 ქულა დაიმსახურა. „სპარტაკთან" მატჩის შემდეგ აღნიშნული საიტის ჟურნალისტი ჩვენს თანამემამულეს გაესაუბრა.**

- სასიამოვნოა, რომ, როგორც იქნა, მოვიგეთ მოსკოვური დერბი. მოხარული ვარ, რომ ჩემი გოლით არა მარტო „ლოკომოტივს", არამედ ყოფილ კლუბს, „კრილია სოვეტოვს" დავეხმარე, რომელიც ჩემპიონატში „სპარტაკის" უშუალო კონკურენტია. ცუდი კი ისაა, რომ ჩვენი გუნდი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, ახლა სხვებზეა დამოკიდებული. ჩვენ მხოლოდ თეორიული შანსი შეგვრჩა უეფას თასის ზონაში მოსახვედრად. „დინამოსთან" მარცხის მერეც ვამბობდი, რომ ბოლო წუთებამდე არ დავნებდებით. სხვანაირად არც შეიძლება, ეს ხომ „ლოკომოტივია".

**- თქვენ ორიგინალურად აღნიშნეთ გატანილი გოლი, ვის მიუძღვენით ის?**

- ჩემს მეუღლეს. მან თამაშის წინ მითხრა, რომ აუცილებლად გავიტანდი და მართალიც აღმოჩნდა.

**- იქნებ, უფრო ხშირად ისაუბროთ მეუღლესთან თამაშის წინ...**

- ისედაც ხშირად მიწევდა საუბარი, მით უფრო, როცა თამაში არ მიწევდა. თამაშის მერე მეუღლემ სმს-ით მომილოცა და გამახსენა, თავისი წინასწარმეტყველება. სმს მივიღე „კრილიას" ფეხბურთელებისგანაც, პერსონალური მადლობით გოლისთვის.

**- „ლოკომოტივმა" ძლიერად დაიწყო თამაში, მწვრთნელმა სწრაფი გოლის გატანა დაგავალათ?**

- ჩვენ ახლა მხოლოდ ერთი დავალება გვეძლევა თამაშის წინ - მოვიგოთ მატჩი. ძალიან ცუდი იქნება, თუ მე-8 ადგილს თავს ვერ დავაღწევთ. ბოლომდე ვიბრძოლებთ და გვინდა, რომ გულშემატკივარსაც სჯეროდეს ჩვენი.

**- თქვენ არ გჯერათ, რომ „ლოკომოტივი" უეფას თასის საგზურს შესწვდება?**

- ამისთვის სასწაული უნდა მოხდეს. მაგრამ ჩვენც უნდა მოვიგოთ და დაველოდოთ სასწაულს.

**- იცოდით, რომ თქვენი მწვრთნელისთვის „სპარტაკთან" დაპირისპირება პრინციპული იყო?**

- ამაზე არც მიფიქრია. მე ჩემი პრინციპები მაქვს და ჩემი ანგარიშები - მთელი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გავატარე, თავის გამოჩენა მწყუროდა. ვილაცამ დაწერა, რომ მუჯირი „ლოკომოტივის" დონის ფეხბურთელი არ არისო, დიდი სურვილი მაქვს, კარგი თამაშით გავაქარწყლო ეს სიტყვები.

**- იქნებ, შეცდით, როცა 10-ნომრიანი მაისური აირჩიეთ. ეს ხომ დამატებითი ტვირთია ფეხბურთელისთვის?**

- ნომერი არაფერს ცვლის. თუ კარგად ვერ ვითამაშებ, თადარიგში ვიქნები, გინდ 10 და გინდა 99 ნომრით.

**- თქვენამდე ამ ნომრით „ლოკოს" პუბლიკის რჩეული დმიტრი ლოსკოვი თამაშობდა...**

- და მერე რა? არგენტინაში 10 ნომერი მაისური დიეგო მარადონას ეცვა, მაგრამ მას შემდეგ ამ ნომრით სხვებიც თამაშობენ.

**- თქვენ შეძლებთ „ლოკომოტივისთვის" ახალი ლოსკოვი გახდეთ?**


დავით მუჯირი

- ამაზე არ მიფიქრია. ჩემი ვალდებულება მაქვს - კიდევ სამი სეზონი ბოლომდე დავიხარჯო. მინდა, ვიყო დავით მუჯირი - კარგი, ღირსეული ფეხბურთელი და ვთამაშობდე რუსეთის ჩემპიონატში. თანაც წინა ორ სეზონში „კრილიაში" თამაშით დავამტკიცე, რომ ურიგო ფეხბურთელი არ ვარ. წელს კი ძალიან ცოტა შანსი მქონდა ამისთვის, ხან ორ-სამ წუთს მათამაშებდნენ, ხან მხოლოდ ერთს. „სპარტაკთან" თამაშის წინ ცუდად ვგრძნობდი თავს, სიცხე მქონდა, მაგრამ იმდენად მინდოდა თამაში, რომ ამას ყურადღება არ მივაქციე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## პიცურკას ტრავმირებულები მოუმრავლდა

ჰექტორ კუპერისგან განსხვავებით, რუმინეთის ნაკრების თავკაცი **ვიქტორ პიცურკას** 19 ნოემბრის ამხანაგური მატჩისთვის სრული შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია. ცნობილია მხოლოდ 6 ლეგიონერის (**რაზვან რაცი, მიხაი ნესუ, პაულ კოდრეა, რაზვან კოშიჩი, ადრიან მუტუ, ჩიპრიან მარიკა**) ვინაობა. ამათგან, ტრავმის გამო მუტუ უკვე გამოაკლდა რუმინელთა გუნდს. კვირას დაშავდა „უტრეხტში" მოთამაშე ნესუც, რომელმაც „ფეიენოორდთან" წაგებულ (2:5) მატჩში ერთი გოლი გაიტანა. მან შეხვედრა ვერ ჩაამთავრა. რუმინული პრესის ცნობით, ბუქარესტულ სპარინგში ნესუს თამაში საეჭვოა. პიცურკა შეშფოთებულია:

*„ძალიან ვწუხვარ, რომ ადრიან მუტუ 19 ნოემბრის შეხვედრაში ვერ დაგვეხმარება. ნესუს ტრავმის ამბავიც გავიგე და ჯერ კიდევ არ ვიცით, შეძლებს თუ არა საქართველოსთან თამაშს. მინდა, ამ ამხანაგური შეხვედრისთვის ორი-სამი ახალი ფეხბურთელიც მოვსინჯო. საქართველო სოლიდური მეტოქეა და ამ გუნდთან პაექრობა ნამდვილად წაგვადგება".*

პიცურკა გუნდს 17 ნოემბერს შეკრებს. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით კი, 19 ნოემბრის მატჩს ბერძენი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი გამოცდილი **კიროს ვასარასი** იქნება, ასისტენტები - **ხრისტოს გენაიოსი** და **დმიტრის სარაიდარისი**.

და კიდევ: საქართველოს ნაკრები ბუქარესტში 16 ნოემბერს ჩაფრინდება და სასტუმრო „ჰოვარდ ჯონსონში" დაბინავდება.

**დავით ცაბაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი და ჭაბუკთა ლიგები

## აღმოსავლეთი

### კახეთი-ამერი 0:4

0:1 ჩიმაკაძე (65), 0:2 ჩიმაკაძე (68), 0:3 ქებაძე (79), 0:4 ქებაძე (88)

კახეთი: კობრიაშვილი, ხიდეშელი, ხუმარაშვილი, ო. აბდულაევი, ლ. აბდულაევი (77. დეკანოზიშვილი), გენგაშვილი (75. ახალბედაშვილი), კობაიძე, მელიქიშვილი, იმერლიშვილი, ხუციშვილი (46. ბიძინაშვილი), ხამხაძე

*სათადარიგოები:* ტეტიაშვილი, ქუფარაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გივი კობაიძე

ამერი: ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე (78. ბუმბეიშვილი), ლაფერაშვილი, ჩიმაკაძე (81. ფუტკარაძე), ტიკურიშვილი, ცხოვრებაშვილი (46. ქებაძე), ბენდელიანი

*სათადარიგოები:* გვენცაძე, სანიკიძე, ჯინიკაშვილი, ჯოხაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი ჩიხრაძე

*არბიტრი:* ხ. გაგნიძე (გორი)

### დილა-თბილისი 1:0

1:0 სორდია (71)

დილა: დგებუაძე, ცოცხალაშვილი, შარანგია, თარგამაძე, ჩიხრაძე, სორდია, მიდიაშვილი, ანდღულაძე, ბარამიძე (82. იჩქითი), ფაილოძე (75. ფოცხვერია), ებანოიძე (63. გურეშიძე)

*სათადარიგოები:* კეჩხუაშვილი, ქარდავა, ჩერქეზიშვილი, ივანაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა მეტრეველი

თბილისი: გიორგობიანი, ჭაფოძე, ოდიშარია, მიქელაძე, ბელქანია, გურეშიძე, მოდებაძე, ზვიადაძე (77. ჯაში), კბილცეცხლაშვილი (73. ტორონჯაძე), ხოხონიშვილი, სებისკვერაძე (61. აფხაზავა)

*სათადარიგოები:* ვ. ლობჟანიძე, ნაჩემელი

*მთავარი მწვრთნელი:* გელა გომელაური

*გაფრთხილებები:* ბელქანია, სებისკვერაძე, შარანგია, დგებუაძე, ხოხონიშვილი, სორდია

*არბიტრი:* ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

### ჩიხურა-ვიტ ჯორჯია 2 2:0

1:0 კობახიძე (51), 2:0 ჩიკვაიძე (9))

ჩიხურა: დოლაძე, ზივზივაძე, ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ტყებუჩავა, დოლონაძე (55. ნოზაძე), ზაბახიძე, ჭილაძე, პეტრიაშვილი (67. როგავა), ენუქიძე (80. ჩიკვაიძე), კობახიძე

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, ხვედელიძე, მაჭარაშვილი, ცარციძე

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, ვეკუა (85. იაშვილი), ადამაძე, კასრაძე, გოგიაშვილი (58. ლევინიაშვილი), გამრეკლიძე, მაისაშვილი, ხურცილავა, დვალაშვილი, სვანიძე, ზაქრაძე (46. ფურცელაძე)

*სათადარიგოები:* ლურბელეიშვილი, კახაძე, იოსელიანი, ცხოვრებაძე

*მთავარი მწვრთნელი:* მერაბ კოჭლაშვილი

*არბიტრი:* ო. ხეცაძე (თბილისი)

### სიონი 2-გაგრა 2 1:4

0:1 ხელაძე (45), 0:2 ფილია (71), 0:3 მესხი (75), 0:4 ოქრიაშვილი (78), 1:4 ბუზბუტეიშვილი (89)

სიონი 2: გავაშელი, იობაშვილი, ნაყოფია (42. გიორბელიძე), გ. ოქროპირიძე (80. ჭაველაშვილი), ლ. ჩხეტიანი, ქურასბედიანი, ბუზბუტეიშვილი, მ. ოქროპირიძე, ალფაიძე, გიგინეიშვილი (78. ასათიანი), გაბრიჭიძე

*სათადარიგოები:* გურგენიძე, ქობულაძე, უგულავა, ყიფშიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ჯონი ჯაგიდისი

გაგრა 2: ა. კოტრიკაძე, მოსიაშვილი, ქვრივიშვილი, კვანტალიანი, გედენიძე, ხელაძე, ცხადაია, ფილია (78. აბაშიძე), კორიფაძე, სეთურიძე (46. მესხი), ჩხაიძე (74. ოქრიაშვილი)

*სათადარიგოები:* გ. ნაჭყებია, სეფიაშვილი, ჯალიაშვილი, ფანცხავა

*მთავარი მწვრთნელი:* თეიმურაზ ჩხაიძე

*გაფრთხილება:* ქურასბედიანი

*არბიტრი:* ა. ნონიკაშვილი (თბილისი)

### დინამო 2-ნ. დინამო 1:0

1:0 სიხარულიძე (40)

დინამო 2: ლოსაბერიძე, კეკელია, ჩადუნელი, კაკუბავა, ოთარაშვილი, მამუჩიშვილი, კოპაძე, ჩიკვაიძე (63. ზ. ლობჟანიძე), ჯოხაძე, ქამუშაძე (46. ცერცვაძე), სიხარულიძე (70. ლეკვთაძე)

*სათადარიგოები:* ნადირაძე, დარასელია, ბოლქვაძე, ჭადაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* დავით კეკლიშვილი

ნ. დინამო: გაბრიჩიძე, კალაძე, ცინცაძე, ბოკუჩავა (46. გაბუნია), ლეთისავრიშვილი, კაკულია (55. გრიგალაშვილი), გურაბანიძე, ლაბარტყავა, მამარდაშვილი, ქავთარაძე, ჩაფიძე (58. ნეფარიძე)

*სათადარიგოები:* ა. შენგელია, დაბრუნდაშვილი, ედიშერაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* რევაზ ბარამიძე

*გაფრთხილებები:* ჩაფიძე, ქავთარაძე, გრიგალაშვილი

*არბიტრი:* თ. გვანცელაძე (სამტრედია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 11 | 8 | 2 | 1 | 24-7 | 26 |
| 2. ამერი | 11 | 7 | 2 | 2 | 20-7 | 23 |
| 3. დინამო 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 15-8 | 21 |
| 4. ვიტ ჯორჯია 2 | 11 | 5 | 5 | 1 | 18-5 | 20 |
| 5. დილა | 11 | 5 | 4 | 2 | 16-8 | 19 |
| 6. სიონი 2 | 11 | 3 | 3 | 5 | 16-31 | 12 |
| 7. გაგრა 2 | 11 | 3 | 2 | 6 | 17-23 | 11 |
| 8. თბილისი | 11 | 3 | 2 | 6 | 14-18 | 11 |
| 9. კახეთი | 11 | 2 | 2 | 7 | 6-21 | 8 |
| 10. ნ/დინამო | 11 | 1 | 4 | 6 | 12-19 | 7 |
| 11. ჰერეთი | 10 | 1 | 3 | 6 | 7-18 | 6 |

#### მომდევნო ტური

**16 ნოემბერი, კვირა**

ნორჩი დინამო-ჩიხურა

**17 ნოემბერი, ორშაბათი**

ამერი-დილა
გაგრა 2-კახეთი
ვიტ ჯორჯია 2-ჰერეთი
თბილისი-დინამო 2

*სიონი 2 ისვენებს*

## დასავლეთი

### მეშახტე-ბაია 0:2

0:1 წურწუმია (59), 0:2 ეხვაია (87)

მეშახტე: თორთლაძე, დონაძე, ბოჭორიშვილი, წერეთელი, გ. ქობალია, ჯიშიაშვილი, ჭკუასელი, ლომთაძე (65. ბ. გვენეტაძე), მაჩალაძე, გოგუა, ბ. გვეტაძე

*სათადარიგოები:* გიორგაძე, კალანდაძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

ბაია: ივარდავა, ექონია (34. მაქაცარია), პაქკორია, ქვანია, ძალამიძე, კუტალია (69. ეხვაია), წურწუმია, რაფავა (55. გუგუჩია), ვართაგავა, ქირია, სვირავა

*სათადარიგოები:* კვეკვესკირი, ქაშაკაშვილი, ლ. ქობალია, ქანთარია

*მთავარი მწვრთნელი:* ჰერბერტ ცანკერი

*გაფრთხილებები:* ჭკუასელი, კუტალია, გვენეტაძე

*არბიტრი:* გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

### კოლხეთი-სამტრედია 1:2

1:0 ბაკარანძე (9 პ), 1:1 მ. კაკალაძე (67), 1:2 სუნიაევი (87)

კოლხეთი: გ. შენგელია, ნარსია, ცხვიტარია, ლუსტა (78. ციკოლია), ლემონჯავა (46. გოგნაძე), აბურჯანია, ჩხარტიშვილი, გვალია (84. გვიჩია), გელაჭეიშვილი, ბაკარანძე, ქანდავაძე

*სათადარიგოები:* ჩემია, სიჭინავა

*მთავარი მწვრთნელი:* ნუგზარ თვარაძე

სამტრედია: ი. ნ. შენგელია, გოგია, ლ. მახარაძე, დარჯანია, კვესეიშვილი (89. სალდაძე), ჩომახიძე, ბაკურაძე, ოქრუაშვილი (72. სუნიაევი), ადეიშვილი ეცადეიშვილი, მ. კაკალაძე

*სათადარიგოები:* ი. გ. შენგელია, მუკბანიანი, კეკელიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან ჩხარტიშვილი

*გაფრთხილებები:* ი. ნ. შენგელია, ოქრუაშვილი, ლუსტა

*არბიტრი:* მ. ურუშაძე (ლანჩხუთი)

### ტორპედო-ხობი 3:1

1:0 დანელია (36), 2:0 იმედაძე (54), 3:0 იმედაძე (82), 3:1 თოდუა (90+2)

ტორპედო: მიგინეიშვილი (85. კუჭუხიძე), დარსაძე, ხარებავა, ბიბილაშვილი, ჭანკვეტაძე, დანელია, ბესარაშვილი (85. მეტონიძე), კობერიძე, ტიელიძე (74. კოსტავა), იმედაძე, გურული

*სათადარიგოები:* ა. ქობალია, ნიქორიძე, ტორაძე, ხარაბაძე

*მთავარი მწვრთნელი:* კახა კარანაძე

ხობი: ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ფიფია, ჯამბურია (78. თოდუა), კვირკველია, ალანია (46. ლატარია), კ. გოგენია, ლეფსაია (46. შონია), ფირცხალავა, გაგუა, ღლონტი

*სათადარიგოები:* ქურღულია, ჩაჩიბაია, გრიგოლია, ჩიტაია

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ნოდია

*გაფრთხლებები:* გაგუა, შონია, კობერიძე, ტიელიძე

*არბიტრი:* ი. ურუშაძე (ლანჩხუთი)

### გურია-ჭიათურა 4:1

0:1 სევასტოპულო (10), 1:1 ურუშაძე (33), 2:1 ურუშაძე (57), 3:1 ურუშაძე (76 პ), 4:1 კუკულაძე (86)

გურია: გოგუაძე, რ. კუკულაძე, ცინცაძე, იმნაძე, ჯორბენაძე (34. ქურიძე), კილაძე, სულაბერიძე (74. მ. კოტრიკაძე), მგელაძე, ტ. კუკულაძე, ჯაყელი, ურუშაძე (77. შენირული)

*სათადარიგოები:* ხურციძე, კეკელიძე, მოდებაძე, ციკოლია

*მთავარი მწვრთნელი:* ავთანდილ ნარიაშვილი

ჭიათურა: მოცრაძე, გაფრინდაშვილი, ცუცქირიძე, თემურ მიშველიძე, ბრუსლი, ვაშაძე (66. ცერცვაძე), სარალიძე, ნდონი, ტყემალაძე (85. იობიძე), თემირ მიშველიძე (85. ტატაშიძე), სევასტოპულო

*სათადარიგოები:* ბითაძე, რობაქიძე, ლაშხი, მოდებაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გიგლა იმნაძე

*გაფრთხილებები:* ნდონი, ვაშაძე, ურუშაძე, ბრუსლი, ცუცქირიძე, იმნაძე

*არბიტრი:* ზ. ასკაროლლი (ქარელი)

### ბათუმი-ზესტაფონი 2 0:2

0:1 ქელიძე (52 პ), 0:2 გორგიაშვილი (85)

ბათუმი: თოთლაძე, რამიშვილი, გოგიტაური, ფარტენაძე, გოგუაძე, გოგიტიძე, ბალაძე, ტულუში, დემურაძე (55. ქადიძე), მალაზონია (21. აბაშიძე, 58. გორჯელაძე), კალანდაძე

*სათადარიგოები:* ზოიძე, მჭედლიძე, ზაქარეიშვილი, თ. კაკალაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

ზესტაფონი 2: ბოჭორიშვილი, ბერუაშვილი, ხიხაძე, ზ. ლობჟანიძე, სანტოსი, ბუკია, სტეფანიშვილი, გორგიაშვილი, ბერიძე (78. ჩიხლაძე), ქელიძე, ლომაშვილი (67. სუხიაშვილი)

*სათადარიგოები:* გორდეზიანი, კეჭაყმაძე, კვირიკეიშვილი, გაბრიჭიძე, ცხადაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გია ნადირაძე

*გაფრთხილებები:* რამიშვილი, გოგიტაური, ბერიძე

*არბიტრი:* პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 11 | 8 | 2 | 1 | 20-4 | 26 |
| 2. სამტრედია | 11 | 7 | 1 | 3 | 20-9 | 22 |
| 3. მარტვილი | 10 | 6 | 3 | 1 | 16-8 | 21 |
| 4. კოლხეთი | 11 | 6 | 2 | 3 | 15-7 | 20 |
| 5. ჭიათურა | 11 | 5 | 1 | 5 | 18-15 | 16 |
| 6. ხობი | 11 | 4 | 3 | 4 | 10-14 | 15 |
| 7. ზესტაფონი 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 11-15 | 14 |
| 8. ტორპედო 2008 | 11 | 4 | 1 | 6 | 8-8 | 13 |
| 9. გურია | 11 | 3 | 3 | 5 | 15-21 | 12 |
| 10. ბათუმი | 11 | 2 | 3 | 6 | 12-21 | 9 |
| 11. მეშახტე | 11 | 0 | 1 | 10 | 6-28 | 1 |

#### მომდევნო ტური

**17 ნოემბერი, ორშაბათი**

ბაია-ტორპედო 2008
ხობი-ბათუმი
ჭიათურა-კოლხეთი (ფ)
სამტრედია-მეშახტე
ზესტაფონი 2-მარტვილი

*გურია ისვენებს*

## ჭაბუკთა ლიგა

### 1991-1992 წწ.

**X ტური**

**6 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| მესხეთი-გაგრა | 0:6 |
| ოლიმპი-ლოკომოტივი | 2:0 |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 1:0 |
| დინამო-მგლები | 6:3 |

**12 ნოემბერი**

ვიტ ჯორჯია-სიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 10 | 9 | 0 | 1 | 38-10 | 27 |
| 2. გაგრა | 10 | 7 | 0 | 3 | 35-20 | 21 |
| 3. ზესტაფონი | 10 | 7 | 0 | 3 | 32-11 | 21 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 1 | 2 | 17-7 | 19 |
| 5. ნაკრები U16 | 10 | 6 | 0 | 4 | 34-18 | 18 |
| 6. სპარტაკი | 10 | 5 | 3 | 2 | 19-11 | 18 |
| 7. მგლები | 10 | 5 | 2 | 3 | 23-19 | 17 |
| 8. ოლიმპი | 10 | 2 | 3 | 5 | 20-27 | 9 |
| 9. ბორჯომი | 10 | 2 | 2 | 6 | 12-29 | 8 |
| 10. ლოკომოტივი | 10 | 2 | 1 | 7 | 9-27 | 7 |
| 11. სიონი | 9 | 1 | 1 | 7 | 9-28 | 4 |
| 12. მესხეთი | 10 | 0 | 1 | 9 | 6-47 | 1 |

### 1993-1994 წწ.

**X ტური**

**8 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| გაგრა-მესხეთი | 5:1 |
| ლოკომოტივი-ოლიმპი | 2:2 |
| მგლები-დინამო | 0:1 |
| ბორჯომი-ამერი | 2:3 |

**9 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 0:4 |
| სპარტაკი-ზესტაფონი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 10 | 9 | 1 | 0 | 34-1 | 28 |
| 2. ამერი | 10 | 7 | 1 | 2 | 30-12 | 22 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 2 | 2 | 16-9 | 20 |
| 4. ლოკომოტივი | 10 | 4 | 3 | 3 | 20-11 | 15 |
| 5. მგლები | 10 | 4 | 2 | 4 | 27-17 | 14 |
| 6. სპარტაკი | 10 | 4 | 2 | 3 | 14-18 | 14 |
| 7. ზესტაფონი | 10 | 4 | 2 | 4 | 8-8 | 14 |
| 8. გაგრა | 10 | 3 | 4 | 3 | 14-13 | 13 |
| 9. ბორჯომი | 10 | 2 | 4 | 4 | 7-15 | 10 |
| 10. ოლიმპი | 10 | 2 | 3 | 5 | 9-18 | 9 |
| 11. მესხეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 4-41 | 5 |
| 12. სიონი | 10 | 0 | 2 | 8 | 5-25 | 2 |

### 1995-1996 წწ.

**X ტური**

**8 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| გაგრა-მესხეთი | 3:0 |
| ლოკომოტივი-ოლიმპი | 4:0 |
| მგლები-დინამო | 0:0 |
| ბორჯომი-ამერი | 0:1 |

**9 ნოემბერი**

| | |
|---|---|
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| სპარტაკი-ზესტაფონი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 10 | 9 | 0 | 1 | 30-4 | 27 |
| 2. გაგრა | 10 | 8 | 1 | 1 | 29-5 | 25 |
| 3. მგლები | 10 | 5 | 2 | 3 | 18-12 | 17 |
| 4. ბორჯომი | 10 | 5 | 1 | 4 | 11-8 | 16 |
| 8. ამერი | 10 | 4 | 3 | 3 | 12-9 | 15 |
| 5. ოლიმპი | 10 | 4 | 3 | 3 | 9-10 | 15 |
| 6. ზესტაფონი | 10 | 4 | 2 | 4 | 19-18 | 14 |
| 9. ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 2 | 4 | 14-16 | 14 |
| 7. დინამო | 10 | 3 | 5 | 2 | 7-9 | 14 |
| 10. სიონი | 10 | 2 | 2 | 6 | 12-20 | 8 |
| 11. სპარტაკი | 10 | 0 | 2 | 8 | 3-25 | 2 |
| 12. მესხეთი | 10 | 0 | 1 | 9 | 0-28 | 1 |

ლეგიონერები

აზერბაიჯანი, ლატვია

# მუჯირის შვიდი გასროლა



სტანდარტი-სიმურგი. №18 დავით ბოლქვაძე

„პეშეკარ ფუტბოლ ლიგასი", ჩვენებურად აზერბაიჯანის პრემიერლიგა, ყველაზე ქართული ჩემპიონატია უმაღლესი ლიგის შემდეგ, სამეზობლოში ორ ათეულზე მეტი ქართველი თამაშობს. იქ შაბათ-კვირას მე-10 ტურის მატჩები გაიმართა, ტურის ქართველი ლეგიონერი კი **ამირან მუჯირი** გახდა. ამირან მუჯირისა და **გიორგი დემეტრაძის** „ბაქომ" **თორნიკე აფციაურის** „კაბალას" უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა. „ტოფიკ ბაჰრამოვზე" ოდენ 300-მა გულშემატკივარმა იხილა ქართველი შემტევის დუბლი. ამირანმა თავი 54-ე და 74-ე (პენალტით) წუთებზე გამოიჩინა. დემეტრაძეც სასტარტო შემადგენლობაში იყო, ის 86-ე წუთზე შეცვალეს, 89-ე წუთზე მატჩის გმირიც გამოცვალეს. ამირან მუჯირის ანგარიშზე უკვე 7 გოლია ჩემპიონატში. თორნიკე აფციაურმა 90 წუთი ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო. „ბაქი" 23 ქულით მეორე ადგილზე, ის ლიდერ „ინტერს" მხოლოდ ქულით ჩამორჩება. „კაბალამ" მდგომარეობა კიდევ უფრო გაირთულა, აფციაურის გუნდი 10 ქულით მე-10 ადგილზეა.

ჩვენში ყველაზე დიდ ინტერესს „სტანდარდისა" და „სიმურგის" ორთაბრძოლა იწვევდა, ორივე გუნდში ჯამში ხომ რვა ქართველი ლეგიონერია, მასპინძლებს კი ქართველი მწვრთნელი ჰყავთ. „შაფაზე" 350 მაყურებელი შეიკრიბა, **კახა ცხადაძემ** კარში **მიხეილ ალავიძე** დააყენა, 90-90 წუთი ითამაშეს **ლევან სილაგაძემ** და **დავით ჭიჭველიშვილმაც**, **ბაჩანა ცხადაძე** კი მოედანზე 84-ე წუთზე გამოჩნდა. სტუმართა ქართული კვარტეტი (**კახა ჩხეტიანი, დავით ბოლქვაძე, მიხეილ მახვილაძე** და **გრიგოლ დოლიძე**) სასტარტოში იყო. 87-ე წუთზე დოლიძე შეცვალეს, დანარჩენებმა კი მატჩი ჩაამთავრეს. „სიმურგმა" **სოკოლოვის** გოლის წყალობით მოიგო - 1:0. პირველ ტაიმში ბოლქვაძე გააფრთხილეს. „სიმურგს", „ბაქის" დარად, 23 ქულა აქვს და მესამეა, „სტანდარდი" 11 ქულით მე-8 ადგილზეა.

ევლახში **მიხეილ მესხის** „ქარვანმა" 2:0 მოუგო მოიკ-ს. მესხმა შეუცვლელად ითამაშა. „ქარვანი" 22 ქულით მე-4 ადგილზეა. „ყარაბახისა" და „ნეფთჩის" მატჩი 1:1 დასრულდა, ქართველებს არ უთამაშიათ - მასპინძელთა ნახევარმცველი **ალეკო გოგობერიშვილი** სათადარიგო იყო, „ნეფთჩის" ქართული დუეტი კი დუბლებშია გადაყვანილი. „ყარაბახი" 17 ქულით მე-6 ადგილზეა, „ნეფთჩი" 10-ით - მე-9-ზე.

ბაქოს „ოლიმპიკმა" აუტსაიდერი „თურანი" გაანადგურა - 3:0. მასპინძელთა ქართული ტრიოდან ითამაშა მხოლოდ **რომან ახალკაცმა** (გააფრთხილეს) ბოლო 32 წუთი. „ოლიმპიკი" 16 ქულით მე-7 ადგილზეა. აუტსაიდერმა „ბაკილიმ" „მუღანი" დაამარცხა - 3:2. ეს ბაქოელთა პირველი გამარჯვება იყო ლიგაში (5 ქულა მე-11 ადგილი). ქართველთაგან მხოლოდ **შოთა ჯიშკარიანმა** ითამაშა, ისიც პირველი ტაიმი. სხვათა შორის, გუნდს დღეისათვის კლუბის ვიცე-პრეზიდენტი წვრთნის, რომელმაც გუნდიდან რამდენიმე ლეგიონერი გაუშვა. სავარაუდოდ, სეკვესტრში მოყვნენ **დავით ქოქიაშვილი** და **გივი ჩხეტიანიც**.

გადავინაცვლოთ სომხეთში, სადაც ჩემპიონატის დასრულებამდე ტური დარჩა. ბოლოსწინა ტურში „ულისემ" „მიკას" უმასპინძლა და 1:0 დაამარცხა.

## ჩემპიონი, კაპიტანი, ბომბარდირი და მწვრთნელი

ლატვიაში დასრულდა რიგით მე-17 ჩემპიონატი, რომელიც ზედიზედ მესამედ 11 წლის წინათ დაარსებულმა კლუბმა, "ვენტსპილსმა" მოიგო. გუნდთან ერთად, ზედიზედ მეორედ გაჩემპიონდა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი**, რომელიც "ვენტსპილსში" პრესტიჟული, 10-ნომრიანი მაისურით ირჯება. სულ კლუბს 12 ლეგიონერი ჰყავს, რომლებიც მთავარ როლს თამაშობენ კლუბის წარმატებაში. 28 წლის მენთეშაშვილის კლუბმა 63 ქულა მოაგროვა და 10 ქულით ჩამოიტოვა ლიეპაიას "მეტალურგსი". მენთეშაშვილი მუდმივად ძირითადში იყო და კლუბის ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერიც ის გახლდათ, თუ არ ჩავთვლით ტრავმისა და დისკვალიფიკაციების გამო გამოტოვებულ რამდენიმე მატჩს. ზურამ სეზონში ერთი გოლის გატანა შეძლო.

მესამე ადგილი დაიკავა ერთ დროს მარადმწვანე ჩემპიონმა "სკონტომ". რიგის გუნდი 52 ქულას დასჯერდა. "სკონტოში" ორი ქართველი ლეგიონერი თამაშობდა, ორივესთვის ეს სეზონი წარმატებული აღმოჩნდა. 22 წლის ფორვარდმა **ვლადიმერ დვალიშვილმა** 27 მატჩში 9 გოლი გაიტანა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, არადა, გუნდში **ოლეგ ლაიზანსისა** და **მარიან პაჰარსის** ყოფნის გამო, ლადოს ხშირად უწევდა სათადარიგოთა სკამიდან ბრძოლაში ჩართვა. 26 წლის **დავით გამეზარდაშვილმა** "სკონტოს" დაცვის ცენტრში მყარად დაიმკვიდრა ადგილი, კაპიტნის სამკლავური მოირგო და სეზონი 23 მატჩში გატანილი 4 გოლით დაასრულა. სეზონის დასაწყისში გუნდში **ზაალ ელიავაც** ირიცხებოდა, მაგრამ მას ჩემპიონატის ერთ მატჩშიც არ მიუღია მონაწილეობა.

ამ სეზონში შედგა **თამაზ პერტიას** სრულფასოვანი დებიუტი "დინაბურგის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე (მანამდე ის მოვალეობის შემსრულებელი იყო), მასაც ურიგოდ არ უმუშავია - "დინაბურგმა" 38 ქულით მეოთხე ადგილზე დაასრულა ჩემპიონატი. პერტიამ გუნდში "ვიტ ჯორჯიის" ნახევარმცველი **პავლე დათუნაიშვილი** მიიწვია, ის კარგად მოერგო გუნდს, სეზონში ერთი გოლიც გაიტანა, თუმცა ბოლოსკენ "დინაბურგი" მაინც დატოვა. 19 წლის **ბექარ გიორგაძეს** კი, უმთავრესად, დუბლებში უწევდა თამაში. პირველ გუნდში მან ერთი შეხვედრა ჩაატარა. ვირსლიგაში კიდევ ერთი ქართველი თამაშობდა – "ბლაზმას" მცველი **ირაკლი ქორთუა**. მისი გუნდისთვის ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა. "ბლაზმამ" 23 ქულით ბოლოსწინა ადგილი დაიკავა და გადათამაშებაში მოუწევს უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლა პირველი ლიგის მეორეადგილოსანთან, ("ტრანზიტსი").

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ სანდრო გურულთან

# დავამტკიცებ, რომ მაღალ დონეზე თამაში შემიძლია

## ნახეთ, რას წერენ ჩემზე უკრაინულ პრესაში...

**9 ნოემბერს სანდრო გურული 23 წლის შესრულდა. წარსულში თბილისის „დინამოს" ფორვარდის გია გურულის ვაჟმა დაბადების დღე საკუთარ თავს გოლით მიულოცა. კიევის „არსენალთან" მატჩის პირველივე წუთზე სანდრომ თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. „კარპატიში" და საერთოდ, უკრაინულ ლიგაში ეს მისი პირველი გოლია. გუშინ მას ლვოვში დავუკავშირდით...**



- „არსენალთან" რთული და თან სანახაობრივი მატჩი გვქონდა. მარტო ის რად ღირს, რომ ხუთიდან 4 გოლი პირველ ტაიმში, სულ რაღაც 12-წუთიან მონაკვეთში გავიდა. ძალიან გვინდოდა ამ მატჩის მოგება და ბედნიერი ვარ, რომ „კარპატის" გამარჯვებას სათავე ჩემმა გოლმა დაუდო.

**- როგორ გავიდა გოლი?**

- პირველივე შეტევისას ზენოვმა ფლანგიდან მეკარის მოედანზე, უკანა ძელთან ახლოს ჩააწოდა ბურთი, საჰაერო ორთაბრძოლა მოვიგე და თავურით შევაგდე... სხვათა შორის, კარიერის განმავლობაში, ოფიციალურ მატჩებში, თავით ბურთი პირველად გავიტანე.

**- ...და ასე მიულოცე დაბადების დღე საკუთარ თავს.**

- (იცინის)... 23 წლის გავხდი. მატჩამდე ვნატრობდი - ნეტავ, დღეს გავიტანო-მეთქი და ბედნიერი ვარ, რომ ნატვრა ამიხდა.

**- იუბილე როგორ აღნიშნე?**

- უბრალოდ, მე და რამდენიმე თანაგუნდელი შევიკრიბეთ, მსუბუქად, ალკოჰოლის გარეშე... ეს იყო და ეს.

**- ისევ „არსენალთან" მატჩს დავუბრუნდეთ. ერთის კი არა, მეტის გატანაც შეგეძლო...**

- სულ ოთხი მომენტი მქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენე... მთავარია, უკრაინაში გოლების გატანა დავიწყე და იმედი მაქვს, უგოლოდ არც მომდევნო მატჩებში გავალ მოედნიდან. კიეველებთან მოგება ძალიან გვჭირდებოდა. ამ 3 ქულით ცხრილში სამი საფეხურით ზემოთ ავინაცვლეთ და ახლა მე-9 ადგილზე ვართ.

**- რა მიზნისთვის იბრძვით?**

- ექვსეულთან 8 ქულა გვაშორებს. ეს ცოტა არ არის, მაგრამ მთელი მეორე წრე წინაა და გვინდა, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ.

**- საფრანგეთის შემდეგ უკრაინულ ლიგაში ადაპტაცია არ გაგიჭირდა?**

- არა, შეიძლება ითქვას, არ გამჭირვებია. თანაგუნდელებიც გვერდში დამიდგნენ. მთავარი მწვრთნელისგან დიდ ნდობას ვგრძნობ და ესეც მიადვილებს თამაშს. ლვოვიც კარგი ქალაქია... მოკლედ, მომწონს აქაურობა.

**- მაინც რას გეუბნება „კარპატის" თავკაცი ოლეგ კონონოვი?**

- ვარჯიშებზე მაქებს, მამხნევებს, რჩევა-დარიგებებს მაძლევს... მწვრთნელი ჩემი თამაშით კმაყოფილია. „კარპატიში" პირველივე თამაში კარგად ჩავატარე და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს. აქ ყველასგან სიყვარულსა და პატივისცემას ვგრძნობ და მეც ამითვე ვპასუხობ.

**- თანაგუნდელებიდან ვისთან მეგობრობ?**

- სერბ ივან მილოშევიჩთან, ნიგერიელ სამსონ გოდვინთან და კიდევ რამდენიმე უკრაინელია, რომლებიც ჩემი თანატოლები არიან.

**- იციან, რომ გია გურულის ვაჟი ხარ?**

- უკრაინაში მამაჩემს ბევრი იცნობს და მისი თამაშებიც ახსოვთ. რა თქმა უნდა, მსიამოვნებს, როცა მამაჩემს თბილად და პატივისცემით ახსენებენ.

**- დავუბრუნდეთ შენს ლვოვურ ამბებს. რამდენადაც ვიცით, სხვადასხვა პოზიციაზე გიწევს თამაში...**

- სულ ექვს მატჩში ვითამაშე და აქედან, სამ შეხვედრაში მარჯვენა ნახევარმცველი ვიყავი და სამშიც - მარცხნივ მათამაშეს. შემაქეს, ორივე ფლანგზე კარგად ითამაშეო. სადაც გუნდს დასჭირდება, მზად ვარ, იმ პოზიციაზე ვითამაშო.

**- ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც გითამაშია...**

- კი, მაგრამ მას მერე საკმაოდ მოვუმატე. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ ამაზე უკრაინულ პრესაშიც წერენ. ექტორ კუპერი რომ მაღალი დონის მწვრთნელია, ამაზე არავინ დაობს. მის მუშაობაზე უკვე ბევრი კარგი რამ გავიგე. საქართველოს ჩემპიონატშიც ეძებს ფეხბურთელებს და ლეგიონერებიც არ ავიწყდება. ძალიან მინდა, და იმედიც მაქვს, რომ ერთ შანსს მეც მომცემენ. მერე კი დავამტკიცებ, რომ მაღალ დონეზე თამაში შემიძლია.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნის თარო

## ფეხბურთის სახელმძღვანელო




ფეხბურთში სახელმძღვანელოების გამოცემა ჩვენში იშვიათობაა, მით უფრო მისასალმებელია, რომ ახლახან ქართულ ენაზე ვიხილეთ ისეთი გამოცემა, რომელიც განკუთვნილია იმათთვის, ვინც ეუფლება საფეხბურთო მწვრთნელის პროფესიას და იმათთვისაც, ვინც უკვე მუშაობს ამ სპეციალობით. წიგნის ავტორები არიან სპორტის აკადემიის ფეხბურთის კათედრის უფროსი მასწავლებელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი **თენგიზ რატიანი** და იმავე კათედრის ასოცირებული პროფესორი **თამაზ ჯაში**.

*„წიგნში დეტალურადაა განხილული ფეხბურთის მომზადების ყველა კომპონენტი. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა ტექნიკური, ტაქტიკური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და თეორიული მომზადება, სწავლებისა და წვრთნის პრინციპები, მოძრაობითი ჩვევების ჩამოყალიბების კანონზომიერებანი, საექიმო და პედაგოგიური კონტროლი და სხვა,"* - ვკითხულობთ შესავალ წერილში.

ცალკეა განხილული სხვადასხვა კვალიფიკაციის ფეხბურთელების მომზადების მეთოდოლოგიური საფუძვლები.

წიგნში შეტანილია სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელისა და მწვრთნელის **ალექსანდრე ჩივაძის** მოსაზრება. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ავტორთა მიერ გაწეული უდიდესი შრომის შედეგს.

ნაშრომის რედაქტორია პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ ძაგანია**. გამომცემელი - „ქართული წიგნის სახლი".

## თამაშის წესები უკვე ქართულად




ფეხბურთის თამაშის საერთაშორისო წესებზე საავტორო უფლებები IFAB-ს (საფეხბურთო ასოციაციათა საერთაშორისო საბჭო) ეკუთვნის. თამაშის წესების ნებისმიერ ენაზე თარგმნა და გამოცემა ხსენებული ორგანიზაციისა და ფიფას ნებართვის გარეშე წარმოუდგენელია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეს ნებართვა რამდენიმე თვის წინ მიიღო და „ფეხბურთის თამაშის წესები" ქართულ ენაზე უკვე გამოსცა კიდეც.

მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული, ილუსტრირებული წიგნის შეძენა მსურველებს ფეხბურთის ფედერაციაში შეუძლიათ. მსურველი კი არაერთი იქნება უბრალო ქომაგით დაწყებული, საფეხბურთო კლუბების მესვეურებით დამთავრებული. ამ წიგნში ყველაფერია - თამაშის წესების გარდა, მასში ნახავთ ინფორმაციას მოედნისა და კარის ზომებზე... წიგნის ავტორი ქართულ საფეხბურთო წრეებში კარგად ცნობილი, ყოფილი არბიტრი **ავთანდილ შალამბერიძე** გახლავთ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მწვრთნელები

# ძოლა: ყველაზე ცუდი შედეგი

## კარგი ფეხბურთელობა ყოველთვის კარგ მწვრთნელობას არ ნიშნავს


ჯანფრანკო ძოლა

როდესაც "ვესტ ჰემის" მთავარ მწვრთნელად **ჯანფრანკო ძოლა** დაინიშნა, კლუბი უმალ საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. იტალიელი სპეციალისტის მიწვევა წარმატებული პი-არ სვლა აღმოჩნდა, მაგრამ რა პრაქტიკული სარგებელი მოუტანა ამ საკადრო გადაადგილებამ ლონდონელებს?

ძოლას მისვლიდან ორი თვე მიიწურა. გარკვეული დასკვნების გაკეთება უკვე შეიძლება. ძოლამ "ჩაქუჩების" მთავარი მწვრთნელის რანგში 9 თამაში ჩაატარა, 2 მოიგო, 1 ფრედ დაასრულა და 6 წააგო. ინგლისელი მიმომხილველები სულ უფრო ხშირად იხსენებენ, რომ ჯანფრანკოს სამწვრთნელო გამოცდილება არ გააჩნია და არც პრემიერლიგაში მუშაობისათვის საჭირო ლიცენზია აქვს. ის დღევანდელ თანამდებობაზე ლიგის სპეციალური ნებართვით მოღვაწეობს.

ძოლა შესანიშნავი პიროვნებაა. ფეხბურთელობისას ის გამორჩეული ვარსკვლავი იყო, მაგრამ ფეხბურთის თამაში სხვაა, მწვრთნელობა სრულიად სხვა. ჯანფრანკომ თავად აღიარა, მწვრთნელობა იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინაო. ძოლამ აქცენტი იმთავითვე დაცვის გაძლიერებაზე აიღო. ვარჯიშებისას, ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მცველების შეთანხმებულ მოქმედებას. მაგრამ ვარჯიშებმა ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო. უშუალოდ თამაშებისას, ძოლას მიერ განხორციელებული ცვლილებები თამაშზე გარდატეხას ვერ ახდენს.

"დეილი მეილმა" იმ მწვრთნელების სია შეადგინა, რომლებიც პრემიერლიგის კლუბებში შარშანდელი სეზონის შემდეგ დაინიშნენ. ტაბლოიდმა მათ მიერ ჩატარებული უკლებლივ ყველა მატჩი შეაჯამა (წინასასეზონო ეტაპზე ჩატარებული ამხანაური თამაშების ჩათვლით) აღმოჩნდა, რომ ძოლას ამ მწვრთნელებს შორის ყველაზე ცუდი შედეგი აქვს. ცხრილში მოცემულია ჩატარებული მატჩების რაოდენობა, მოგებული, ფრედ დასრულებული და წაგებული მატჩების მონაგარი, აგრეთვე მოგებული თამაშების პროცენტული მაჩვენებელი.

| | თ | მ | ფ | წ | % |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰარი რედნაპი | 5 | 4 | 1 | 0 | 80 |
| 2. მარკ ჰიუზი | 20 | 10 | 2 | 8 | 50 |
| 3. პოლ ინსი | 14 | 5 | 4 | 5 | 36 |
| 4. ჯო კინეარი | 6 | 2 | 2 | 2 | 33 |
| 5. ტონი ადამსი | 4 | 1 | 1 | 2 | 25 |
| 6. ჯანფრანკო ძოლა | 9 | 2 | 1 | 6 | 22 |

რეალი

# ათდღიანი ტრავმების ეპიდემია

## ვან ნისტელროის სამკურნალოდ ამერიკაში უშვებენ

**რუუდ ვან ნისტელროის** ძალიან ცუდად აქვს საქმე. ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც მოგახსენეთ, რომ ჰოლანდიელმა ფორვარდმა ტრავმა მიიღო და ლაზარეთში ამოჰყო თავი. სამეფო კლუბის ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ ვან ნისტელროის მხოლოდ ერთი შეხვედრის გამოტოვება მოუწევდა, თუმცა საგულდაგულო დიაგნოსტიკის შედეგად დადგინდა, რომ მას მენისკის სერიოზული ტრავმა აქვს და შესაძლოა, ოპერაციაც კი დასჭირდეს. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელ ფორვარდს მენისკზე ერთი ოპერაცია უკვე გაკეთებული აქვს. 2000 წელს მას ექიმმა **სტედმანმა** უმკურნალა. „რეალის" მთავარი ექიმი **ალფონსო დელ კორალი** ფიქრობს, რომ რუუდი ახლაც სტედმანმა უნდა გასინჯოს და დიაგნოზი დაუსვას და თუ საჭირო იქნება, ოპერაციაც მანვე გაუკეთოს.

მადრიდელი ექიმების ინიციატივით, რუუდი უახლოეს დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება და ხსენებულ ბატონ სტედმანს გაესინჯება. არ ვიცით, ჯერ რა აუცილებელი იყო, მაგრამ „დიარიო ასის" კორესპონდენტი ამერიკელ ექიმს ტელეფონით დაუკავშირდა და უცნაური კითხვა დაუსვა, მკურნალობის პროცესში სამეფო კლუბის ექიმების პოზიციას რამდენად გაითვალისწინებთო. სტედმანმა ჟურნალისტს ასე უპასუხა: *„კოლეგიალობა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი და ხელშეუხებელი ღირებულებაა, მაგრამ თუ პაციენტს ამხელა გზაზე სამკურნალოდ მიგზავნიან და მენდობიან, მაშინ რჩევებითაც არ უნდა შემაწუხონ. სხვათა შორის, „რეალთან" ადრეც მქონდა შეხება. მახსოვს, ყველა ჭკუას მარიგებდა, მასწავლიდა, მენისკზე როგორ უნდა მემკურნალა. რა თქმა უნდა, ჩემს საქმეში ჩარევას ვერ დავუშვებ. ვიმუშავებ და პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ავიღებ. თუ საჭიროდ ჩავთვლი, რომ ვან ნისტელროის ოპერაცია სჭირდება, მაპატიეთ, მაგრამ მადრიდის „რეალის" ექიმებს არაფერს შევეკითხები."*

პირდაპირი და უკმეხი პასუხის მიუხედავად ალფონსო დელ კორალი ბატონ სტედმანზე არ ბრაზობს, პირიქით, სამეფო კლუბის მთავარი ექიმი კვლავ აცხადებს, რომ სტედმანი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ტრავმატოლოგია.

ბოლო ათი დღის განმავლობაში სამეფო კლუბის ლაზარეთი პაციენტებით ივსებოდა, გუნდი კი პირიქით, სისხლისგან იცლებოდა. თავად განსაჯეთ, სხვადასხვა სიმძიმის ტრავმის გამო ამ ათ დღეში **ბერნდ შუსტერს დიარა, სერხიო რამოსი, პეპე,** ვან ნისტელროი, **რობენი** და **რუბენ დე ლა რედი** გამოაკლდნენ. რა თქმა უნდა, დაგვეთანხმებით, რომ დანაკლისი მართლაც დიდია. ვინ იცის, იქნებ მადრიდული გრანდის გასული კვირის წარუმატებლობები სწორედ ფეხბურთელების ხშირი ტრავმებითაც იყოს გამოწვეული.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ჩელსი

# ანრი 8 მილიონად?

## არისტოკრატებიც ახალი სტადიონის აშენებას აპირებენ


ტიერი ანრი შეიძლება ლონდონში დაბრუნდეს

"ჩელსი" ტიერი ანრის შეძენას გეგმავს. ამ ინფორმაციას ინგლისური ტაბლოიდი "დეილი მეილი" ავრცელებს. ბარსელონელი ფორვარდი 8 მილიონი გირვანქა ღირს. "არისტოკრატებს" იმედი აქვთ, რომ ფეხბურთელს იანვრის ტრანსფერებისას გაუფორმებენ კონტრაქტს. **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შეტევის გაძლიერება სურს. **დიდიე დროგბას** ქრონიკული ტრავმები აწუხებს. ბრაზილიელი მწვრთნელის განკარგულებაში, ფაქტობრივად, ორი ფორვარდია - **ნიკოლა ანელკა** და **სალომონ კალუ**. სკოლარის **რობინიოს** შეძენა უნდოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა "მანჩესტერ სიტის" მიაშურა.

ანრი 31 წლისაა. ის "ბარსელონაში" მეორე სეზონს ატარებს, იქამდე კი, მოგეხსენებათ, "არსენალში" თამაშობდა. ფრანგი ვარსკვლავი უკმაყოფილოა იმით, რომ „ბარსაში" მარცხენა ფლანგზე ათამაშებენ და არა თავდასხმის ცენტრში. კატალონიელებს შეტევის წინა ხაზზე კამერუნელი **სამუელ ეტოო** ჰყავთ. ესპანელი მიმომხილველების აზრით, ანრის აბარგება სავსებით რეალურია. კიდევ უფრო რეალურია მისი ლონდონში დაბრუნება. ტიერის ყოფილი მეუღლე **კლერი** და მათი სამი წლის გოგონა **ტეა** ბრიტანეთის დედაქალაქში ცხოვრობენ. ცოტა ხნის წინ ანრიმ ისიც კი თქვა - მართალია, ბარსელონაში ვთამაშობ, მაგრამ ჩემი გული ლონდონშიაო.

კიდევ ერთი ინფორმაცია "ჩელსის" ბანაკიდან: "დეილი მეილის" მტკიცებით, "არისტოკრატები" ახალი სტადიონის აშენებას აპირებენ. მათ ისტორიული არენის, "სტემფორდ ბრიჯის" დატოვება სურთ, სადაც შორეული 1905 წლიდან თამაშობენ. ახალი სტადიონის პროექტზე უკვე მუშაობს კომპანია "ჰოკ სპორტსი". მან „უემბლის" ახალი არენა, აგრეთვე "არსენალის" "ემირიტს სთედიუმი" და "სტემფორდ ბრიჯის" ჩრდილოეთი ტრიბუნა ააშენა. არაოფიციალური ინფორმაციით, "არსენალმა" ახალ სტადიონზე გადასვლით დამატებით 100 მილიონი გირვანქა მოიხვეჭა. "მეთოფეებმა" არანაკლებ სახელოვანი არენა, "ჰაიბერი" 2006 წელს დატოვეს და ორი კვარტალის მოშორებით თითქმის ორჯერ დიდ სტადიონზე დაიდეს ბინა. "ჩელსის" სურს, მათ მაგალითს მიბაძოს. მისი ახალი სახლი 65-70 ათას მაყურებელზე იქნება გათვლილი.

არსენალი

# ვენგერს დე როსი უნდა

## უოლკოტი ახალ შეთანხმებას გააფორმებს

**არსენ ვენგერმა** დაადასტურა, რომ "რომასა" და იტალიის ნაკრების ნახევარმცველის, **დანიელე დე როსის** შეძენა სურს. "სანდი მირორის" ცნობით, ნახევარმცველმა შეიძლება **ფრანსესკ ფაბრეგასის** ადგილი დაიკავოს, თუ ეს უკანასკნელი "ბარსელონაში" გადავა. **როზელა სენსის** გავრცელებულ ჭორზე კომენტარი არ გაუკეთებია. აპენინელი ვარსკვლავის კონტრაქტს რომაულ კლუბთან ვადა 21012 წელს გასდის. 25 წლის ფეხბურთელის სავარაუდო ფასი 30-დან 35 მილიონ ევრომდე მერყეობს.

"მეთოფეთა" ხელმძღვანელობას ფრანგმა სპეციალისტმა **თეო უოლკოტისთვის** ხელფასის გაორმაგება მოსთხოვა. დღეს მოქმედი ხელშეკრულებით (ვადა 2010 წელს გასდის) ინგლისელი ფეხბურთელი კვირაში 30 ათას გირვანქას გამოიმუშავებს. "ნიუს ოფ ზე ვორლდის" ცნობით, 19 წლის ფეხბურთელი მალე კვირაში 60 ათასს მიიღებს, ხოლო უახლოეს 2-3 წელიწადში მასთან კიდევ უფრო ძვირადღირებული კონტრაქტი გაფორმდება.

"არსენალის" ერთ-ერთმა ლიდერმა **სამირ ნასრიმ** „გარდიანის" მიმომხილველს განუცხადა, რომ ლონდონში თავს უალესად ბედნიერად გრძნობს. *"ჩვენთან, საფრანგეთში "არსენალს" საფრანგეთის ჩემპიონატის 21-ე გუნდს უწოდებენ. მახსოვს, რამდენად პოპულარული იყო გუნდი ჯერ კიდევ მაშინ, როცა იქ რობერ პირესი, პატრიკ ვიეირა და ტიერი ანრი თამაშობდნენ. გუნდში ახლაც ბევრი ფრანგი ვართ და პლუს აფრიკელი ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენს ენაზე ლაპარაკობენ. რაც შეეხება არსენ ვენგერს, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ მას მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მივიჩნევ. მისი ხელმძღვანელობით თამაში ჩემთვის დიდი პატივია,"* - განაცხადა მან. შეგახსენებთ, რომ ნასრიმ 8 ნოემბერს, "მანჩესტერს" ორი გოლი გაუტანა და "არსენალს" 2:1 მოაგებინა.


დანიელე დე როსი

პრესასთან ლაპარაკი ისურვა თავად ვენგერმაც, რომელმაც განაცხადა, რომ პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშება უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ამას სეზონის დაწყებამდე ვინმე ელოდა. მისი შეფასებით, "არსენალს" შესწევს ძალა, რომ ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. *"ცხოვრება იმაზე მეტად გართულდა, ვიდრე ვფიქრობდი. საშუალო ძალისა და აუტსაიდერი გუნდები ათი წლის წინანდელთან შედარებით ულაპარაკოდ მოძლიერდნენ. "სტოკის", "ბლექბერნისა" და "ბოლტონის" კალიბრის გუნდების წინააღმდეგ ბრძოლა ახლა ბევრად უფრო ძნელია. ხოლო თუ გუნდს ჩემპიონთა ლიგაში თამაშიც უნევს, მიზნის მიღწევა ჯოჯოხეთურად რთულდება,"* – განაცხადა ვენგერმა.

ბარსელონა

# ანრის სტვენა არ ესიამოვნა

## კატალონიელმა ქომაგებმა ტიერის ბურთის დაკარგვა არ აპატიეს და დემარში მოუწყვეს

**ტიერი ანრი** კატალონიელმა გულშემატკივრებმა „ბარსელონასთან" კონტრაქტის გაფორმების დღეს ისე მიიღეს, როგორც უკვდავი და ლეგენდარული გმირი. მის პრეზენტაციას სარეკორდოდ ბევრი ხალხი დაესწრო. საზოგადოება ფრანგ ფორვარდს უდიდეს იმედებს უკავშირებდა, მაგრამ აგერ უკვე მეორე სეზონია ანრის მთელი ძალით ათამაშებას საშველი არ დაადგა. მართალია, წინა ტურის მატჩში, „ვალიადოლიდთან" მან გოლი გაიტანა, მაგრამ ინჩასები ტიერის ასპარეზობით მაინც უკიდურესად უკმაყოფილო დარჩნენ. ამის ნათელი გამოხატულება 39-ე წუთი გახლდათ. ფრანგმა ფორვარდმა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან ბურთი დაკარგა, რის გამოც მწვავე იერიში ჩაფლავა. მართალია, „ბარსა" იმ დროისთვის დამაჯერებელი ანგარიშით იგებდა, მაგრამ მაქსიმალისტმა კატალონიელმა გულშემატკივრებმა ანრი სტვენით აიკლეს. სტვენაც არის და სტვენაც, „კამპ ნოუზე" ისეთი საშინელი ხმაური ატყდა, რომ ხალხი ყურებში თითებს ირჭობდა. ასეთი ობსტრუქცია ფრანგი ვარსკვლავისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. ის წყენასა და უკმაყოფილებას არ მალავს: *„გულშემატკივრების ძალიან კარგად მესმის, ისინი მაქსიმალისტები არიან და უკლებლივ ყველა ფეხბურთელისგან საუკეთესო თამაშს ითხოვენ. მე ჩემი ფეხბურთით მაშინაც არ ვიყავი კმაყოფილი, როცა გოლი გოლზე გამქონდა და „არსენალს" ტიტულების მოპოვებაში ვეხმარებოდი. მაშინაც კი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მრჩებოდა და საკუთარ თავს უფრო მეტს ვთხოვდი. ბუნებრივია, ახლა კიდევ უფრო უკმაყოფილო ვარ. მაგრამ ის, რაც „კამპ ნოუზე" მომინყვეს, ჩემთვის სრულიად მიუღებელი და გაუგებარია. მტერი ხომ არ ვიყავი, ხალხი ბურთის დაკარგვის გამო ისე მისტვენდა და მლანძღავდა, თითქოს „ბარსელონა" გავანადგურე. სალი კრიტიკის მოსასმენად ყოველთვის მზად ვარ, თუმცა ამას არც კრიტიკა ერქვა და არც საყვარელი გუნდის ფეხბურთელის გამოცოცხლების მცდელობა. სამწუხაროდ, ტრიბუნებიდან საშინელი სიძულვილი ვიგრძენი. ამან ჩემზე ცუდად იმოქმედა. მინდა ვისურვო, რომ ეს გამონაკლისი შემთხვევა იყო, მაგრამ თუ მსგავსი ინციდენტი მომავალშიც განმეორდება, ეს ჩემთვის ბევრის მომასწავებელი იქნება და სიტუაციის განსამუხტავად „ბარსელონიდან" წავალ.*

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ანრი კატალონიური გრანდიდან გადახვეწით დაიმუქრა. შეგახსენებთ, დაახლოებით ერთი თვის წინ ტიერიმ **პეპ გვარდიოლას** ულტიმატუმი წაუყენა, თუ ძირითად შემადგენლობაში არ დამაყენებ, „ბარსადან" წავალო. გვარდიოლამ ტიერის ერთადერთი სწორი პასუხი გასცა, ძირითადში თამაშის გარანტიას ვერავის მივცემ და თუ ვინმეს, ჩვენი წესები არ მოსწონს, შეუძლია, ქუდი დაიხუროს და თავგადასავალი სხვაგან ეძიოსო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# რეკორდმაისტერი აღარ ხუმრობს!

## დაუწერელი კანონი: გზა გერმანიის ჩემპიონობისკენ ბაიერნზე გადის!

დაახლოებით თვე-ნახევრის წინ „ბაიერნი“ კრიზისში იყო და შესაბამისად, ბევრმა იფიქრა, რომ მიუნხენელები მინიმუმ ბუნდესლიგის პირველ წრეს ვერ მოიგებდნენ, მაქსიმუმ კი „ვერცხლის სინს“ ვერ შეინარჩუნებდნენ. მაგრამ **იურგენ კლინსმანის** გუნდმა მდგომარეობა ნელ-ნელა გამოასწორა და მე-12 ტურის შემდეგ, ლიდერებს, „ლევერკუზენსა“ და „ჰოფენჰაიმს“ მხოლოდ 1 ქულითღა ჩამორჩება. შესაბამისად, რეკორდმაისტერი შემოდგომის ჩემპიონობასთანაც ძალიან ახლოა და მით უმეტეს შანსი აქვს, რომ ტიტული შეინარჩუნოს. კვირას, გელზენკირხენში მოპოვებულმა სამმა ქულამ **იურგენ კლინსმანის** გუნდი (როგორც თვითონ ბავარიელებს უყვართ თქმა) ისევ იქ დააბრუნა, სადაც მისი ადგილია.

*„შალკემ“ პირველ ტაიმში შესანიშნავად ითამაშა. ფაქტია, რომ გელზენკირხენულმა კლუბმა შარშანდელი სეზონის შემდეგ პროგრესი განიცადა. გელზენკირხენელებმა ჩვენი გუნდი პირველ ნახევარში საკმაოდ მძიმე წნეხის ქვეშ მოაქციეს,“* - ამბობდა ნამატჩევს რეკორდმაისტერის გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი**.

მაგრამ რაკი თამაში „ბაიერნმა“ მოიგო, გამოდის, რომ მიუნხენელებს გაცილებით უკეთ უთამაშიათ, ვიდრე "შესანიშნავად" და შარშანდელთან შედარებით, გაცილებით დიდი პროგრესიც განუცდიათ, ვიდრე „შალკეს“. არის თუ არა ეს ასე, დრო გვიჩვენებს, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ მიუნხენურ გრანდს არ დასჭირდა გრანდიოზული ფეხბურთის ჩვენება იმისათვის, რომ „ფელტინს არენაზე“ 3 ქულა მოეპოვებინა. ეს „ბაიერნის“ სტილია და ასეთი „ბაიერნი“ ყოველთვის ძალიან საშიშია.

90 წუთის განმავლობაში ორი მაგიური მომენტი და მეორე ტაიმში დაცვაში სტაბილური თამაში საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ბავარიელებს „შალკე“ დაემარცხებინათ. აი, პირველ ტაიმში კი მიუნხენელები ოდნავ არეულები იყვნენ, რასაც კლინსმანის გუნდში არავინ უარყოფს. *„პირველი ნახევარი საათის განმავლობაში, ცოტა არ იყოს, ვნერვიულობდით. დაცვასა და ნახევარდაცვას სტაბილურობა აკლდა. სამაგიეროდ, მეორე ნახევარში თამაში დავალაგეთ, შეცდომები გავიაზრეთ და საბოლოო ჯამში მივიღეთ სწორედ ის შედეგი, რომლის მიღებაც გვსურდა,“* - აცხადებს იურგენი.

როგორც ჩანს, კლინსიმ ჭკუა ისწავლა. ფაქტია, რომ „ბაიერნს“ თამაშის მოგების ახალი სტრატეგია აქვს არჩეული. არანაირი თავზე ხელაღებული ფეხბურთი პირველიდან ბოლო წუთამდე - ეს ახალი სტრატეგიის პირველი პუნქტია. „ბაიერნი“ აღარ თამაშობს ძალიან სწრაფ ტემპში. ამასთან, ბავარიელები გაცილებით ყურადღებით თამაშობენ დაცვაში და უკანა ხაზს მოშიშვლებულს აღარ ტოვებენ. შედეგიც სახეზეა - კლინსის გუნდი ბევრ გოლს აღარ უშვებს. სხვათა შორის, თამაშის შემდეგ „შალკეს“ თავკაცმა **ფრედ რუტენმაც** აღიარა, მეტოქე გაცილებით თავდაჯერებული და ეფექტური იყო, ვიდრე ჩვენო.

მაგრამ ბავარიულ გრანდს ეს მატჩი მხოლოდ საგოლე მომენტების გამოყენების პროცენტული მაჩვენებლის, თავდაჯერებულობისა და ეფექტურობის გამო არ მოუგია. რუტენის გუნდს მოედნის ცენტრში აშკარად აკლდა ფეხბურთელი, რომელსაც ახალ-ახალი იდეები ექნებოდა. „შალკეს“ აკლია ის, ვინც „ბაიერნს“ ჰყავს: **ფრანკ რიბერი**. და ესეც არ იყოს, გელზენკირხენელებს არ ჰყავთ ისეთი თავდამსხმელი, როგორიც **ლუკა ტონია**, რომელმაც სამკვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ უკვე მესამე წუთზე შეძლო გოლის გატანა. *„როდესაც ფრანკი ბურთს მიიღებს, მცველის ადგილზე ყოფნას მტერსაც კი არ ვუსურვებ და როდესაც ლუკა ტონის მისამართით ბოლო პასი კეთდება, მეკარის ადგილზე ყოფნას მტერს არ ვუსურვებ,“* - აცხადებს კლინსმანი, თუმცა **ივან რაკიტიჩზე** ან **კევინ კურანიზე** იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყვით.

როგორც ჩანს, „ბაიერნის“ თავკაცი უკვე ძალიან კმაყოფილია. კლინსი: *"გუნდი კარგ ფიზიკურ ფორმაშია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სულ უფრო და უფრო სტაბილური, თავდაჯერებული ხდება. ვფიქრობ, რომ გაშვებული გოლები პრობლემას არ წარმოადგენს მანამ, სანამ ჩვენ მეტოქეზე მეტის გატანას ვახერხებთ.“*

ჰიონესი კი უკვე შემოდგომის ჩემპიონობაზე ლაპარაკობს, ხომ ნახეთ, „ლევერკუზენი“ 3:0-ს იგებდა და ვერ მოიგო, „ჰოფენჰაიმი“ კი სულაც „ჰერტასთან“ დამარცხდა, ასე რომ, ვინც ჩვენ ჩამოგვწერა, ძალიან მწარედ შეცდაო. ფაქტია, რომ ამ ყველაფრის შემდეგ „ბაიერნი“ კიდევ უფრო თავდაჯერებული გახდა. კლინსმანზე აუგს აღარავინ ამბობს, მის შესაძლებლობებს ეჭვქვეშ აღარავინ აყენებს და რაც მთავარია, ახლა ბუნდესლიგას „ბაიერნის“ უფრო ეშინია, ვიდრე „ლევერკუზენის“ ან „ჰოფენჰაიმისა“. თუკი ოქტომბრის დასაწყისში, „ბოხუმთან“ 3:3-ის შემდეგ „ბაიერნში“ ყველაფერი თავდაყირა იყო დამდგარი, ზედიზედ ხუთი მატჩის მოგების შემდეგ რეკორდმაისტერს კონკურენტები ისევ პატივს სცემენ და როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყველამ იცის: გერმანიის ჩემპიონის ტიტულს ბავარიული გიგანტისთვის გვერდის ავლით ვერავინ მოიგებს!


ბავარიელები იქით მიიწევენ, სადაც მათი ადგილია...



გერმანიის ნაკრები

# კურანის ბუნდესგუნდში დაბრუნება უნდა!

ზუსტად ერთი თვის წინ, „შალკესა“ და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა **კევინ კურანიმ** გერმანიის ნაკრები რუსეთთან მატჩის დროს დატოვა და ბუნდესგუნდში აღარ დაბრუნებულა, რის შედეგადაც, ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ის ნაკრებიდან გააგდო. მანამდე კევინი ამბობდა, გერმანიის პირველ გუნდში თამაში აღარ მსურსო, რასაც მოჰყვა კიდეც მისი მოკვეთა. განრისხებულმა ლიოვმა მაშინ შემდეგი განაცხადა: *„სანამ გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვარ, კევინს არ გამოვიძახებ!“*

მას მერე კურანი ფორმაში შევიდა და ბუნდესლიგასა და უეფას თასზე ექვსი გოლი გაიტანა. ახლა კი, „შალკეს“ თავდამსხმელს ნაკრებში დაბრუნების იმედი აქვს!

*„იმედი მაქვს, რომ ამ ერთმა შეცდომამ მთელი კარიერა არ გამიფუჭა. გერმანიის ნაკრებში 52 მატჩი მაქვს ჩატარებული, ჯერ მხოლოდ 26 წლის ვარ და კარიერის დასრულებამდე მინიმუმ 6 წელი დამრჩა. ცხადია, ჩემი მიზანია, რომ გერმანიის ნაკრების მაისურა კიდევ მოვირგო და ამ ქვეყნის სახელით ვიასპარეზო,“* - განუცხადა კურანიმ „ველტ ამ ზონთაგს“.

საინტერესოა, მოახერხებს თუ არა კევინი მკაცრი ლიოვის გულის მოგებას? კურანი აღიარებს, რომ მისი წასვლა შეცდომა იყო, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ამ შეცდომაზე ისწავლა: *„რომ არ წავსულიყავი, ვერ გავაცნობიერებდი ისეთ საკითხებს, რაც ჩემს ცხოვრებასა და კარიერაში უკვე ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია. პრობლემა ის არის, რომ ამას სხვები ვერ გამიგებენ, ან ძნელად გამიგებენ, რადგან არავის უგრძნია ის, რაც მე მაშინ ვიგრძენი.“*

როგორც იცით, ბუნდესგუნდიდან მოკვეთის შემდეგ ის ლიოვს ესაუბრა. აი, როგორ აღწერს კევინი იოახიმთან საუბარს: *„იოგის ვუთხარი, რომ ჩემი საქციელი და კერძოდ ის, თუ როგორი ფორმით წავედი გუნდიდან, შეცდომა იყო და რომ ამის გამო ძალიან მრცხვენია. შევეცადე, მისთვის ამეხსნა, რატომ გადავდგი ასეთი ნაბიჯი, რომელსაც ჩემგან არავინ ელოდა - მამაჩემიც კი. მან მომისმინა, მაგრამ აზრი არ შეუცვლია.“*

მოკლედ, იოახიმ ლიოვთან არავის არაფერი გასდის. თუკი კაპიტან **მიხაელ ბალაკს** და **ტორსტენ ფრინგსს** არ გაუვიდათ თავისი, რა გასაკვირია, რომ კურანის უფრო ნაკლები შანსი ჰქონოდა. შესაბამისად, თუკი ლიოვის წინაშე ბალაკმა და ფრინგსმა დაიჩოქეს, არც ისაა გასაკვირი, რომ კურანიც იმავეს აკეთებს და იოგის ფაქტობრივად სთხოვს, ნაკრებში დამაბრუნეო. რას იზამს ბუნდესმწვრთნელი? შეინდობს „შალკეს“ თავდამსხმელს? ფაქტია, რომ ნაკრებიდან მოკვეთის შემდეგ, იოგიმ თქვა, კევინი ჩემს ხელში ნაკრებში აღარასოდეს დაბრუნდებაო. ნაკლებად სავარაუდოა, რომ იოახიმმა აზრი შეიცვალოს...

ჰოფენჰაიმი

# რუმენიგემ სოფლელებს დასცინა

## ...და საკადრისი პასუხიც მიიღო

„ბაიერნის“ ყოველწლიურ კრებაზე, მიუნხენური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** „ჰოფენჰაიმს“ დასცინა. ამ გუნდს კალეს დასაცინი არაფერი სჭირს, მაგრამ მაინც... როგორც იცით, ჰოფეს სრული სახელი „ჰოფენჰაიმ 1899“-ია. აი, რა თქვა რუმენიგემ: *„როდესაც 1899-ს ვკითხულობ, ირონიულად მეღიმება ხოლმე. კი მაგრამ, სად იყო „ჰოფენჰაიმი“ ბოლო 100 წლის განმავლობაში?“*

ასე მიუნხენში რეკორდმაისტერის ფანები ლაპარაკობენ და როგორც ხედავთ, რუმენიგეც მათ დონეზე დაეშვა. როგორც ჩანს, კალემაც იგრძნო, რომ „სოფლელებს“ მართლაც შეუძლიათ ჩემპიონობისთვის ბრძოლა. ან იქნებ რუმენიგე იმაზეა გაბრაზებული, რომ „ჰოფეს“ ფლეიმეიქერმა **სეიად სალიჰოვიჩმა** „ბაიერნში“ გადასვლაზე უარი თქვა? არადა, რეკორდმაისტერის პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერი** და მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** „ჰოფენჰაიმის“ მფლობელ **დიტმარ ჰოპის** მეგობრებად მიიჩნევიან.

*„ძალიან გაკვირვებული ვარ და არ მესმის, რატომ გააკეთა რუმენიგემ ასეთი განცხადება!“* - ამბობს ჰოპი.

*„რუმენიგემ ამ განცხადებით პირველ რიგში საკუთარი თავი დაამცირა, მერე კი ჩვენ. სხვათა შორის, არც „ბაიერნია“ ბუნდესლიგის დამაარსებელი,“* - ეს „ჰოფენჰაიმის“ პრეზიდენტ **პეტერ ჰოფმანის** სიტყვები გახლავთ. მწვრთნელმა **რალფ რანგნიკმა** კი რუმენიგეს განცხადებაში პოზიტიური ასპექტი შენიშნა: *„მნიშვნელობა არ აქვს, რა იყო 100 წლის წინ. მთავარია, რა ხდება დღეს. მაგრამ ის, რომ „ჰოფენჰაიმი“ „ბაიერნის“ მთავარი კრების მთავარი თემაა, პირადად მე ძალიან მახარებს!“*

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ **ლენცამ**


რუმენიგეს სიტყვები რანგნიკს სასაცილოდ არ ჰყოფნის

გამოძახილი

# ანჩელოტი მსაჯს ადანაშაულებს

ამ უქმეებზე იტალიის ჩემპიონატში კიდევ ერთხელ შეიცვალა ლიდერი. პირველ ადგილზე მყოფმა „მილანმა“ ტურის ბოლო შეხვედრაში „ლეჩეს“ ვერ მოუგო (1:1) და მესამე პოზიციაზე ჩამოქვეითდა. მატჩის შემდეგ, „მილანის“ მწვრთნელი და ფეხბურთელები ძალიან უკმაყოფილოები იყვნენ და მსაჯსაც შემოსწყრნენ. სანამ დავკონკრეტდებოდეთ, შეგახსენებთ, რომ „მილანმა“ ლიდერობა წინა ტურში მოიპოვა და ეს დიდი ზარ-ზეიმითაც აღნიშნა. „როსონერის“ გალიდერებას იტალიაში იმხელა ამბავი მოჰყვა, რომ ნამდვილად არავინ ელოდა, **ანჩელოტის** გუნდი პირველობას ასე მალე თუ დათმობდა.



ლეჩეში დაკარგულ ქულებზე კარლეტოს შემდეგი აზრი აქვს: „ამ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ. პირველივე წუთიდან ვფლობდით უპირატესობას და თამაშის სადავეები ბოლომდე გავაკონტროლეთ. ეს იყო ყველაზე დინამიკური შეხვედრა, რომელიც ამ სეზონში ჩავატარეთ და ძალიან სამწუხაროა, რომ მხოლოდ ქულა ავიღეთ. თუ რატომ მოხდა ასე, მთავარ მსაჯს უნდა ჰკითხოთ. ბოლო წუთზე აბსოლუტურად გაუმართლებელი საჯარიმო დანიშნა და გოლიც გავუშვით. ფეხბურთელებს შორის კონტაქტი მინიმალური იყო, ასეთ ჯარიმებს მხოლოდ იტალიაში ნიშნავენ და ეს ძალიან ცუდია. თამაში ყოველ წუთს არ უნდა ჩერდებოდეს და ფეხბურთელებს ბრძოლის საშუალება უნდა მივცეთ“.

უკმაყოფილო იყო **რონალდინიოც**, ვინც „მილანელთაგან“ ერთადერთი გოლი გაიტანა. გაუჩო ბოლო ხანს შესანიშნავად ათამაშდა და უკვე ზედიზედ მესამე მატჩია, რაც უგოლოდ არ ტოვებს მოედანს. რონიმ შემდეგი განაცხადა: „ძალიან კარგად ვითამაშეთ და დასანანია, რომ სამი ქულა ვერ მოვიპოვეთ. „ლეჩე“ ურიგო გუნდი არაა, თუმცა ამ შეხვედრაში ფრეს ნამდვილად არ იმსახურებდა. მთელი შეხვედრის განმავლობაში ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ვფლობდით, რაც შედეგშიც უნდა აგვესახა. რაც შეეხება ჩემს გარჯას, ურიგოდ არ მიასპარეზია და საერთოდაც, ბოლო ხანს თამაში მიმდის. ეს პირველ რიგში თანაგუნდელების დამსახურებაა, ისინი უკვე თვალდახუჭული მიგებენ, მიუხედავად იმისა, რომ „მილანში“ დიდი ხანი არ არის, რაც ვთამაშობ. დაკარგული ქულებისგან ტრაგედიას ნამდვილად არავინ ქმნის, წინ მთელი სეზონია და კიდევ ბევრჯერ მოვიგებთ. ისე კი, ჩემპიონატი აქედანვე ძალიან დაძაბულია და ალბათ ბოლო ტურამდე ასე იქნება“.

# რანიერი დელ პიეროს აქებს

**ტურინის** „იუვენტუსის“ წარმატებული სერია კვლავ გრძელდება. ამ უქმეებზე „ვეკია სენიორამ“ სტუმრად „კიევო“ დაამარცხა და სატურნირო ცხრილში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. **კლაუდიო რანიერის** გუნდი მატჩიდან მატჩამდე უმატებს და რაც დრო გადის, სულ უფრო ხარისხიან ფეხბურთს თამაშობს. ამის შემხედვარე, იტალიურ პრესაში უკვე იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ „იუვე“ სკუდეტოსთვის იბრძოლებს და არც ჩემპიონთა ლიგაზე დათმობს რამეს. გუნდის თავკაცი ვერონული მატჩის შემდეგ ამაღლებულ განწყობაზე იყო, შეგირდები ქებით ცაში აიყვანა, განსაკუთრებული სიტყვები კი **ალესანდრო დელ პიეროს** უძღვნა. შეგახსენებთ, რომ **პინტურიჩიომ** „კიევოსაც“ გაუტანა გოლი და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ დიდებულ ფორმაშია. აი რა განაცხადა რანიერიმ: „ძალიან კარგი დროება გვიდგას, მატჩს მატჩზე ვიგებთ და ეს ყველას გვახარებს. ვშიშობდი, რომ ურთულესი პაექრობების შემდეგ ფეხბურთელებს „კიევოსთან“ თამაშისთვის განწყობის შექმნა გაუჭირდებოდათ, თუმცა ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. მათ დიდი ენთუზიაზმი გამოავლინეს და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს. თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად ითამაშა და მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი კი, რა თქმა უნდა, დელ პიეროა. ალექსი საოცარ ფეხბურთს თამაშობს, რომლის მსგავსიც დიდი ხანია არ მინახავს. მატჩის მსვლელობისას უბრალოდ ვუყურებ მას და ვტკბები. ჩემი აზრით, დელ პიერო თანამედროვეობის უდიდესი ფეხბურთელია და ძალიან მიხარია, რომ ის „იუვენტუსის“ ღირსებას იცავს. ალე ნამდვილი კაპიტანია, ლიდერის თვისებები აქვს, რაც კიდევ უფრო ფასეულს ხდის მის გუნდში ყოფნას.

ამ გამარჯვებით ცხრილში კიდევ უფრო წავედით წინ და ლიდერთა მარაქაში გავერიეთ. არადა, ორიოდე კვირის წინ ყველამ ჩამოგვწერა და ჩვენზე ხელი ჩაიქნია. ბევრმა მოგვინოდა კიდეც, რომ აქცენტი ჩემპიონთა ლიგაზე გადაგვეტანა და იტალიის ჩემპიონატში მხოლოდ ოთხეულში მოსახვედრად გვებრძოლა. ყველაფერი გაზაფხულზე გადაწყდება, იქამდე კი რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა ავიღოთ. ჩვენი მთავარი კონკურენტები მილანური გრანდები არიან. „ინტერის“ უპირატესობა გრძელი სათადარიგო სკამია, „მილანს“ კი იმაში გაუმართლა, რომ ჩემპიონთა ლიგაში არ უწევს თამაში. ჩვენ ჩვენსას შევეცდებით და იმედია, შედეგსაც მივაღწევთ“.



ინტერვიუ ხავიერ ძანეტისთან

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ინტერი გამარჯვებებს იმსახურებდა

## ძანეტისთვის მარადონა გამოცანაა

**იტალიის მიმდინარე ჩემპიონატი ძალიან საინტერესოდ დაიწყო და ასევე გრძელდება. ლიდერი ფაქტობრივად ყოველ ტურში იცვლება და ასე მოხდა გასულ უქმეებზეც. „ინტერმა“ საკუთარ კედლებში კერკეტი „უდინეზე“ მიიღო და ბოლო წუთებზე გატანილი გოლის წყალობით დაამარცხა. მატჩის შემდეგ, იტალიელი ჟურნალისტი „ნერიაძურის“ კაპიტანს, ხავიერ ძანეტის გაესაუბრა. ძანეტიმ გუნდზე, სერია A-ზე და არგენტინის ეროვნულ ნაკრებზე ისაუბრა.**

**- „უდინეზესთან“ და „რეჯინასთან“ ბოლო წამებზე გატანილი გოლებით მოიგეთ, ფორტუნა „ინტერის“ მხარესაა, მეთანხმებით?**

- არც მასეა საქმე. ვერავინ იტყვის, რომ ამ ორ შეხვედრაში მოგება არ გვეკუთვნოდა. ბოლო წუთებზე, რეჯო კალაბრიაშიც და „ჯუზეპე მეაცაზეც“ შტურმი მოვაწყვეთ და სრულიად დამსახურებული გოლები გავიტანეთ. ბოლო ორ ტურში ძალიან მნიშვნელოვანი მატჩები მოვიგეთ და ლიდერის პოზიცია დავიბრუნეთ. არადა, მცირე ჩავარდნისას პრესამ დაუმსახურებლად გაგვაკრიტიკა.

**- მაინც უნდა აღიაროთ, რომ უდინელებთან“ ძალიან გაგიჭირდათ...**

- რა თქმა უნდა, გაგვიჭირდა და ამის უარყოფა არც მიცდია. „უდინეზე“ ორგანიზებული და დიდი შესაძლებლობების მქონე გუნდია. ფრიულელები შემთხვევით ნამდვილად არიან ლიდერთა შორის და დარწმუნებული ვარ, პირველობის ბოლომდე ასე იქნება. უდინელები მჭიდროდ გვეთამაშნენ, ჩვენს ფორვარდებს გასაქანს არ აძლევდნენ და ხშირად პრესინგითაც გვავიწროებდნენ.

**- გადამწყვეტი გოლი კვლავ რიკარდო კრუსმა გაიტანა, არ ფიქრობთ, რომ თქვენი თანამემამულე სასტარტოში თამაშის ღირსია?**

- ისეთ დიდ გუნდში, როგორიც „ინტერია“, არ არსებობენ სასტარტო და სათადარიგო ფეხბურთელები. კრუსი ყოველთვის ჩუმად მუშაობს და საქმე საქმეზე რომ მიდგება, თავის სიტყვას ამბობს. რიკარდო შრომისმოყვარეა, ამასთან გოლის ალღო აქვს და მეტოქეთათვის ძალიან სახიფათოა. ერთნაირად კარგად თამაშობს თავით და ფეხით, რაც მის ფასს ზრდის. მოურინიომ იცის რიკარდოს ფასი და ენდობა კიდეც. ასე რომ, მას მომავალში სასტარტო შემადგენლობაში არაერთხელ ვიხილავთ.

**- არადა, ჟოზე მოურინიოს კრუსი და ადრიანო დასჯილი ჰყავდა, მაინც რა გააკეთეს ასეთი თქვენმა თანაგუნდელებმა?**

- ეს ისტორია წარსულს ჩაჰბარდა და უმჯობესია თუ აღარ დავუბრუნდებით. განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებიათ, რეჟიმი დაარღვიეს და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც. ასეთი რამ ნებისმიერ ფეხბურთელს შეიძლება დაემართოს, ასე რომ, მოდით, ნუ ვიქნებით ძალიან კრიტიკულნი. ეს ამბავი ჟოზემაც მალე დაივიწყა და ფეხბურთელებმაც.

**- ჩემპიონთა ლიგაში გუნდის თამაში უკეთესის სურვილს ტოვებს, ამის გამო პრესა მოურინიოს აკრიტიკებს კიდეც...**

- ჟოზემ იცის, რას აკეთებს და უმჯობესია თუ მის საქმიანობაში საერთოდ არ ჩავერევით. მოურინიო თავისი საქმის უბადლო მცოდნეა და ამას შედეგებით ამტკიცებს. არ შეიძლება გუნდი ყველა თამაშს ერთ დონეზე ატარებდეს, ჩავარდნა ბუნებრივი მოვლენაა და ეს ნებისმიერ გუნდს ემართება. ჩემპიონთა ლიგაში შემთხვევითი გუნდები არ გადიან, „ანორთოსისი“ ძლიერი გუნდია, რაც ჯგუფის ცხრილში კვიპროსელთა პოზიციითაც ნათლად დასტურდება.

**- არგენტინის ნაკრებს და მის ახალ დამრიგებელს, მარადონას შევეხოთ, რას იტყვით დიეგოზე?**

- მარადონა უდიდესი ფეხბურთელი იყო და იმედი მაქვს, მისგან ასეთივე მწვრთნელი დადგება. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი თუ არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა. დიეგოსთან მუშაობა საინტერესო და ამავდროულად ამაღელვებელი იქნება, ის ხომ თითოეული ჩვენგანის კერპია.

**- ამასობაში კი კერპმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა, მისი თქმით, კაპიტნის სამკლავურს არა თქვენ, არამედ ხავიერ მასკერანო იმსახურებს.**

- უტრირებას ახდენთ, ასეთი რამ დიეგოს არ უთქვამს. მან განაცხადა, რომ მასკერანო ძალიან კარგი კაპიტანი იქნებოდა. მწვრთნელი გადაწყვეტს, ვინ გაუძღვება ეროვნულ გუნდს, თუ ამას ხავიერი იმსახურებს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. აქვე მინდა „ლივერპულელს“ მადლობა გადავუხადო, მან კაპიტნობაზე უარი თქვა და ჩემი მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურა.

**- დაბოლოს, რა შანსები ექნება ალბისელესტეს მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

- დღეს ამაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც ახალი ხედვით და ახალი სტრატეგიით მოვა. ჯერჯერობით, ისიც კი არ ვიცით, რა შემადგენლობას დაეყრდნობა მარადონა. ისე კი, ფეხბურთელთა შერჩევით არგენტინას ცოტა თუ შეედრება და მუნდიალზე გაბრწყინების შანსი რომ გვაქვს, ეს ცხადზე ცხადია.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



სამწვრთნელო საკითხი


მარკო ვან ბასტენი, დიეგო მარადონა და იურგენ კლინსმანი: დიდი ფეხბურთელები, რომლებიც გამოცდილების არქონის მიუხედავად, ეროვნულ ნაკრებებში დანიშნეს

# მარადონა გაკვალულ გზას მიუყვება

## გულშემატკივართა კერპები ნაკრები გუნდების სათავეში

**დონ დიეგო მარადონას არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ იმ შემთხვევების გახსენება დავაპირეთ, როდესაც ნაკრების სათავეში სერიოზული სამწვრთნელო გამოცდილების არმქონე დიდი ფეხბურთელები დგებოდნენ. ვნახოთ, ვის რამხელა წარმატება ხვდა წილად და რითი სრულდებოდა ეს შემთხვევები. ფაქტია, რომ მარადონა პირველი არ არის, რომელსაც გამოცდილების არქონის მიუხედავად, ამხელა პატივი დაეკისრა. ის უკვე გაკვალულ გზას შეუდგა. ცალკე გამოვყოფთ სამხრეთ ამერიკას, სადაც მოდად იქცა წარსულის დიდი ფეხბურთელების ნაკრებში დასაქმება. ბრაზილიას კარლოს დუნგა წვრთნის, ბოლივიას ერვინ სანჩესი, თუმცა მათ მოღვაწეობას ძნელია, წარმატებული უწოდო...**

### 10. კობი კუნი

დაიბადა 1943 წლის 12 ოქტომბერს. მან მთელი კარიერა შვეიცარიაში გაატარა, ნაკრებში კი 63 შეხვედრა ჩაატარა. ის შვეიცარიული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევა. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობისას კუნი უდისციპლინობის გამო ნაკრებიდან გააძევეს. სანამ ეროვნულ გუნდს სათავეში ჩაუდგებოდა, იქამდე 18 წელიწადი მწვრთნელად ნამუშევარი არ გახლდათ. 1983 წელს სულ რაღაც ერთი სეზონის განმავლობაში კობი კუნი მშობლიური "ციურიხის" დუბლებსა და შემდეგ მთავარ გუნდს ავარჯიშებდა. მან ეროვნული გუნდი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალში გაიყვანა.

### 9. დეიან სავიჩევიჩი

დაიბადა 1966 წლის 15 სექტემბერს. საკლუბო დონეზე დეიანის ყველაზე დიდი მიღწევები "მილანს" უკავშირდება, სადაც ლეგენდარული ნახევარმცველი 1992-1998 წლებში თამაშობდა. 2001 წლის მაისში კარიერის დასრულების შემდეგ ის სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. დეიანს ზეგამოცდილი ასისტენტები დაუნიშნეს – **ვუიადინ ბოშკოვი** და **ივან ჩურკოვიჩი**, მაგრამ დეკემბერში ის უკვე მარტო დარჩა. 8 მოგების, 4 ფრისა და 13 წაგების შემდეგ სავიჩევიჩი გადადგა. ახლა ის ჩერნოგორიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია.

### 8. გეორგე ჰაჯი

დაიბადა 1965 წლის 5 თებერვალს. "კარპატელმა მარადონამ" ეროვნული გუნდი 2001 წელს ჩაიბარა. სხვა გამოსავალი არ იყო, რადგან **ლასლო ბოლონიმ** ლისაბონის "სპორტინგის" წინადადება მიიღო. გეორგემ ვერ უზრუნველყო 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდის გაყვანა და დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. 2001 წლის 6 ოქტომბერს, ბუქარესტში, მისი გუნდი ბეწვზე გადაურჩა საქართველოს ნაკრებთან წაგებას. მატჩის 88-ე წუთზე ანგარიში **ჯიკა პოპესკუმ** გაათანაბრა.

### 7. ხრისტო სტოიჩკოვი

დაიბადა 1966 წლის 6 თებერვალს. ბულგარული ფეხბურთის ისტორიაში უდიდესმა ფეხბურთელმა ნაკრები 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჩაიბარა. იქამდე მისი სამწვრთნელო გამოცდილება "ბარსელონაში" თავდამსხმელებთან მუშაობით ამოიწურებოდა. ხრისტოს აუტანელი ხასიათის წყალობით ნაკრებში სიტუაცია დამძიმდა. კაპიტან **სტილიან პეტროვის** მეთაურობით რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა ეროვნულ გუნდში თამაშზე უარიც კი თქვა. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე ბულგარეთი ვერ მოხვდა. 2008 წლის ევროფორუმის შესარჩევი ეტაპის წარუმატებლად დაწყების შემდეგ ფედერაციამ ხრისტო დაითხოვა.

### 6. მიშელ პლატინი

დაიბადა 1955 წლის 21 ივნისს. ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ნაკრები უჩვეულოდ ახალგაზრდამ ჩაიბარა. 1988 წელს ის სულ რაღაც 33 წლისა გახლდათ. 1990 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ფრანგებს წარუმატებლად ჰქონდათ დაწყებული, რის გამოც **ანრი მიშელი** დაითხოვეს და ნაკრები პლატინის ჩააბარეს. იტალიაში გამართულმა ჩემპიონატმა ფრანგების გარეშე ჩაიარა, თუმცა მწვრთნელის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. 1992 წელს შვედეთში მიმავალი გზა "სამფეროვნებმა" ტრიუმფალურად განვლეს - მოიგეს რვიდან რვა შეხვედრა, ფინალურ ეტაპზე შვედეთის, დანიისა და ინგლისის გარემოცვაში კი ვერაფერი გააწყვეს და ტურნირს უსახელოდ გამოეთიშნენ. მას შემდეგ პლატინის მწვრთნელად აღარ უმუშავია.

### 5. ფრანკ რაიკაარდი

დაიბადა 1962 წლის 30 სექტემბერს. ლეგენდარულ ჰოლანდიელს ზღვა პასუხისმგებლობა დააკისრეს, როდესაც 1998 წელს ეროვნული გუნდი ჩააბარეს. ფრანკის ბედს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ამძიმებდა. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატი ბელგია-ჰოლანდიაში ტარდებოდა. საშინაო პირველობაზე მისგან მთელი ქვეყანა ოქროს მედალს ითხოვდა. ჰოლანდია კარგად თამაშობდა ჯგუფურ ეტაპზე, ბრწყინავდა პლეი ოფში იუგოსლავიასთან... რა მოხდა ნახევარფინალში იტალიასთან, დღემდე გაუგებარია. ორი გაფუჭებული პენალტი თამაშის მიმდინარეობისას ძნელია, რამით ახსნა. ერთი სიტყვით, ფინალში იტალია გავიდა. ფრანკი დაუყოვნებლივ გადადგა. მოგეხსენებათ, როგორ განვითარდა შემდგომში მისი ბედი. 2003 წელს მან "ბარსელონა" ჩაიბარა, ხოლო 2006 წელს ჩემპიონთა ლიგის მოგებაც კი მოახერხა.

### 4. მარკო ვან ბასტენი

დაიბადა 1964 წლის 31 ოქტომბერს. "აიაქსის" დუბლებში ერთი სეზონის განმავლობაში მუშაობის შემდეგ მას ნაკრების ჩაბარება შესთავაზეს. მარკომ თავი არაორდინარული გადაწყვეტილებებით დაგვამახსოვრა, რის გამოც, ექსპერტების აზრით, მის გუნდს წარმატების შანსი არ ჰქონდა. გაუგებარი იყო მისი გადაწყვეტილება, როცა **ვან ნისტელროოისა და ჰუნტელაარის** ნაკრებში ყოფნისას ვან ბასტენი აქცენტს **დირკ კუიტზე** აკეთებდა. 2006 წელს, გერმანიის მუნდიალზე ჰოლანდია პორტუგალიასთან გამართულ თრილერში გამოეთიშა ასპარეზობას, შეხვედრაში, სადაც რუსმა არბიტრმა **ვალენტინ ივანოვმა** ფეხბურთელებს 12 ყვითელი და 4 წითელი ბარათი უჩვენა.

ევრო 2008-ის პერიპეტიები თითოეულ თქვენგანს შესანიშნავად ეხსომება. ჯგუფში ჰოლანდია მეფურად თამაშობდა. მეოთხედფინალში კი ახალგაზრდა კოლეგა "ბებერმა" **გუუს ჰიდინკმა** განაიარაღა. მან ზედმიწევნით უწყოდა თითოეული ჰოლანდიელის შესაძლებლობები. მარკო დამარცხებისთანავე გადადგა ნაკრების დამრიგებლის პოსტიდან. თუმცა ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე მას "აიაქსთან" კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული. დღეს ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი ამსტერდამულ გრანდში მუშაობს.

### 3. რუდი ფიოლერი

დაიბადა 1960 წლის 13 აპრილს. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საფეხბურთო გერმანია აპათიამ მოიცვა. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი არ ჩანდა. ამას დაემატა სკანდალი ეროვნული გუნდის თავკაცთან დაკავშირებით. მოგეხსენებათ, **ერიხ რიბეკის** შემდეგ ნაკრებში **კრისტოფ დაუმი** უნდა დაენიშნათ. საქმე გადაწყვეტილი იყო, როცა ხმა... **ული ჰიონესმა** აღიმაღლა - ნარკომანს ნაკრებში რა უნდა, ვარჯიშებს კოკაინის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ატარებდაო. კრისტოფი ლაბორატორიაში თმის ნარკოლოგიურ შემოწმებას დასთანხმდა და სწორედ კოკაინზე ჩავარდა. ამას გრანდიოზული სკანდალი მოჰყვა. წარმოიდგინეთ გამოუცდელი მწვრთნელი, რომელსაც, ერთი შეხედვით, უპერსპექტივო გუნდს აბარებენ. "რუხი მგელი" ყველანაირ პრობლემაზე ამაღლდა და პირველივე სანაკრებო თამაშში გერმანიას იმედი დაუბრუნა. **მეჰმეთ შოლისა** და **ალექსანდერ ციკლერის** დუბლების წყალობით მასპინძლებმა ესპანეთის ნაკრები მიწასთან გაასწორეს 4:1. ორიოდე თვეში ამას "უემბლიზე" ინგლისის დამარცხება მოჰყვა (1:0).

მიუხედავად ყველაფრისა, თაობათა ცვლის პროცესი გერმანიის ნაკრებმა საკმაოდ რ...ულად გადაიტანა. გვახსენდება მიუნხენში 5:1-ზე სამარცხვინოდ წაგებული შეხვედრა იმავე ინგლისთან. კორეა-იაპონიის მუნდიალზე გუნდი უკრაინასთან მოგებული პლეი ოფის წყალობით მოხვდა. თუმცა აზიაში გუნდმა იმაზე კარგად ითამაშა, ვიდრე ამას ყველაზე ოპტიმისტი ფანი წარმოიდგენდა - გავიდა ფინალში, სადაც გადამწყვეტი შეხვედრა ფეერიულ ბრაზილიასთან ...ათმო. ევრო 2004-ზე გუნდმა ძალზე ცუდად ითამაშა, რის შემდეგაც რუდი ფიოლერი გადადგა.

### 2. იურგენ კლინსმანი

დაიბადა 1964 წლის 30 ივლისს. ის ფეხბურთელობისასაც განსაკუთრებულ ქარიზმას ფლობდა. კლინსიმ ეს თვისება მწვრთნელობის ჟამსაც შეინარჩუნა. ფიოლერის ნაცვლად ნაკრებს სათავეში კლინსმანი ჩაუდგა. "რუხი მგელის" დანიშვნისა არ იყოს, ეს გადაწყვეტილ...ბაც, გარკვეულწილად, იძულებითი იყო. საშინაო ტურნირზე გუნდის გაძღოლა **ოტმარ ჰიტცფელდმა** იუარა. ოფიციალური ვერსიით მას დასვენება სურდა. ზურგს უკან კი ყველა ლაპარაკობდა, რომ "გენერალმა" პასუხისმგებლობა აიცილა. საქმეს კლინსმანი შეუდგა. სიმართლე უნდა ითქვას - ის და **იოგი ლიოვი** გუნდის აწყობას დიდი ხანი მოუნდნენ, მაგრამ შედეგი მოლოდინად ღირდა. 2006 წლის ზაფხულში კლინსმანმა სამშობლოს ზაფხულის ზღაპარი აჩუქა. იურგენმა თავისი არკოლეს ხიდი ვერ გადაიარა, ის ყოვლისშემძლე **მარჩელო ლიპიმ** ნახევარფინალურ ეტაპზე შეაჩერა, თუმცა გერმანიამ დაიჩოქა და დარჩენა სთხოვა... დღეს ის მიუნხენის "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელია და ლამაზ ზღაპარს ახლა მიუნხენში დგამს...

### 1. ფრანც ბეკენბაუერი

დაიბადა 1945 წლის 11 სექტემბერს. ალბათ, ძნელი გასახსენებელია სხვა მაგალითი, როცა სამწვრთნელო გამოცდილების არმქონე სპეციალისტი გუნდს იბარებდეს და ამხელა შედეგებს აღწევდეს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან კაიზერფრანცი ყველაფერში გამორჩეული იყო. ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას მას "იმპერატორი" შეარქვეს, შემდეგ სამწვრთნელო ასპარეზზეც ისეთივე მწვერვალები დალაშქრა, რაც მოთამაშეობისას. თავი გამოიჩინა როგორც ფუნქციონერმაც, ფეხზე დააყენა რა მშობლიური კლუბი. იყო 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი. ყველაფერი, რასაც კაიზერმა ხელი მოჰკიდა, ოქროდ აქციაო, - ამბობენ გერმანიაში.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აბრამოვიჩი ფულს ზოგავს

მოგეხსენებათ, „ჩელსის" ბოსმა რომან აბრამოვიჩმა 35-დან 10 სკაუტი გაათავისუფლა. რუსი მილიარდერი სხვა ხარჯების შემცირებასაც ითხოვს. ეს ინფორმაცია სააგენტო "როიტერმა" ლონდონელთა ტრანსფერების მენეჯერ **ფრანკ არნესენზე** დაყრდნობით გაავრცელა. რომან არკადიჩმა "არისტოკრატების" შეძენა 2003-ში გადაწყვიტა. მას შემდეგ გუნდმა უამრავი საჭირო თუ ზედმეტი ტრანსფერი გაჩარხა - **პეტრ ჩეხი**, 9 მილიონი; **პაულუ ფერეირა**, 13.2 მილიონი; **დიდიე დროგბა**, 24 მილიონი; **რიკარდო კარვალიო**, 19.85 მილიონი; **არიენ რობენი**, 9 მილიონი; **მიკაელ ესიენი**, 24.4 მილიონი; **შონ რაიტ-ფილიპსი**, 21 მილიონი; **ასიერ დელ ორნო**, 8 მილიონი; **სალომონ კალუ**, 8 მილიონი; **ჯონ ობი მიკელი**, 16 მილიონი; **ანდრეი შევჩენკო**, 30 მილიონი. ეს, რა თქმა უნდა, არ გახლავთ სრული სია. სატრანსფერო ხარჯების გარდა, "ჩელსის" პრემიერლიგაში ყველაზე დიდი სახელფასო ფონდიც აქვს. გუნდში ხუთ ფეხბურთელს კვირაში 100 ათას გირვანქაზე მეტს უხდიან. ექსპერტების გათვლებით, უახლოეს ოთხ-ხუთ წელიწადში აბრამოვიჩს გუნდიდან მოგების მიღება ძალიან გაუჭირდება.

## ვილტორი ნანტში არ გადავა

გასულ კვირაში **სილვენ ვილტორმა** "ნანტისგან" საინტერესო წინადადება მიიღო, გვაუწყებს "ეკიპ". საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ითხოვა. როგორც გუშინწინ გახდა ცნობილი, ტრანსფერი არ შედგება. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მართალია, "რენის" თავკაცი **გი ლაკომბი** ვილტორისადმი ნდობით არ ინვის, მაგრამ **ელი ბოპის** "ნანტს" იმდენად მძიმე მდგომარეობა აქვს, რომ ვეტერანი თავდამსხმელი ვერას გახდებოდა. შესაბამისად, მას კარიერის მეორე ლიგაში გაგრძელების სურვილი არ აქვს.

## ლე გენი კმაყოფილია

"ლილთან" შეხვედრამდე "პარი სენ ჟერმენს" 4 შეხვედრაში 3 წაგება ჰქონდა. ბოლო ტურის მატჩი პარიზელებმა შესანიშნავად ჩაატარეს და 1:0 იმარჯვეს. **პოლ ლე გენის** განცხადებით, ის კმაყოფილია მისი მოთამაშეების საბრძოლო სულისკვეთებით. *"პარკ დე პრენსმა" იხილა გუნდი რომელსაც ძალიან უნდოდა გამარჯვება და ამისთვის იომა კიდეც. მერე რა, რომ ყველაფერი არ გამოგვივიდა? ბედი არ გვწყალობდა განსაკუთრებით მატჩის საწყის წუთებში. ჩვენ გამარჯვება დავიმსახურეთ. თანაც უკვე მე-8 ადგილზე გადავინაცვლეთ და ესეც მაიმედებს. ლუდოვიკ ჟიულიმ პირველი გოლი გაიტანა. იმედია, ეს წარმატება მას შესაძლებლობების წარმოჩენაში ხელს შეუწყობს. თუკი ის ფორმაში შევა, ჩვენ წარმატების უფრო მეტი შანსი გვექნება,"*- მიაჩნია 44 წლის მწვრთნელს.

## ჰუნტელაარი შვებულებაში,

„აიაქსს" კლაას იან ჰუნტელაარი დაუშავდა. „სპარტასთან" საკვირაო მატჩისას (5:2) თავდამსხმელმა ანგარიში გახსნა. მაგრამ ტაიმის მიწურულს, 38-ე წუთზე, ტერფი იტკინა და თამაშის გაგრძელება ვერ მოახერხა. „აიაქსის" ხელმძღვანელობა შიშობს, რომ ჰუნტელაარს რამდენიმე კვირა გაუცდება. საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება მხოლოდ მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც გასივებული ფეხი დაცხრება. ამსტერდამელთა თავკაც **მარკო ვან ბასტენს** ტრავმების გამო ისედაც ბევრი პრობლემა ჰქონდა. მას ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი აკლდა და ახლა ჰუნტელაარიც იძულებით შვებულებაში გავიდა.

ილია ნიკოლაიშვილი წარმოგიდგენთ — სამხრეთამერიკული ფეხბურთი

## იქ, დასავლეთ ნახევარსფეროში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადონამ კაპიტნობა მასკერანოს ანდო

### დიეგოს სამწვრთნელო შტაბი ჯერაც არ დაუკომპლექტებია

**დიეგო მარადონა** საქმეს სერიოზულად შეუდგა. მართალია, მას არგენტინის ნაკრებთან ერთად ოფიციალური ამხანაგური შეხვედრა ჯერ არ ჩაუტარებია, მაგრამ ლეგენდარული არგენტინელი ამ ეტაპზე მაქსიმუმს აკეთებს. დიეგო ევროპულ ტურნეში იმყოფებოდა, სადაც არგენტინის ნაკრების პოტენციურ წევრებს შეხვდა. პოტენციურს იმიტომ, რომ შემადგენლობაში ადგილი არავის აქვს გარანტირებული, თუმცა ისიც ფაქტია, მარადონას ეროვნული გუნდის ბირთვი უკვე შეგულებული ჰყავს. გუშინ მან საგანგებო პრესკონფერენციაზე ძალიან საინტერესო ინფორმაცია გაახმაურა: „ევროპაში მნიშვნელოვანი მისიით ვიმყოფებოდი. იქ ალბისელესტეს ფეხბურთელებს შევხვდი და ვესაუბრე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა ხავიერ მასკერანოსთან. ჩვენ ძალიან დიდხანს ვილაპარაკეთ და მნიშვნელოვან შეთანხმებამდე მივედით. ჩემი პირადი გადაწყვეტილებით მასკერანო არგენტინის ნაკრების კაპიტანი იქნება. არ ვიცი რატომ, მაგრამ მივხვდი, რომ სწორედ ისეთი კაცი მჭირდება, როგორიც ხავიერია. დარწმუნებული ვარ, ფეხბურთელებს ის საბრძოლველად განაწყობს და გუნდს ერთ მუშტად შეკრავს. კაპიტნის მოვალეობა სწორედ ეს არის. ხავიერს თავიდან პასუხისმგებლობის შეეშინდა, მაგრამ გულწრფელად ვისაუბრეთ და ბოლოს დამთანხმდა. ძალიან კმაყოფილი გახლავართ. ერთი სული მაქვს, თამაშებს როდის ჩავატარებთ".



კარლოს ტევესი და ახალი კაპიტანი ხავიერ მასკერანო

როგორც შესავალში მოგახსენეთ, მარადონა ევროპაში იმყოფებოდა. **კარლოს ბილარდოსთან** ერთად მან ესპანეთი, გერმანია და ინგლისი მოიარა. ამ სამ ქვეყანაში ის უამრავ მოთამაშეს შეხვდა, მათ შორის, **ლეო მესისაც**. დღესდღეობით არგენტინის ნაკრების ამხანაგურ შეხვედრებში მესის მონაწილეობის პერსპექტივა ნისლითაა მოცული. თავიდან ითქვა, რომ არგენტინის საფეხბურთო ასოციაცია და „ბარსელონა" ახალგაზრდა ვარსკვლავის გათავისუფლებაზე შეთანხმდნენ, თუმცა მარადონას მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნის შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. დიეგო ხმამაღლა არ ამბობს, თუმცა ფარულად ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მესი ამხანაგურ დაპირისპირებებშიც გამოიძახოს. ბაირესული პრესის მტკიცებით, ბარსელონაში ჩასული ლეგენდარული არგენტინელი კატალონიური გრანდის სუპერვარსკვლავს სწორედ ზემოხსენებული შეთანხმების გაუქმებასა და ლეოს ეროვნულ გუნდში შესაძლო დაბრუნების შესახებ ესაუბრა. ასოციაციის შენობაში მოწყობილ პრესკონფერენციაზე დიეგოს მესისთან გამართული საუბრის დეტალების გახმაურება სთხოვეს, თუმცა მწვრთნელმა პასუხის გაცემისგან, რა თქმა უნდა, თავი შეიკავა. მან მხოლოდ ის თქვა, რომ უკლებლივ ყველა ფეხბურთელი გულლიად შეხვდა და აგრძნობინა, რომ მარადონასთან დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებენ: „ბიჭების ენთუზიაზმით აღფრთოვანებული დავრჩი, მათ ერთი სული აქვთ, როდის შევიკრიბებით და ნაკრების ახალ ხანას დავიწყებთ, მე ჯერაც ახალგაზრდა კაცი ვარ და მათთან საუბრისას ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ისევ ფეხბურთს ვთამაშობ. ეს ალბათ, ძალიან კარგია, რადგან ერთმანეთს კიდევ უფრო მეტად გავუგებთ".

„ალბისელესტეში მოხვედრის შანსი არგენტინული პასპორტის მქონე ყველა ფეხბურთელს ექნება. მთავარია, მათ ყველას დაუმტკიცონ, რომ საუკეთესოები არიან საუკეთესოთა შორის. მიხარია, რომ მოთამაშეებს ჩემი დანიშვნა ესიამოვნათ, თურმე მე მათი კერპი და სამაგალითო ფეხბურთელი ვარ. იმედია, თანამშრომლობა წარმატებული და ტრიუმფალური გამოვა."

პრესკონფერენციაზე მარადონას კიდევ ერთ საინტერესო საკითხზე ჰკითხეს. ჯერჯერობით უცნობია, ვინ გახდება მისი თამაშემწე. დიეგო ამ საკითხზე ინტენსიურად და დაულალავად მუშაობს: „სამწვრთნელო შტაბის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ გადაწყვეტილებას მალე მივიღებდი, მაგრამ პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა შეცდომის დაშვების უფლებას არ მაძლევს. არ ვიცი, საბოლოოდ რა გადაწყდება. ამ ეტაპზე იმის თქმა შემიძლია, რომ შეუძლებელი არაფერია. ანუ, ჩემი ასისტენტობის შანსი ძალიან ბევრ მწვრთნელს აქვს. მათ შორის, ოსკარ რუჯერის. რა თქმა უნდა, ძალიან კარგად მესმის, რომ ეს დელიკატური საკითხია და ზოგადი საუბრით შორს ვერ წავალთ. ამიტომ, ვალდებული ვარ, გადაწყვეტილება რაც შეიძლება მალე მივიღო."

გასულ კვირას მარადონას ძველმა თანაგუნდელებმა და მეგობრებმა **სერხიო ბატისტამ** და **ხოსე ლუის ბრაუნმა** დიეგოს თავიანთი კანდიდატურები შესთავაზეს, მაგრამ ლეგენდარულმა არგენტინელმა საყვარელი ადამიანები საკმაოდ მკვახე პასუხით გაისტუმრა: „კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ სამწვრთნელო შტაბის ჩამოყალიბების პროცესი არ დასრულებულა. ამიტომ, ბატისტასა და ბრაუნს დღეს ვერაფერს ვეტყვი. მათ უნდა მოითმინონ, სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე დღით და ყველაფერი გაირკვევა. თუ ისინი ჩემს სიაში მოხვდებიან, რა თქმა უნდა, პირველი გაიგებენ. ასე რომ, ყველას ვთხოვ, კერძო ინიციატივებითა და შემოთავაზებებით ნუ შემაწუხებენ. გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად მივიღებ. იმედია, ამას ყველა კარგად გაიგებს. არგენტინის ნაკრები ჩვენი ქვეყნისთვის სათუთი და უსაყვარლესი ორგანიზმია. ამის გათვალისწინებით, ის ადამიანები, რომლებსაც პასუხისმგებლობა დაგვეკისრა, ვალდებული ვართ, ყველა უმნიშვნელო დეტალებიც კი ავწონ-დავწონოთ."

პრესკონფერენციის მიწურულს, მარადონამ განაცხადა, რომ **ხუან რომან რიკელმეს** ნაკრებში მიწვევა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი აქვს, თუმცა შიშობს, რომ რომანი გადაღლილია და არასახარბიელო ფიზიკურმა მდგომარეობამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს. იმ შემთხვევაში, თუ 19 ნოემბრის წინ დაინახავს, რომ „ბოკა ხუნიორსის" სუპერვარსკვლავი კარგ ფორმაშია, რა თქმა უნდა, შოტლანდიასთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში დააყენებს. სხვა შემთხვევაში კი მარადონასა და რომანის თანამშრომლობა მომავლისთვის გადაიდება.

# დიეგო სიმეონე შერცხვენილი წავიდა

### რივერისთვის მეთოთხმეტე ადგილი კატასტროფაა

**დიეგო სიმეონემ** წარუმატებლობებს დაძაბულობასა და სახელის გატეხვას ვერ გაუძლო და მთავარი მწვრთნელის პოსტიდან წავიდა. ის ნებისმიერი სხვა გუნდის მწვრთნელი რომ ყოფილიყო, შესაძლოა, არ ეჩქარა და სიტუაციის გამოსწორებას დალოდებოდა, მაგრამ „რივერ პლეიტსა" და „ბოკა ხუნიორსში" პერმანენტულ წარუმატებლობებს ვერასოდეს შეეგუებიან. არგენტინის ჩემპიონატში „რივერის" მე-14 ადგილზე ყოფნა დაახლოებით იგივეა, მადრიდის „რეალს" პრიმერა დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლა რომ უწევდეს. რა თქმა უნდა, მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში სამეფო კლუბის მწვრთნელს ანათემას გადასცემდნენ. როგორც ჩანს, ასე მოხდა სიმეონეს შემთხვევაშიც. მართალია, ოფიციალურად ითქვა, რომ ახლო წარსულში პოპულარული ფეხბურთელი დიეგო სიმეონე „მილიონარიოსის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ნებაყოფლობით გადადგა და სახლში წავიდაო, მაგრამ არგენტინულ პრესაში ინტენსიურად წერენ, რომ მას ამ ნაბიჯის გადადგმა გუნდის ხელმძღვანელობამ აიძულა. ყოველ შემთხვევაში, უკლებლივ ყველა წამყვანი გამოცემა წერს, რომ „რივერის" დირექტორთა საბჭომ სიმეონე საგანგებო სხდომაზე დაიბარა და გადადგომის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვა. ვნებათაღელვამ პიკს ბოლო ტურის შეხვედრის შემდეგ მიაღწია. ყველა ელოდა, რომ უამრავი სირთულისა და პრობლემის მიუხედავად, „რივერ პლეიტი" „ურანაკანთან" საშინაო შეხვედრას ზედმეტი გართულებისა და თავისტკივილის გარეშე მოიგებდა. მაგრამ პაექრობა ფრედ დასრულდა (3:3). ამით განრისხებულმა ხელმძღვანელებმა სიმეონე, ფაქტობრივად, წიხლით გააგდეს, თანაც ისე, რომ გადადგომის შესახებ განცხადება თავად მას დააწერინეს. წუხელ სიმეონემ ბუენოს აირესის ყველაზე პოპულარულ რადიო არხს მცირე ინტერვიუ მისცა და საკმაოდ საინტერესო რამ თქვა: „იმიტომ წავედი, რომ „რივერ პლეიტში" გამოცდილების ნაკლებობას ვერაფერი მოვუხერხე. ეს რა თქმა უნდა, ჩემი ბრალია, მაგრამ არ შეიძლება, როცა მწვრთნელი შემადგენლობის გაძლიერებას ითხოვს, მას არ მოუსმინო და საფუძვლიანად დასაბუთებული არგუმენტები არ გაიზიარო, კარგად გამიგეთ, თავს არ ვიმართლებ, უბრალოდ გული მტკივა, რომ ყველაფერი ასე მოხდა. იმედია, ჩემს შემდეგ „რივერ პლეიტი" კრიზისს თავს დააღწევს და თამაშის ხარისხთან ერთად სატურნირო მდგომარეობასაც გამოასწორებს. მაგრამ ის მაშინებს, რომ „მილიონარიოსის" ახალგაზრდა ბიჭებს გამოცდილება აკლიათ და მათ დაჭკვიანებას დიდი დრო დასჭირდება."



დიეგო სიმეონე



კარლოს დუნგა

# დუნგა, ყური გამოიფხიზლე!

### რონალდინიო, FORA!

**დუნგას** ოპონენტები ისედაც არ აკლდნენ, მაგრამ 2010 წლის მუნდიალის შესარჩევ ტურნირში ნაჩვენებმა ცუდმა შედეგებმა სელესაოს მთავარი მწვრთნელის პოზიციები კიდევ უფრო შეარყია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სეუ კარლოსს ჩასაფრებული ადამიანები ებრძვიან და მის შეცდომას მოუთმენლად ელიან. ხშირ შემთხვევაში, ეს ხალხი უმიზეზოდ აქტიურდება და ეროვნული გუნდის დამრიგებელს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს. ამჯერად დუნგას **რონალდინიოს** გამო უპირისპირდებიან. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, „ოგლობოში" გამოქვეყნებული სტატიის ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: „დუნგა კრიზისშია, მან არ იცის უმწვავეს მდგომარეობაში მყოფი ნაკრები სამშვიდობოს როგორ გაიყვანოს. ჩვენ ვიცით, რომ მას იმ რონალდინიოს იმედი აქვს, რომელიც ძალიან შორს არის საუკეთესო კონდიციებისგან. გაუჩო ჩვენი ქვეყნის გმირია, მაგრამ ის ახლა სელესაოში თამაშს არ იმსახურებს და ამას პირველ რიგში მთავარი მწვრთნელი უნდა ხვდებოდეს. რონალდინიოს ამჟამად ნაკრებისთვის ნაკლებად სცალია: ის „მილანის" მაღალჩინოსნებთან ხელფასის მოსამატებლად მოლაპარაკებებს აწარმოებს. ამ სიტუაციაში დუნგამ გაუჩოს ეროვნულ გუნდში გამოძახება აზრადაც არ უნდა გაივლოს. კი ბატონო, თუ გარკვეული დროის შემდეგ რონალდინიო ჭკუას მოუხმობს და დაგვარწმუნებს, რომ ისევ ის ძველი რონალდინიოა, მის დაბრუნებას პირველ რიგში ჩვენ მოვითხოვთ, მაგრამ ახლა ვამბობთ – რონალდინიო, ფორა! დიახ, რონალდინიო, წადი. კარგი იქნება, თუ დუნგა ახალგაზრდა მოთამაშეებს მეტ ყურადღებას მიაქცევს, ჩვენი აზრით, მან მარსელოს შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი ხშირად უნდა მისცეს. იმავეს ვიტყოდით მირანდასთან დაკავშირებითაც. ერთი სიტყვით, მთავარმა მწვრთნელმა თაობათა ცვლის სახიფათო პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ უნდა დაასრულოს. რამდენად შეძლებს ამას დუნგა უკვე სხვა საკითხია."

ყველას ეგონა, რომ დუნგა „ოგლობოს" ჟურნალისტებს შეუტევდა, მაგრამ ახალგაზრდა სპეციალისტმა შესაშური პრაგმატულობა გამოამჟღავნა და კორესპონდენტის სტატიის შეფასების ნაცვლად არგენტინის ეროვნულ გუნდში მარადონას დანიშვნაზე ისაუბრა: „ჩვენს მოძმე ერს უდიდესი კაცი დაუნიშნეს. მარადონა ცოცხალი ლეგენდაა და შეუძლებელია, რომ წარმატებებს ახალ ამპლუაშიც ვერ მიაღწიოს. როგორც ჩანს, წინ დიდი სიამოვნება მელოდება და ამ სიამოვნებას მარადონასთან ჭიდილი ჰქვია. ამ დღეს მოუთმენლად ველოდები."

დუნგა ოპტიმისტურადაა განწყობილი, მაგრამ შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ მისი ეს ოპტიმიზმი სასოწარკვეთილებად იქცეს. ბოროტი ენები ამბობენ, რომ სეუ კარლოსს სკამი აქვს შერყეული და შესაძლოა, ბრაზილიის ეროვნული გუნდის თავკაცის პოსტიც დაატოვებინონ.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ბერიშვილი დრაფტზე ოკლაჰომამ აირჩია

ამავე გვერდზე, **ფაჩულიაზე** საუბრისას "ოკლაჰომა" არაერთხელ ვახსენეთ. "ატლანტას" მიერ ამ გუნდის დამარცხება გაგვიხარდა. ამიერიდან "ოკლაჰომას" უნდა ვუქომაგოთ, რადგან მასში **მიხეილ ბერიშვილი** ითამაშებს. შეცდომაში რომ არ შეგიყვანოთ, აქვე გეტყვით: "ოკლაჰომა თანდერსი", რომელსაც ზაზა ფაჩულია ეთამაშა, NBA-ში თამაშობს, ხოლო ბერიშვილის ახალი კლუბი, "ოკლაჰომა-66" NBDL-ში. ეს გახლავთ NBA-ს განვითარების ლიგა, რომელშიც ის კალათბურთელები ირჯებიან, ვინც ერთ-ორ წელიწადში ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშს აპირებს.

მიხეილ ბერიშვილი ამ ზაფხულს მენეჯერმა NBA-ს დრაფტზე დააყენა, თუმცა **გიორგი შერმადინის** მსგავსად კანდიდატურა მანაც მოხსნა.

მიშას აგენტმა მუშაობა განაგრძო, ქართველით NBA-ს განვითარების ლიგის არაერთი კლუბი დააინტერესა და 7 ნოემბერს გამართულ დრაფტზე ბერიშვილი "ოკლაჰომამ" აირჩია. ეს დრაფტი 10 რაუნდისგან შედგება. ახალმა გუნდმა მიშა მეხუთე რაუნდში პირველ ნომრად აირჩია, სულ კი 10 ახალწვეული ერგო.

აქ იმასაც დავამატებთ, რომ NBA-ს განვითარების ლიგა 28 ნოემბერს იწყება. "ოკლაჰომა" სადებიუტო მატჩს სტუმრად "რიო გრანდესთან" გამართავს.

ახლა თავად მიხეილ ბერიშვილს მოვუსმინოთ, რომელიც აქამდე "სასოფლოს" ღირსებას იცავდა.

**- თავდაპირველად დრაფტზე ვთქვათ.**

- ისევე როგორც NBA-ში, კალათბურთელებს განვითარების ლიგაშიც დრაფტით ირჩევენ. სხვაობა სტრუქტურასა და დროშია. აქ მატჩები ნოემბრის ბოლოს იწყება და ამიტომ დრაფტი ახლახან გაიმართა.

**- "ოკლაჰომა" როგორ დააინტერესე?**

- ამ ზაფხულს NBA-ს დრაფტზე ვიდექი, მაგრამ ჩემმა აგენტმა კანდიდატურა მოხსნა. დრაფტიდან კანდიდატურამოხსნილი კალათბურთელებით ყოველთვის განვითარების ლიგის გუნდები ინტერესდებიან. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა–მონაცემებისა და ვიდეოფირების ხილვის შემდეგ ინტერესი გამოხატეს ლოს-ანჯელესის, იუტას, ვაშინგტონის, ოკლაჰომასა და დაკოტას გუნდებმა. საბოლოოდ "ოკლაჰომამ" ამიყვანა.

**- არ მიკითხავს მთავარი – ვინ არის შენი მენეჯერი?**

- მაიკ ნეირიჩი, სააგენტო "ნეტიდან".

**- ის ალბათ ახალგაზრდულ ნაკრებში შენმა გამოსვლამ დააინტერესა...**

- არა. საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის პირველ ტურში სამქულიანები მაღალი შედეგით ვისროლე. მართალია, ის მატჩი ჩემმა "ვითამ" "ენერჯისთან" დათმო, მაგრამ სტატისტიკა საერთაშორისო ინტერნეტსაიტებზე გავიდა და სწორედ მას შემდეგ დაინტერესდა ჩემით სააგენტო "ნეტი".

**- "ოკლაჰომას" შესახებ რა ინფორმაციას ფლობ?**

- ახალი გუნდის შესახებ აგენტი მელაპარაკა - ასაკოვანი და კარგი მწვრთნელი ჰყავსო. გუნდის შესახებ კი ერთის თქმა შემიძლია – დრაფტზე "ოკლაჰომამ" 10 კალათბურთელი აიყვანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შარშანდელისგან განსხვავებით სრულიად ახალი გუნდი იქნება. რეალურად რა ძალას წარმოადგენს, ამერიკაში ჩასვლის შემდეგ ვნახავ.

**- როდის მიემგზავრები?**

- ოკლაჰომადან ვიზა უკვე გამოგზავნეს. მას მივიღებ, საბუთებს მოვაწესრიგებ და ამერიკაში ამის შემდეგ გავფრინდები.

**- საკონტრაქტო პირობებზე ხომ არ გისაუბრია?**

- ჯერ არა. ამ საკითხებზე ამერიკაში დავილაპარაკებთ. ამ ეტაპზე მხოლოდ ის ვიცი, რომ ახალ გუნდში მაისამდე უნდა ვითამაშო.

**- საქართველოდან მომზადებული მიდიხარ?**

- რა თქმა უნდა. "სასოფლოსთან" ერთად სუპერლიგაში ვთამაშობ და ფორმას ნელ-ნელა ვკრეფ. ოპტიმალურ კონდიციებში არ ვარ, მაგრამ..

**- "სასოფლოს" დატოვების გამო გული ხომ არ გწყდება?**



მიხეილ ბერიშვილი

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი კარიერისთვის უკეთესი ვარიანტი ამერიკაში გამგზავრებაა. თუ იქ კარგად მოვემზადები საქართველოს ნაკრებსაც გამოვადგები. "სასოფლოში" სიამოვნებით ვთამაშობდი და შედეგებსაც ვაღწევდით.

**- ამერიკაში რეკომენდაცია ეროვნული გუნდის თავკაცმა იგორ კოკოშკოვმა ხომ არ გაგიწია?**

- არ ვიცი. ამერიკაში წასვლას რომ ვაპირებდი, იგორ კოკოშკოვმაც იცოდა. მას გამგზავრებამდეც დავუკავშირდები და იქაც ვნახავ...

ქართველი NBA-ში

# ფაჩულია ისევ სასტარტოშია

"ატლანტა ჰოქსმა" გასვლითი მატჩების სერია ოკლაჰომაში გახსნა და ადგილობრივი "თანდერსი" მისსავე მოედანზე, 18 ათასი ქომაგის თვალწინ, 89:85 დაჯაბნა. თანაბარ თამაშში ყველაფერი ბოლო პერიოდმა გადაწყვიტა, რომელიც სტუმრებმა 31:23 მოიგეს.

"ატლანტა ჰოქსის" მთავარი სათადარიგო კალათბურთელი **ზაზა ფაჩულია** რომ არის, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. ტრავმის გამო "ოკლაჰომასთან" მატჩში "ქორებს" **ჯოშ სმიტი** გამოაკლდათ და ხუთეულში მისი ადგილი ფაჩულიამ დაიკავა. შეგახსენებთ, რომ საგამოფენო მატჩებში ქართველი ცენტრი სასტარტო შემადგენლობაში მას შემდეგ გამოჩნდა, რაც ტრავმა მიიღო **მერვინ უილიამსმა**. მისი გამოჯანმრთელების შემდეგ ზაზა კვლავ სათადარიგოთა შორის გადავიდა.

ჯოშ სმიტს ტრავმის მკურნალობისთვის მინიმუმ ორი კვირა სჭირდება, თუმცა კიდევ ითამაშებს თუ არა ფაჩულია ხუთეულში, ამას მომავალი გვიჩვენებს. უკეთესი იქნება, სმიტის მალე გამოჯანმრთელება და ზაზას სასტარტოში დარჩენა ვისურვოთ.

ქართველი არაფრით ნაკლები არ არის ხუთეულის ცენტრ **ელ ჰორფორდზე**. ეს "ოკლაჰომასთან" მატჩშიც გამოჩნდა: ზაზამ 9 წუთი ითამაშა, 6 ქულა (4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო) და 5 მოხსნა მიითვალა. ელ ჰორფორდმა კი 8 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა... 43 წუთში. რამდენით მეტი უთამაშია ჰორფორდს ზაზასთან შედარებით, ამის გამოთვლა თქვენთვის მოგვინდვია.

ამერიკული გაზეთები ოკლაჰომაში ფაჩულიასთვის დროის შეზღუდვას საწყის სამ წუთში მიღებული ორი ჯარიმით ხსნიან, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამერიკაში მოედნიდან 6 პერსონალური შენიშვნის შემდეგ ტოვებენ მოედანს...

გაგაცნობთ გაზეთ "ატლანტა კონსტიტუშენში" გამოქვეყნებულ ინფორმაციას ბოლო მატჩში ქართველის გამოსვლის შესახებ:

*"ზაზა ფაჩულია ოკლაჰომაში "ჰოქსის" სასტარტოში ჯოშ სმიტის ნაცვლად გამოჩნდა, მაგრამ დიდი ხნით მოედანზე არ დარჩენილა. ამის მიზეზი საწყის 3 წუთში მიღებული 2 ფოლი იყო.* მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** მატჩის წინ განაცხადა – ვიდრე სმიტი მომჯობინდება, ხუთეულში ან ზაზა ითამაშებს, ან მორის ევანსიო. "ოკლაჰომასთან" მწვრთნელს ტანმაღალი ფაჩულია დასჭირდა. აი, რა თქვა ვუდსონმა ზაზას სასტარტო შემადგენლობაში შეყვანასთან დაკავშირებით: *"ფაჩულია ხუთეულში ცენტრის პოზიციაზე დავაყენეთ და საშუალება მოგვეცა ელ ჰორფორდი მძიმე ფორვარდად გადაგვეწია. მსუბუქი ფორვარდის სამუშაოს შესრულება სმიტის არყოფნაში მერვინ უილიამსს დავავალეთ. ვფიქრობ, მერვინის მეოთხე ნომრად აწევა (მძიმე თავდამსხმელად) არასწორი იქნებოდა." რაც შეეხება ჯოშ სმიტს, იგი "ატლანტას" 2-3 კვირის შემდეგ დაუბრუნდება."*

*"მე, სოლომონ ჯონსი და ზაზა ფაჩულია სმიტის არყოფნაში გუნდს სათანადოდ დავეხმარეთ. "ატლანტას" ჯოშის დაკლება არ დავატყვეთ," –* განაცხადა მატჩის შემდეგ **რენდოლფ მორისმა**.

ატლანტელთა რიგებში ყველაზე მეტი, 25 ქულა ჩააგდო **ჯო ჯონსონმა**, ხოლო "ოკლაჰომას" რიგებში საუკეთესო **კევინ დურანი** იყო.

5 მატჩში 5 მოგებით "ატლანტა ჰოქსი" სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონის ლიდერია. იგი მორიგ შეხვედრას 11 ნოემბერს, ჩიკაგოში, ადგილობრივ "ხარებთან" გამართავს.

**ფაჩულიას მონაცემი**

**9 წუთი: 6 ქულა, 5 მოხსნა, 3 ფოლი, 1 შეცდომა**

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 11:31 | ფოლი: 1 |
| 10:50 | შეცდომა: 1 |
| 10:30 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 9:20 | ფოლი: 2 |
| 9:20 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 10:09 | ფოლი: 3 |
| **9:46** | **ორქულიანი: 2d (43:43)** |
| 8:29 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| **8:29** | **ორქულიანი: 4d (45:47)** |
| 7:44 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 6:28 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 6:28 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 6:27 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| **6:27** | **საჯარიმოები: 1+1 (6 ქულა, 52:52)** |
| 6:01 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 5:22 | ზაზა ევანსმა შეცვალა |

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ზაზა ფაჩულია

# მარკოიშვილმა სუმელებზე შური იძია



მანუჩარ მარკოიშვილი

ევროჩელენჯზე რუსთავის "ენერჯის" გამოგდებისთვის "სუმიქიმპრომზე" ჯავრი **მანუჩარ მარკოიშვილმა** იყარა. უკრაინის ჩემპიონატში "კიევმა" სუმში გამანადგურებელი ანგარიშით გაიმარჯვა – 110:70.

სტუმრები გასულ კვირას ევროთასზე ბერძნულ "პანელინიოსთან" 69:96 დამარცხდნენ და მომდევნო შეხვედრისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი "სუმიქიმპრომთან" მატჩი იყო. ამ შეხვედრაში მარკოიშვილის თანაგუნდელებმა დაცვას დიდი ყურადღება დაუთმეს და გამარჯვებულის ვინაობა პირველივე მეოთხედში გამოარკვიეს – 35:12.

ასეთ ქულაუხვ მატჩში მანუჩარი 6 ქულას დასჯერდა - 4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო (თუ დააკვირდით, შეტევაში სწორედ ასეთი მაჩვენებელი ჰქონდა **ზაზა ფაჩულიას**). მანუმ მოხსნებიც სწორედ იმდენი მოაგროვა, რამდენიც ზაზამ – 4 (ორივეს 2-2 დაცვითი და ამდენივე შეტევითი მოხსნა ჰქონდა). მარკოიშვილის მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 6-მა პასმა და 2-მა ჩაჭრამ გაცილებით მაღლა ასწია. იმასაც გეტყვით, რომ მანუმ მოედანზე 25 წუთი გაატარა.

კიევის რიგებში საუკეთესო იყო კაპიტანი **არტურ დროზდვი** – 19 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი, 4 ჩაჭრა.

"კიევთან" მატჩში რუსთაველთა დამრბევმა **გრინმა** ბევრი ვერაფერი გააკეთა (10 ქულა). მასპინძელთაგან ყველაზე მეტი ქულა მეფარე **აბდულაჰი კუსომ** ჩააგდო – 16. მატჩის სნაიპერი კი კიეველი **სტანოევიჩი** გახდა, რომელმაც 20 ქულას მოუყარა თავი.

უკრაინის ჩემპიონატის მეექვსე ტურში ქვეყნის ჩემპიონმა "აზოვმაშმა" მოულოდნელად შინ "ხიმიკთან" 87:89 წააგო და "კიევს" ერთპიროვნულად გალიდერების საშუალება მისცა.

მარკოიშვილის გუნდისთვის სეზონის მთავარი მატჩი 11 ნოემბერს გაიმართება – უკრაინაში "პანელინიოსი" ჩადის. თუ კიეველები პირველ მატჩში დაფიქსირებულ 27-ქულიან ჩამორჩენას ვერ აღმოფხვრიან, ევროთასის გათამაშებას დაემშვიდობებიან.

სუმო | ნოემბრის ბაშო

# კოკაი დაუმარცხებელია

27 წლის **ლევან ცაგურიას (კოკაი)** საკმაოდ რთული ამოცანა ჰქონდა კიუშუს ბაშოს მეორე დღეს გადასაჭრელი – მის წინ მე-10 მაეგაშირა **ბუშუიამა** იდგა, რომელიც 170 კილოგრამს იწონის. ქართველი მარცხენა ხელით მეტოქეს ყელში სწვდა (ნოდოვა), დოჰიოს კიდემდე მიიყვანა და შემდეგ ძირს დაანარცხა. 2-0, ეს კოკაის ბალანსია წლის უკანასკნელ ბაშოზე, შესაშური სტარტია ალმოსავლეთის მე-11 მაეგაშირასთვის. დღეს კოკაის მეტოქე მე-12 მაეგაშირა, ვეტერანი **კასუგანიშიკია**. იგი 33 წლისაა და მისი ყველაზე დიდი მიღწევა მე-5 მაეგაშირად ყოფნაა, ამ ბაშოზე კასუგანიშიკის 1-1 ბალანსი აქვს.

გვახარებს კოკაი, მაგრამ მას ფეხი ვერ აუწყო 21 წლის **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**. ლევანი მე-4 მაეგაშირაა და ყოველთვის ძლიერ მეტოქეებთან უწევს პაექრობა. იორიკირი მისი საყვარელი ილეთია, თუმცა კიუშუს ბაშოზე ტოჩინოშინი ორჯერ ამ ილეთით დამარცხდა. გუშინ მას 34 წლის ყოფილმა ოძეკიმ, **დეჯიმამ** აჯობა. დღეს ქართველი მე-3 მაეგაშირა **კოტოშოგიკუს** შეხვედბა, წლეულს სამ ტურნირზე კოტოშოგიკუ სეკივაკეს ტიტულს ატარებდა.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში გამარჯვებით დაიწყო ასპარეზობა 32-ე ნომერმა **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**, მან 33-ე ნომერი **ჰომარეფუჯი** დაამარცხა ოშიტაოშის ილეთის წყალობით. დღეს გაგამარუ მეორე ორთაბრძოლას გამართავს, მისი მეტოქე **შიმოდაა**.

ბაშოზე სენსაციური სტარტი აქვს 30 წლის **კომუსუბის, ამინიშიკის**, რომელსაც ჭიდაობის სტილის გამო მატადორი შეარქვეს. ამინიშიკიმ პირველ დღეს დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** წააქცია, გუშინ კი მან ოძეკი **ჩიოტაიკაი** დაიბრიყვა. თან ამინიშიკიმ ზედიზედ ორჯერ გაიყვანა დოჰიოდან ჩემპიონი. პირველი ცდა მსაჯებმა არ ჩაუთვალეს, რადგან სასტარტო დაჯახების წინ მას ორივე მუშტი არ ჰქონდა დოჰიოზე დაფიქსირებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**II დღე**

მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები: კოკაი (მ 11)-ბუშუიამა (მ 10) 1:0 (იორიტაოში); ტოჩინოშინი (მ 4)-დეჯიმა (მ 5) 0:1.

III დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 11)-კასუგანიშიკი (მ 12); ტოჩინოშინი (მ 4)-კოტოშოგიკუ (მ 3).

ჩოგბურთი

# წლის საბოლოო რეიტინგი

WTA-ს წესის მიხედვით, წლის საბოლოო რეიტინგად WTA-ს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ორშაბათის სია ითვლება. წლის მთავარი ტურნირი დოჰაში კვირას დასრულდა. ასე რომ, გუშინ წლის საბოლოო რეიტინგი გამოქვეყნდა. 2008 წლის ბოლომდე ყოველ ორშაბათს მსოფლიო კლასიფიკაცია ჩვეულებრივად განახლდება, თუმცა დღევანდელი მდგომარეობა ნებისმიერ ჩოგბურთელს წლის საბოლოო რეიტინგად ჩაეთვლება. ამ მხრივ კიდევ უფრო საინტერესო ახალი მსოფლიო კლასიფიკაციაა, ვნახოთ რომელ პოზიციაზე დაასრულეს სეზონი ჩვენმა ჩოგბურთელმა ქალებმა.

18 წლის **ანა ტატიშვილი** 191 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს 168-ე (-1) ჩოგანია. ანას პროგრესი აშკარაა: 2006 წელს ის მე-300 ჩოგანი იყო, 2007 წელს – 285-ე. წლეულს მას აშკარად საუკეთესო სეზონი ჰქონდა. 18 წლის ქართველმა ჩოგნის მარჯვედ ცემით უკვე 96 ათასი დოლარი გამოიმუშავა. თუკი ანას პროგრესი აშკარაა, **მაკა ჩახნაშვილმა** შარშანდელი მიღწეულის შენარჩუნება ვერ შეძლო. მაკა 131 სარეიტინგო ქულით მსოფლიოს 221-ე (+1) ჩოგანია. 2006 წლის ბოლოს ის 153-ე ჩოგანი იყო, შარშანდელი სეზონის ბოლოს – 184-ე. მაკას კარიერის ჰონორარი 176 ათასი დოლარია. 19 წლის **სოფიო შაფათავა** 105 ქულით 255-ე (-3) პოზიციაზეა. წლეულს მას საუკეთესო სეზონი ჰქონდა: 2006 წლის ბოლოს შაფათავა 689-ე პოზიციაზე იყო, 2007 წლის ბოლოს – 409-ეზე. შაფათავას ჰონორარი ჯერ ერთობ მცირეა – 31 ათასი დოლარი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსი კლასიფიკაციაში კიდევ ერთი ჩვენებურია – 18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა**. ოქსანამ სეზონი 391-ე (-9) პოზიციაზე დაასრულა (56 ქულა). შარშან ამ დროს კი ის მხოლოდ 646-ე იყო. კალაშნიკოვას პროგრესი ჯერ ხათანადოდ არ ასახულა მის ჰონორარში – 16 ათასი დოლარი.

სხვები: 657 (-3) **სოფიო ქვაცაბაია** – 20 ქულა; 686 (-3) **მანანა შაფაქიძე** – 18; 703 (-3) **ეკა გორგოძე** – 17; 756 (-2) **სალომე დევიძე** – 14; 916 (-5) **სოფიო მელიქიშვილი** – 8.

ვაჟთა რეიტინგში **ლაზარე კუხალაშვილის** 27-საფეხურიანი წინსვლით თუ გაგახარებთ, სხვა მხრივ საიმედო არაფერი ჩანს: 541 (-) **ირაკლი ლაბაძე** – 48 ქულა; 925 (+27) **ლაზარე კუხალაშვილი** – 12; 1156 (-2) **ლადო ჩიხლაძე** – 5; 1233 (-2) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** – 4; 1253 (-1) **ნოდარ ითონიშვილი** – 4; 1564 (+2) **ბექა ბუჩუკური** – 1; 1660 (+8) **დემეტრე თაქთაქიშვილი** – 1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ლაბაძე კორტებს ორთვიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება



ხუთი წლის წინ ლაბაძემ დნეპროპეტროვსის ტურნირი მოიგო

დნეპროპეტროვსკში "პიპლ ნეტ კაპის" ტურნირი იწყება, რომლის საპრიზო. ფონდი 125 ათასი ამერიკული დოლარია. ამ ტურნირით ბრუნდება მორიგი ტრავმის შემდეგ ჩვენი პირველი ჩოგანი **ირაკლი ლაბაძე**. ირაკლის "დევისის თასის" მატჩის (ბელარუსის ნაკრებთან) შემდეგ არსად უთამაშია. ინდივიდუალურ ტურნირებში კი ლაბაძეს ორ თვეზე მეტია არ უასპარეზია. დნეპროპეტროვსკში ლაბაძის პირველი მეტოქე რუსი **მიხაილ ელგინია** (132). ელგინი და ლაბაძე თანატოლები არიან, თუმცა ერთმანეთს აქამდე მხოლოდ ერთხელ, 2002 წელს კიევში, შეხვედრიან. მაშინ ირაკლიმ ორ სეტში იმარჯვა, თუმცა, სამწუხაროდ, მას შემდეგ ვითარება შეიცვალა და დღეისათვის რუსია აშკარა ფავორიტი. ეს მატჩი დღეს გაიმართება. ერთი საინტერესო დეტალიც – 2003 წელს ირაკლი ლაბაძემ დნეპროპეტროვსკის ტურნირი მოიგო. მაშინ მან ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა **მიხაილ იუჟნი, ივო კარლოვიჩი** და **ანდრეი პაველი**, ფინალში ჩვენებურმა ებრაელ **ჰარელ ლევის** მოუგო.

**ლაზარე კუხალაშვილი** ირანში, ქიშის კუნძულზეა, სადაც "ფიუჩერსის" სერიის ტურნირი (15 ათასი დოლარი) იმართება. კენჭისყრამ ნაკლებად გაუმართლა ქართველს – მისი პირველი მეტოქე პირველ ნომრად განთესილი 20 წლის რუსი, **პაველ ჩეხოვია** (271).

მინსკში, 50-ათასიანი ტურნირის პირველი საკვალიფიკაციო წრე დაძლია საქართველოს ჩემპიონმა **მანანა შაფაქიძემ**. ქართველმა რუსი **მარია ყარკოვა** (641) დაამარცხა – 7:5, 3:6, 6:4. მეორე წრეში მანანას მე-2 ნომრად განთესილი რუსი **ვარვარა გალანინა** (304) ელის. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირის ძირითად ბადეში **სოფიო შაფათავა** ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კარატე | საქართველოს ჩემპიონატი

# ეროვნული ნაკრები პარიზში მიემგზავრება

სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა შორის ცვენ ქვეყანაში ერთ-ერთი წარმატებული კარატეა. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, რომკარატეს ყველა სახეობისა და სხვა ოლიმპიური თუ არაოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებმა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტი, **კახა ბასილია** სეოკი-ს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატ წამოაყენეს. შემდეგ მან თავისი სურვილით მოხსნა კანდიდატურა **გია ნაცვლიშვილის** სასარგებლოდ.




ამ დღეებში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი. ორგანიზატორების - საქართველოს სპორტის დეპარტამენტის (თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**), საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის, საქართველოს კარატეს ფედერაციის (პრეზიდენტი **ზურაბ ლეჟავა**) და საქართველოს კარატეს კავშირის (პრეზიდენტი **მიხეილ მახარაძე**), ხელშეწყობით ჩემპიონები კადეტებსა და იუნიორებში პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაემგზავრებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული კარატე საერთაშორისო ასპარეზზე ვითარდება და წინ მიდის. მინდა ალვნიშნო, რომ ეს ჩემპიონატი მნიშვნელოვანია, რადგან ტარდება 2008 წლის დასასრულს და წლის დამაგვირგვინებელ მალალ შედეგებს მოველით.

*„ჩემპიონატში საქართველოს ყველა რეგიონის 500-მდე კარატმენი ასპარეზობდა. შეჯიბრება იმითაც იყო პრესტიჟული და კონკურენტული, რომ გამარჯვებული სახელმწიფო დაფინანსებით პარიზში გაემგზავრება მსოფლიოს ჩემპიონატზე. რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ დავით ნამგალაურს" - ამბობს კახა ბასილია.*

*გაგაცნობთ ჩემპიონატის პრიზიორებს: **ჯემალი ყარყარაშვილი, სანდრო გოჩიტაშვილი. თორნიკე ანიაშვილი, ირაკლი ჯიბუტი, ანზორ მერებაშვილი,ნუკრი ანთია, ნოდარ გურგენიძე, ივერ ნიაზაშვილი, გიორგი მოდებაძე, თემურ ჩუტკერაშვილი, გოგა ათაბეგაშვილი, გიორგი გუმბერიძე, ბექა ლიქოკელი, სოსო ფეტელავა, ირაკლი კვენიაშვილი, ვახტანგ კოტორაშვილი, კოკა მესხია, დავით გელიტაშვილი, სერგო გელაშვილი, თორნიკე მაზანაშვილი, გიორგი სახვაძე, ლევან ხუცინაშვილი, შალვა ცანკაშვილი, ლუკა გონჯილაშვილი, ჯაბა ბურძენიძე, ბექა დათაშვილი, ავთო ჩულაშვილი, ნესტორ ჩიკვილაძე, შოთა გორელაშვილი, დემნა ქირია, გიორგი დოლიძე, ნიკო ტარუაშვილი, გიორგი გელდიაშვილი, მაკა არჩაია, ნათია კვიკვინია, თათია მამნიაშვილი, თიკო ორგველაძე, სოფიო ავაქიანი, გიორგი მაისურაძე, გიორგი ადამია, ჰენრი ვეკუა, გიორგი დავითაშვილი გიორგი ნადირაძე გიორგი ქირია, რეზო ფარეხელაშვილი, ლევან გრძელიშვილი, დავით პატარიძე, გიორგი თათრიშვილი, აჩიკო ხარხელი, გიორგი თეთრაძე, ლევან რატიანი, ირაკლი ბერაია, ილია დალაქიშვილი, დავით კაიშაური, გიორგი აივაზაშვილი, გიორგი ბაბალაშვილი, ირაკლი ქამადაძე, ავთო ონიანი, ლევან გელდიაშვილი, ანა ძიძიშვილი.***

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი,**
*საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეს-მდივანი*

რაგბი | ლეგიონერები

# ლიდერი ორი ქართული გუნდია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მე-9 ტურის შეხვედრები გაიმართა, რომლის შემდეგაც, სატურნირო ცხრილის პირველი ორი საფეხური ქართველ მორაგბეთა კლუბებმა „მეტრო რასინგმა" და „ორიაკმა" დაიკავეს. ლიდერთა ხუთეულშია ასევე კიდევ ერთი „ქართული" გუნდი- „ოიონაქსი".

**გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგმა" გასვლითი შეხვედრა გამართა სტუმრად **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბთან" და 23:16 მოიგო. ჩხაიძე განაცხადში არ იყო. მაგრაქველიძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და 52-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე კი, 21-ე წუთზე განზრახ უხეში თამაშისთვის ათი წუთით გააძევეს მოედნიდან.

შინ მიიღო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი „ლა როშელი" **გიორგი ჟღენტის, ლევან დათუნაშვილისა** და **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ორიაკმა". შეხვედრა მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა - 25:19. ჟღენტი თამაშში 53-ე წუთიდან ჩაერთო. ურჯუკაშვილი სათადარიგოთა განაცხადში ფიგურირებდა, მაგრამ არ უთამაშია. დათუნაშვილი განაცხადში არ იყო.

ასევე საშინაო მატჩში გაიმარჯვა გასკონურ „ოშთან" **დავით აშვეთიას** „ოიონაქსმა" - 25:9. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში მე-60 წუთზე შეცვალეს. სტუმრად მინიმალური ანგარიშით - 20:21 დამარცხდა „გრენობლთან" **გურამ კავთიძის** „ლიონი". კავთიძე სათადარიგოთა შორის იყო.

ასევე მინიმალური ანგარიშით 22:21 მოიგო შინ „ბურგ ან ბრესთან" შეხვედრა **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონმა". კუთარაშვილი ძირითად შემადგენლობაში 38-ე წუთზე შეცვალეს. სტუმრად დამარცხდა აუტსაიდერ „ბეზიესთან" **ანტონ ფეიქრიშვილისა** და **ირაკლი მაჩხანელის** „აჟენი" - 16:21. ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო. მაჩხანელი თამაშში 61-ე წუთიდან ჩაერთო.

არ უთამაშია „კოლომიეს" შემადგენლობაში **დავით აშვეთიას**. ქართველი პირველხაზელის ეს გუნდი სტუმრად დამარცხდა „ალბისთან" - 20:30.

საფრანგეთი. II დივიზიონი. IX ტური. **ალბი-კოლომიე 30:20, ნარბონი-ბურგ ან ბრესი 22:21, ორიაკი-ლა როშელი 25:19, გრენობლი-ლიონი 21:20, ოიონაქსი-ოში 25:9, ბორდო-პო 14:18, ტარბი-მეტრო რასინგი 16:23, ბეზიე-აჟენი 21:16.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. მეტრო რასინგი - 31 ქულა, 2. ორიაკი - 31, 3. ლა როშელი - 29, 4. ალბი - 28, 5. ოიონაქსი - 26, 6. გრენობლი - 25, 7. ლიონი - 21, 8. აჟენი - 20, 9. პო - 20, 10. ოში - 18, 11. ბორდო - 18, 12. ნარბონი - 18, 13. ტარბი - 18, 14. კოლომიე - 17, 15. ბეზიე - 11, 16. ბურგ ან ბრესი - 7.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ზედგინიძე ნაკრებში დაბრუნდა

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები გუშინ, გამთენიისას შოტლანდიაში გაემგზავრა, სადაც 14 და 18 ნოემბერს ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. სამწუხაროდ, ბორჯღალოსანთა რიგებში ისევ დანაკლისია. კლუბებმა ნაკრებთან ერთად შოტლანდიაში გამგზავრებაზე უარი უთხრეს მეორეხაზელებს **ლევან დათუნაშვილსა** და **გიორგი ნემსაძეს**. მათ ნაცვლად გუნდს ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ილია ზედგინიძე** დაემატება.

შეგახსენებთ, რომ ზედგინიძემ, შარშან მსოფლიო თასზე მიღებული მძიმე ტრავმის გამო, რაგბიდან წასვლა გადაწყვიტა და წელინადი არ უთამაშია. თუმცა ახლა ტრავმა მოიშუშა და საფრანგეთის ფედერალ 1 დივიზიონის „ექსში" ასპარეზობს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

შეხვედრა მინისტრთან

# ვაშაძე სპორტულ სამყაროს თანადგომას ჰპირდება

**1 «**

...შეხვედრაზე ისაუბრეს ქართველი სპორტსმენებისთვის ოლიმპიური სპორტული ბაზის მოწყობაზე, სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნაზე... მინისტრს სპორტის აკადემიის პრობლემაც შეახსენეს. ითქვა ისიც, რომ აუცილებელია პროფესიული დონის უმაღლესი სპორტული სკოლის არსებობა, ასევე, ფიზკულტურის გაკვეთილების გაუქმებით გამოწვეული პრობლემის მოგვარება. მთავარი ყურადღება მაინც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საკითხს დაეთმო.

სიტყვით გამოვიდნენ მძლეოსნობის, ტყვიის სროლის, სამბოს, მშვილდოსნობის, ჩოგბურთის, ძალოსნობის, ძიუდოს, რაგბის, კალათბურთის, ფიგურული ციგურაობის, ჭადრაკის, მერიის სპორტის სამსახურის, მთამსვლელობისა და სპორტული მედიცინის ფედერაციათა წარმომადგენლები.

**გრიგოლ ვაშაძე**: *„მინდოდა, უშუალო გარემოში შევხვედროდი სპორტული სამყაროს წარმომადგენლებს და ღიად გვესაუბრა ყველა არსებულ პრობლემაზე. ცხადია, ამ ეტაპზე მრავალპროფილიან სპორტულ ბაზებს ვერ ავაშენებთ, მაგრამ რაც შემოგვრჩა, იმას უნდა მივხედოთ, უნდა შევინარჩუნოთ... ჩემი აზრით, ტრაგედიაა, რომ ჩვენს სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები აღარ ტარდება, აღარ გვყავს ამ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები...*

*უკვე დაგეგმილია შეხვედრა რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან. ყველა ის პროექტი, რასაც სახელმწიფო მათ ჰპირდებოდა, აუცილებლად განხორციელდება. დავგეგმეთ შეხვედრა კალათბურთისა და ჩოგბურთის ფედერაციებთან, ძალოსანთა ნაკრების მწვრთნელ ვანო გრიქუროვთან... ამ კვირაშივე, თბილისის სპორტის სამსახურის უფროს ზაზა დოლიძესა და დავით ნამგალაურთან ერთად, ვაპირებ ქალაქში გასვლას, რათა ვნახო, რას აკეთებს ქალაქის სპორტის სამსახური ქართული სპორტისთვის".*

**დავით ნამგალაური**: *„ფედერაციების ხელმძღვანელებს საშუალება ჰქონდათ, მინისტრისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია არსებულ სიტუაციაზე, ესაუბრათ უახლოეს მომავალში მოსაგვარებელ პრობლემებზე. გამოიკვეთა ძირითადი პრობლემაც - ოლიმპიური ბაზისა და სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრის არქონა. დაიგეგმა სამომავლო შეხვედრებიც, რაც უთუოდ ნაადგება ქართული სპორტის განვითარებას".*

**გიორგი ჭანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# სეზონი ვენუსმა დაასრულა



ქალთა შორის წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში ის ჩოგბურთელები გავიდნენ, რომლებმაც WTA-ის ჩემპიონატის საგზური ბოლო მომენტში მოიპოვეს. მეშვიდე და მერვე ნომრად განთესილ **ვენუს უილიამსსა** და **ვერა ზვონარევას** მთელი სეზონის განმავლობაში არ ჰქონიათ რეიტინგის ლიდერობის პრეტენზია.

ვენუსი თანამედროვე ჩოგბურთის ვარსკვლავია და განთესვის დაბალი ნომრის მიუხედავად, მისი ფინალში გასვლა არავის გაჰკვირვებია. ზვონარევასგან კი ასეთ წარმატებას ბევრი არ მოელოდა. არადა, რუსი ჩოგბურთელი ამ სეზონის რეკორდსმენი გახდა WTA-ის ტურნირებში ნათამაშები ფინალების რაოდენობით. ვერამ ექვსი ტურნირის გადამწყვეტ მატჩში ითამაშა და აქედან მხოლოდ ორის მოგება შეძლო. თანაც, წაგებულ ფინალებში მას საუკეთესო ჩოგბურთელებთან უწევდა ურთიერთობის გარკვევა - **მარია შარაპოვასთან, სერენა უილიამსთან, ელენა იანკოვიჩთან, ანა ივანოვიჩთან...**

ზვონარევასა და უფროსი უილიამსის ურთიერთშეხვედრათა სტატისტიკა რუს ჩოგბურთელს კარგს არაფერს უქადდა. ვერამ ამერიკელს ერთადერთი შეხვედრა შორეულ 2003 წელს, თიხნარზე მოუგო და იქიდან მოყოლებული ზედიზედ ხუთჯერ დამარცხდა, თანაც ისე, რომ სეტიც ვერ აული ამერიკელს. მაგრამ ამ ტურნირზე რამდენჯერმე გამოჩნდა, რომ ურთიერთშეხვედრათა სტატისტიკა ამა თუ იმ მატჩის გამარჯვებულის გარკვევაში დიდ როლს არ თამაშობდა.

ფინალის სტარტი ისეთი გამოვიდა, რომ, წესით, ვერც ვენუსი უნდა გამკლავებოდა კარგ ფორმაში მყოფ ზვონარევას. რუსი 4:1 დაწინაურდა, შემდეგ 5:2-საც იგებდა, მაგრამ არც ეს ნიშნავდა რამეს. მაგალითად, ვენუსი ჯგუფურ ეტაპზე ასეთი ანგარიშით აგებდა სეტს **დინარა საფინასთან**, მაგრამ პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:5. ამერიკელს ამჯერადაც ცოტა დააკლდა მორიგი სასწაულის მოხდენამდე. 3:5-ზე მან ოთხი სეტ-პოინტი მოიგერია და საბოლოოდ, სეტის ტაი-ბრეიკზე გადაყვანა მოახერხა.

იმ მომენტში ყველას ეგონა, რომ ამერიკელმა საბოლოოდ იგდო ინიციატივა ხელთ და ზვონარევას კარგი დღე არ დაადგებოდა, მით უმეტეს, რომ "შემოკლებულ გეიმში" ვენუსი 5:1 დაწინაურდა. მაგრამ რუსი მოვლენათა ამგვარ განვითარებას არ შეურიგდა და მაყურებელი პირველივე სეტში მეორე სასწაულის მოწმე გახდა. ზვონარევამ ზედიზედ ექვსი ქულა აილო და პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:6.

ასეთი საჩუქრის შემდეგ, რუსი ჩოგბურთელის თამაშში აუცილებლად უნდა დამდგარიყო ჩავარდნის პერიოდი, ვენუსს კი პირიქით, თამაშისთვის უნდა მოემატებინა. ასე რომ, მეორე სეტში ზვონარევას მარცხი იოლად იკითხებოდა. პროგნოზი გამართლდა - ტაი-ბრეიკში ჩადენილი გმირობა რუსს ძალიან ძვირად დაუჯდა: მან ზედიზედ რვა გეიმი წააგო. შესაბამისად, უილიამსმა მეორე სეტი 6:0 მოიგო და მესამეში 2:0 დაწინაურდა.

რუს ჩოგბურთელს ბრძოლა არ შეუწყვეტია და ერთი ბრეიკიც გაახერხა. თითქოს მესამე პარტიაში ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო, მაგრამ იქვე ამერიკელმა საპასუხო ბრეიკი აილო და ამის შემდეგ, ზვონარევამ ნელ-ნელა შეწყვიტა წინააღმდეგობა. გადამწყვეტი მომენტი მეშვიდე გეიმში დადგა: 4:2-ზე და 30:30-ზე რუსს აშკარად არ გაუმართლა - ვენუსი კორტზე დაეცა, მაგრამ ვერამ ბადეს გაარტყა ბურთი და მეტოქეს ქულა აჩუქა. ძალიან მალე მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა და ტაბლოზე ასეთი შედეგი გამოისახა - 6:7, 6:0, 6:2 ამერიკელი ჩოგბურთელის სასარგებლოდ.

წაგების მიუხედავად, ზვონარევა კმაყოფილი უნდა იყოს ამ ტურნირისა და მთლიანად სეზონის მსვლელობით. 2008 წლამდე, მას მხოლოდ შვიდჯერ ჰყავდა დამარცხებული რეიტინგის საუკეთესო ათეულის ჩოგბურთელები, წელს კი ამას თითქმის ყველა ტურნირზე აკეთებდა. თანაც, ზვონარევა მარია შარაპოვას შემდეგ მეორე რუსი ჩოგბურთელია, ვინც წლის შემაჯამებელი ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ვენუს უილიამსმა კი, რომელსაც მუდმივად თან სდევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, კარიერაში პირველად მოიგო WTA-ის ჩემპიონატი. დავუმატოთ ამას წელსვე მოგებული უიმბლდონის ტურნირი და თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ უფროს უილიამსს მომავალ წელს უფრო ხშირად ვიხილავთ ქალთა ტურის წამყვან პოზიციებზე.

## რეიტინგები

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 4710 |
| 2(3). სერენა უილიამსი (აშშ) | 3866 |
| 3(2). დინარა საფინა (რუს) | 3817 |
| 4(5). ელენა დემენტიევა (რუს) | 3663 |
| 5(4). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3457 |
| 6(8). ვენუს უილიამსი (აშშ) | 3272 |
| 7(9). ვერა ზვონარევა (რუს) | 2952 |
| 8(7). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2726 |
| 9(6). მარია შარაპოვა (რუს) | 2515 |
| 10(10). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 2286 |
| 11(11). ნადია პეტროვა (რუს) | 1976 |
| 12(13). კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) | 1678 |
| 13(14). ფლავია პენეტა (იტა) | 1670 |
| 14(15). პატი შნიდერი (შვეიც) | 1590 |
| 15(17). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1494 |
| 16(18). ალიზ კორნე (საფ) | 1492 |
| 17(16). მარიონ ბარტოლი (საფ) | 1410 |
| 18(12). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1363 |
| 19(20). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 1337 |
| 20(21). კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 1272 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 4786 |
| 2. დინარა საფინა (რუს) | 3823 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 3681 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუს) | 3400 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერ) | 3353 |
| 6. ვერა ზვონარევა (რუს) | 2626 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2623 |
| 8. ვენუს უილიამსი (აშშ) | 2522 |
| 9. მარია შარაპოვა (რუს) | 2515 |
| 10. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 2256 |
| 11. ნადია პეტროვა (რუს) | 1914 |
| 12. ფლავია პენეტა (იტა) | 1814 |
| 13. კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) | 1756 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიც) | 1596 |
| 15. ალიზ კორნე (საფ) | 1499 |
| 16. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1497 |
| 17. მარიონ ბარტოლი (საფ) | 1487 |
| 18. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) | 1447 |
| 19. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) | 1410 |
| 20. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1370 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 3 852 173 |
| 2. ვენუს უილიამსი (აშშ) | 3 747 565 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3 064 465 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 838 390 |
| 5. დინარა საფინა (რუს) | 2 515 020 |
| 6. მარია შარაპოვა (რუს) | 1 937 879 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუს) | 1 920 679 |
| 8. ვერა ზვონარევა (რუს) | 1 773 175 |
| 9. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1 452 369 |
| 10. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1 164 072 |
| 11. კარა ბლეკი (ზიმ) | 919 940 |
| 12. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 895 145 |
| 13. ნადია პეტროვა (რუს) | 893 295 |
| 14. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 892 737 |
| 15. ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) | 803 525 |
| 16. ჟიე ჟენგი (ჩინ) | 771 469 |
| 17. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 752 189 |
| 18. ფლავია პენეტა (იტა) | 723 059 |
| 19. აი სუგიამა (იაპ) | 722 210 |
| 20. პატი შნიდერი (შვეიც) | 720 474 |

## 2008 წლის ტურნირები

| | |
|---|---|
| **Mondial Australian Women's Hardcourts** | |
| გოლდ კოუსტი. ავსტრალია. $175 000 | |
| ნა ლი (ჩინ)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 4:6, 6:3, 6:4 |
| **ASB Classic** | |
| ოკლენდი. ახალი ზელანდია. $145 000 | |
| ლინდსი დავენპორტი (აშშ)-არავან რეზაი (საფ) | 6:2, 6:2 |
| **Medibank International** | |
| სიდნეი. ავსტრალია. $600 000 | |
| ჟუსტინ ანენი (ბელ,1)-ს. კუზნეცოვა (რუს, 2) | 4:6, 6:2, 6:4 |
| **Moorilla Hobart International** | |
| ჰობარტი. ავსტრალია. $170 000 | |
| ელენი დანილიდუ (საბ)-ვერა ზვონარევა (რუს, 2) | უარი |
| **ავსტრალიის ღია პირველობა** | |
| მელბურნი | |
| მარია შარაპოვა (რუს, 5)-ანა ივანოვიჩი (სერ, 4) | 7:5, 6:3 |
| **Open Gaz de France** | |
| პარიზი. საფრანგეთი. $600 000 | |
| ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1)-აგნეს შავაი (უნგ, 7) | 6:3, 2:6, 6:2 |
| **Pattaya Women's Open** | |
| პატაია. ტაილანდი. $170 000 | |
| ა. რადვანსკა (პოლ, 1)-ჯილ კრეიბასი (აშშ, 7) | 6:2, 1:6, 7:6(4) |
| **Proximus Diamond Games** | |
| ანტვერპენი. ბელგია. $600 000 | |
| ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)-კარინ კნაპი (იტა) | 6:3, 6:3 |
| **Cachantun Cup** | |
| ვინია დელ მარი. ჩილე. $200 000 | |
| ფბ პენეტა (იტა, 1)-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 8) | 6:4, 5:4 უარი |
| **Qatar Total Open** | |
| დოჰა. კატარი. $2 500 000 | |
| მარია შარაპოვა (რუს, 4)-ვერა ზვონარევა (რუს) | 6:1, 2:6, 6:0 |
| **Copa Colsanitas** | |
| ბოგოტა. კოლუმბია. $185 000 | |
| ნურია ლაგოსტერა (ესპ)-მარია ემილია სალერნი (არგ) | 6:0, 6:4 |
| **Barclays Dubai Tennis Championships** | |
| დუბაი. საემიროები. $1 500 000 | |
| ელენა დემენტიევა (რუს, 8)-ს. კუზნეცოვა (რუს, 2) | 6:3, 6:2 |
| **Abierto Mexicano TELCEL** | |
| აკაპულკო. მექსიკა. $180 000 | |
| ფლავია პენეტა (იტა, 1)-ალიზ კორნე (საფ, 2) | 6:0, 4:6, 6:1 |
| **Regions Morgan Keegan Championships** | |
| მემფისი. აშშ. $175 000 | |
| ლინდსი დავენპორტი (აშშ, 4)-ო. გოვორცოვა (ბლრ, 5) | 6:2, 6:1 |
| **Bangalore Open** | |
| ბანგალორი. ინდონეზია. $600 000 | |
| სერენა უილიამსი (აშშ, 3)-პატი შნიდერი (შვეიც, 4) | 7:5, 6:3 |
| **Pacific Life Open** | |
| ინდიან უელსი. აშშ. $2 100 000 | |
| ანა ივანოვიჩი (სერ, 1)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2) | 6:4, 6:3 |
| **Sony Ericsson Open** | |
| მაიამი. აშშ. $3 770 000 | |
| სერენა უილიამსი (აშშ, 8)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 4) | 6:1, 5:7, 6:3 |
| **Bausch & Lomb Championships** | |
| ამელია აილენდი. აშშ. $600 000 | |
| მარია შარაპოვა (რუს, 1)-დ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 7:6(7), 6:3 |
| **Family Circle Cup** | |
| ჩარლსტონი. აშშ. $1 340 000 | |
| სერენა უილიამსი (აშშ, 5)-ვერა ზვონარევა (აშშ, 9) | 6:4, 3:6, 6:3 |
| **Estoril Open** | |
| ეშტორილი. პორტუგალია. $145 000 | |
| მარია შარაპოვა (რუს, 2)-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) | 6:4, 6:2 |
| **Grand Prix de SAR** | |
| ფესი. მაროკო. $145 000 | |
| ხ. დულკო (არგ, 2)-ა. მედინა გარიგესი (ესპ, 1) | 7:6(2), 7:6(5) |
| **ECM Prague Open** | |
| პრაღა. ჩეხეთი. $145 000 | |
| ვერა ზვონარევა (რუს, 1)-ვ. აზარენკა (ბლრ, 3) | 7:6(2), 6:2 |
| **Qatar Telecom German Open** | |
| ბერლინი. გერმანია. $1 340 000 | |
| დინარა საფინა (რუს, 13)-ე. დემენტიევა (რუს, 7) | 3:6, 6:2, 6:2 |
| **Internazionali BNL d'Italia** | |
| რომი. იტალია. $1 340 000 | |
| ელენა იანკოვიჩი (სერ, 4)-ალიზ კორნე (საფ) | 6:2, 6:2 |
| **Internationaux de Strasbourg** | |
| სტრასბური. საფრანგეთი. $175 000 | |
| მედინა გარიგესი (ესპ, 6)-კ. სრებოტნიკი (სლოვ, 5) | 4:6, 7:6(4), 6:0 |
| **Istanbul Cup** | |
| სტამბოლი. თურქეთი. $200 000 | |
| ა. რადვანსკა (პოლ, 2)-ელენა დემენტიევა (რუს, 1) | 6:3, 6:2 |
| **საფრანგეთის ღია პირველობა** | |
| პარიზი | |
| ანა ივანოვიჩი (სერ, 2)-დინარა საფინა (რუს, 13) | 6:4, 6:3 |
| **DFS Classic** | |
| ბირმინგემი. ინგლისი. $200 000 | |
| კატ. ბონდარენკო (უკრ, 12)-ტ. ვიკმაიერი (ბელ) | 7:6(7), 3:6, 7:6(4) |
| **Torneo Barcelona KIA** | |
| ბარსელონა. ესპანეთი. $145 000 | |
| მ. კირილენკო (რუს, 2)-მარია მარტინეს სანჩესი (ესპ) | 6:0, 6:2 |
| **International Women's Open** | |
| ისტბურნი. ინგლისი. $600 000 | |
| ა. რადვანსკა (პოლ, 4)-ნადია პეტროვა (რუს, 8) | 6:4, 6:7(11), 6:4 |
| **Ordina Open** | |
| ერტოგენბოში. ჰოლანდია. $175 000 | |
| ტ. ტანასუგარნი (ტაილ)-დინარა საფინა (რუს, 3) | 7:5, 6:3 |
| **უიმბლდონი** | |
| ლონდონი | |
| ვენუს უილიამსი (აშშ, 7)-სერენა უილიამსი (აშშ, 6) | 7:5, 6:4 |
| **Gaz de France Grand Prix** | |
| ბუდაპეშტი. უნგრეთი. $175 000 | |
| ალიზ კორნე (საფ, 2)-ანდრეია კლეპაჩი (სლოვენ) | 7:6(5), 6:3 |
| **Internazionali Femminili di Tennis di Palermo** | |
| პალერმო. იტალია. $145 000 | |
| სარა ერანი (იტა, 5)-მარია კორიტცევა (უკრ, 7) | 6:2, 63 |
| **Bank of the West Classic** | |
| სტენფორდი. აშშ. $600 000 | |
| ა. ვოზნიაკი (კან)-მარიონ ბარტოლი (საფ, 6) | 7:5, 6:3 |
| **Gastein Ladies** | |
| ბად გაშტაინი. ავსტრია. $175 000 | |
| პოლინ პარმენტიე (საფ, 4)-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) | 6:4, 6:4 |
| **Bank of the West Classic** | |
| ლოს ანჯელესი. აშშ. $600 000 | |
| დინარა საფინა (რუს, 4)-ფლავია პენეტა (იტა, 10) | 6:4, 6:2 |
| **Banka Koper Slovenia Open** | |
| პორტოროჟი. სლოვენია. $145 000 | |
| სარა ერანი (იტა, 8)-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 4) | 6:3, 6:3 |
| **Rogers Cup** | |
| მონრეალი. კანადა. $1 340 000 | |
| დინარა საფინა (რუს, 7)-დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 6:2, 6:1 |
| **Nordea Nordic Light Open** | |
| სტოკჰოლმი. შვედეთი. $145 000 | |
| კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 4)-ვერა დუშევინა (რუს) | 6:0, 6:2 |
| **ოლიმპიადა** | |
| პეკინი. ჩინეთი | |
| ელენა დემენტიევა (რუს, 5)-დინარა საფინა (რუს, 6) | 3:6, 7:5, 6:3 |
| **Western & Southern Financial Group** | |
| ცინცინატი. აშშ. $175 000 | |
| ნადია პეტროვა (რუს, 2)-ნატალი დეში (საფ) | 6:2, 6:1 |
| **Pilot Pen Tennis** | |
| ნიუ ჰევენი. აშშ. $600 000 | |
| კაროლინ ვოზნიაჩკი (დან)-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1) | 3:6, 6:4, 6:1 |
| **Forest Hills Classic** | |
| ფორესტ ჰილსი. აშშ. $74 800 | |
| ლუსი საფაროვა (ჩეხ)-შუაი პენგი (ჩინ) | 6:4, 6:2 |
| **აშშ-ს ღია პირველობა** | |
| ნიუ იორკი | |
| სერენა უილიამსი (აშშ, 4)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 2) | 6:4, 7:5 |
| **Commonwealth Bank Tennis Classic** | |
| ბალი. ინდონეზია. $225 000 | |
| პატი შნიდერი (შვეიც, 2)-ტამირა პაჩეკი (ავსტრია) | 6:3, 6:0 |
| **China Open** | |
| პეკინი. ჩინეთი. $600 000 | |
| ელენა იანკოვიჩი (სერ, 1)-ს. კუზნეცოვა (რუს, 4) | 6:3, 6:2 |
| **Hansol Korea Open** | |
| სეული. კორეა. $145 000 | |
| მარია კირილენკო (რუს, 1)-ს. სტოსური (ავსტრა) | 2:6, 6:1, 6:4 |
| **Porsche Tennis Grand Prix** | |
| შტუტგარტი. გერმანია. $650 000 | |
| ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)-ნადია პეტროვა (რუს) | 6:4, 6:3 |
| **Toray Pan Pacific Open** | |
| ტოკიო. იაპონია. $175 000 | |
| დინარა საფინა (რუს, 4)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 5) | 6:1, 6:3 |
| **TOE Life Ceramics** | |
| გუანგჟოუ. ჩინეთი. $650 000 | |
| ვერა ზვონარევა (რუს, 1)-შუაი პენგი (ჩინ) | 6:7(4), 6:0, 6:2 |
| **AIG Japan Open** | |
| ტოკიო. იაპონია. $650 000 | |
| კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 1)-კაია კანეპი (ესტ, 5) | 6:2, 3:6, 6:1 |
| **Tashkent Open** | |
| ტაშკენტი. უზბეკეთი. $145 000 | |
| სორანა კირსტეა (რუმ, 3)-საბინ ლისიცკი (გერ) | 2:6, 6:4, 7:6(4) |
| **Kremlin Cup** | |
| მოსკოვი. რუსეთი. $1 340 000 | |
| ელენა იანკოვიჩი (სერ, 1)-ვერა ზვონარევა (რუს, 7) | 6:2, 6:4 |
| **Zurich Open** | |
| ციურიხი. შვეიცარია. $600 000 | |
| ვენუს უილიამსი (აშშ, 3)-ფლავია პენეტა (იტა) | 7:6(1), 6:2 |
| **Generali Ladies** | |
| ლინცი. ავსტრია. $600 000 | |
| ანა ივანოვიჩი (სერ, 1)-ვერა ზვონარევა (რუს, 2) | 6:2, 6:1 |
| **FORTIS Championships** | |
| ლუქსემბურგი. $225 000 | |
| ელენა დემენტიევა (რუს, 1)-კ. ვოზნიაჩკი (დან, 4) | 2:6, 6:4, 7:6(4) |
| **Bell Challenge** | |
| კვებეკი. კანადა. $175 000 | |
| ნადია პეტროვა (რუს, 1)-ბეტანი მატეკი (აშშ, 6) | 4:6, 6:4, 6:1 |
| **WTA-ს ჩემპიონატი** | |
| დოჰა. კატარი. $4 450 000 | |
| ვ. უილიამსი (აშშ, 7)-ვერა ზვონარევა (რუს, 8) | 6:7(5), 6:0, 6:2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ორი ალენის დღე



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუშინდელი დღე ალენებისა იყო. ამ გვარის ორმა კალათბურთელმა მოქმედ ჩემპიონ "ბოსტონ სელტიქსს" სეზონში მეოთხედ გაამარჯვებინა და ზედიზედ მესამედ მოაგებინა პრინციპული მეტოქის წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ სოლო პარტია არა ცნობილმა **რეი ალენმა**, არამედ მისმა ახალგაზრდა კოლეგამ და მოგვარე **ტონიმ** შეასრულა. ეს გახლავთ რეზერვისტი ფორვარდი, რომელმაც უკვე მეორე მეოთხედში შეუქმნა "სელტიქსს" ბრწყინვალე ჰანდიკაპი - ტონის მიერ დაგროვილი 23 ქულიდან 12 სწორედ იმ პერიოდზე მოდის, როცა "ბოსტონმა" გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა და ამის შემდეგ "დეტროიტმა" მდგომარეობის გამოსწორება ველარ შეძლო. ალვნიშნავთ, რომ **დოკ რივერსის** შეგირდებმა მეორე 12-წუთეული 30:10 მოიგეს.

მოედანზე კიდევ ერთი ალენი თამაშობდა - "დეტროიტის" ახალწვეული **ალენ აივერსონი**. იმ დღეს ვეტერანი ვარსკვლავი პირველად წარდგა თავისი ახალი პუბლიკის წინაშე. დეტროიტულმა აუდიტორიამ "დენვერიდან" "პისტონზში" გადაბარგებული გამთამაშებელი თბილად მიიღო, მაგრამ აივერსონმა ასეთი დახვედრისთვის საკადრისი მადლობის თქმა ვერ მოახერხა. ალენი უხვად კი არიგებდა პასებს, მაგრამ აივერსონის მონდომებას მისი ახალი პარტნიორები წყალში ყრიდნენ. განსაკუთრებით აქტიურად იგნორირებდა პლეიმეიკერის დახმარებას **რიჩარდ ჰემილტონი**, რომელმაც რვაჯერ ისროლა და რვავე ააცილა. ასეთი რამ "რიპის" კარიერაში მხოლოდ მეორედ მოხდა.

საბოლოოდ, ორი დაცვითი სტილის გუნდის დაპირისპირებაში გაიმარჯვა იმან, რომელსაც ამ კონკრეტულ სიტუაციაში უკეთესი დაცვა ჰყავდა დაყენებული. **კევინ გარნეტი** და **პოლ პირსი** საშინლად თამაშობდნენ შეტევაში, მაგრამ დაცვაში თავს არ ზოგავდნენ და კონკურენტებს არ ახარებდნენ. "დეტროიტიც" იმავე სტილში პასუხის გაცემას ცდილობდა, მაგრამ **მაიკლ კარის** შეგირდებს აგრესიულობა და ხანდახან იღბალი არ ჰყოფნიდათ ღირსეული კონკურენციის გასაწევად.

*"ბოლო წელს ეს იყო ჩვენი საუკეთესო თამაში დაცვაში"*, - ასეთი რეზიუმე გაუკეთა შეხვედრას **დოკ რივერსმა**.

## ტურის გმირი: ჯამალ კროუფორდი

"იუტა", რომელმაც გასულ უიენდზე კარიერაში მეათასე გამარჯვება აჩუქა თავის მწვრთნელ **ჯერი სლოუნს**, ნიუ იორკში ამაღლებული განწყობითა და სეზონის სტარტზე მეექვსე გამარჯვების იმედით ჩავიდა. ეს რომ მომხდარიყო, "ჯაზმენები" 10 წლის წინანდელ საკლუბო რეკორდს გაიმეორებდნენ. მაგრამ სტუმრებს მოსალოდნელი ზეიმი **ჯამალ კროუფორდმა** ჩაუშალა. მან 32 ქულა დააგროვა და დიდად განაპირობა "ნიქსის" სენსაციური ტრიუმფი. მცველმა შვიდიდან ხუთი სამქულიანი ჩააგდო და სეზონში შორეული ტყორცნების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი 45.2-მდე აიყვანა.

## ტურის ანტიგმირი: ტრეისი მაკგრეიდი

ამ ბოლო დროს გახშირდა "ჰიუსტონ როკეტსის" გამთამაშებლის კრიტიკა. **ტრეისი მაკგრეიდის** ლანძღვა ერთგვარ მოდად იქცა, მაგრამ NBA-ის ვარსკვლავი ამ კრიტიკას სამართლიანად იმსახურებს. "ლეიკერსთან" მატჩში ტიმაკმა მხოლოდ სამი ქულა დააგროვა. მან თამაშიდან 11-ჯერ ისროლა და ერთხელ მიაღწია მიზანს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ეს იყო მაკგრეიდის ყველაზე უარესი მაჩვენებელი - მისი წინა ჩავარდნა 2007 წლის 19 დეკემბრით თარიღდება.

## ტურის ციფრი: 13

გასული სეზონის მატჩების გათვალისწინებით, "ლოს ანჯელეს კლიპერსს" ზედიზედ 13 მატჩი ჰქონდა წაგებული. კალიფორნიელებმა ნავსი "დალასთან" შეხვედრაში გატეხეს, არადა, აქამდე, "კოვბოებთან" დაპირისპირებაში ზედიზედ ექვსი წაგება დაუგროვდათ. აღსანიშნავია, რომ "კლიპერსს" საჭირო გამარჯვების მიღწევაში 13:0 გაქცევა დაეხმარა, რომელიც მეოთხე მეოთხედში განხორციელდა, როცა ანგარიში 79:79 იყო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**შარლოტი-ტორონტო 79:89**

19:20, 26:20, 22:23, 12:26

შ: ოგუსტინი (14), რიჩარდსონი (12), ფელტონი (12+6 პასი), დადლი (10).

ტ: ბოში (30+15 მოხსნა), ბარნიანი (18), კალდერონი (13+7 პასი), მუნი (10+9 მოხსნა), ჯ. ო'ნილი (5+9 მოხსნა).

**ნიუ იორკი-იუტა 107:99**

26:29, 23:25, 27:15, 31:30

ნ-ი: კროუფორდი (32), ზ. რენდოლფი (25+14 მოხსნა), დუჰონი (16+9 პასი), რობინსონი (10), დ. ლი (8+8 მოხსნა).

ი: ბუზერი (19+17 მოხსნა), კირილენკო (18), ოქური (17), ბრიუერი (12+7 პასი), ნაითი (10+6 პასი).

**კლიპერსი-დალასი 103:92**

25:24, 22:21, 26:24, 30:23

კ: ბ. დევისი (22+10 პასი), ტორნტონი (17), მობლი (11), გორდონი (11), კამანი (10+9 მოხსნა), პ. დევისი (10), კემბი (9+14 მოხსნა).

დ: ნოვიცკი (33+7 მოხსნა), გრინი (13+12 მოხსნა), სტეკჰაუსი (10).

**დეტროიტი-ბოსტონი 76:88**

19:17, 10:30, 22:22, 25:19

დ: პრინსი (23+8 მოხსნა), ბინუმი (11), რ. უოლასი (10+11 მოხსნა), აივერსონი (10).

ბ: ტ. ალენი (23+5 მოხსნა), რ. ალენი (17+8 მოხსნა), რონდო (13+5 პასი), გარნეტი (8+12 მოხსნა).

**ოკლაჰომა სიტი-ატლანტა 85:89**

14:22, 27:16, 21:20, 23:31

ო: დურანტი (20), უესტბრუკი (15), სმიტი (14+9 მოხსნა), უოტსონი (11+6 პასი), გრინი (8+8 მოხსნა).

ა: ჯო ჯონსონი (25+4 ჩაჭრა), მერვინ უილიამსი (16+7 მოხსნა), მიურეი (14), ბიბი (13), ჰორფორდი (8+12 მოხსნა+5 დაფარება), ს. ჯონსი (3 +10 მოხსნა).

**დენვერი-მემფისი 100:90**

28:34, 25:20, 20:15, 27:21

დ: ენტონი (24+8 მოხსნა), ნენე (18+12 მოხსნა), ბილაპსი (16+10 პასი+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), კლეიზა (12+9 მოხსნა), ბოლმანი (12+6 მოხსნა), ჯონსი (11).

მ: მაიო (31+8 მოხსნა), გეი (16+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), არტური (10+3 ჩაჭრა), მ. გასოლი (6+8 მოხსნა).

**საკრამენტო-გ. სტეიტი 115:98**

32:29, 31:28, 27:15, 25:26

ს: მარტინი (27), სალმონსი (16), ბ. მილერი (14+10 მოხსნა+6 პასი), ჰოვსი (14+11 მოხსნა+3 დაფარება), ბ. ბრაუნი (13).

გ-ს: ბიედრინსი (16+18 მოხსნა), ს. ჯექსონი (15+6 პასი), აზუბუიკე (12+5 მოხსნა), რენდოლფი (11+7 მოხსნა), ბ. რაიტი (10+3 დაფარება), უოტსონი (10).

**ლეიკერსი-ჰიუსტონი 111:82**

16:28, 34:20, 22:17, 39:17

ლ: ბრაიანტი (23), პ. გასოლი (20+15 მოხსნა+3 დაფარება), ფარმარი (16+6 პასი), ბინუმი (13+7 მოხსნა+3 დაფარება), არიზა (8+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ჰ: ბრუქსი (20), სკოლა (12+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), მინი (12+8 მოხსნა), ლენდრი (12+6 მოხსნა).

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**კაროლინა-ატლანტა 2:5**

0:0, 2:4 0:1

გოლები: 1:0 ბრინდამორი-5 (სამსონოვი-3, ბაიდა-3), 1:1 რისონერი-2 (ტორნბურნი-1), 2:1 რეი უიტნი-4 (ტ. რუუტუ-5), 2:2 ჰეინსი-3 (ლიტლი-7, პერენი-3), 2:3 ჯეისონ უილიამსი-6 (ჰეინსი-7, კოვალჩუკი-8), 2:4 კოვალჩუკი-6 (ჯეისონ უილიამსი-4, ე. კრისტენსენი-7), 2:5 რისონერი-3.

**ნიუ ჯერსი-ედმონტონი 1:2**

0:0, 0:2, 1:0

გოლები: 0:1 სურეი-5 (ჰესკი-10, ვიშნოვსკი-4), 0:2 ჰესკი-5 (ვიშნოვსკი-5, დრუენ-დესლორიერი-1), 1:2 პარიზე-11 (ზაიაცი-8, ოდუია-6).

**ანაჰაიმი-ფლორიდა 1:3**

1:1, 0:2, 0:0

გოლები: 1:0 პერი-5 (მონტადორი-4), 1:1 ბუტი-5 (კალიმორი-2, ვეისი-5), 1:2 ბუტი-6 (ვეისი-6, მაკეიბი-2), 1:3 ბუტი-7 (ფროლიკი-1, კალიმორი-3).

**ჩიკაგო-კალგარი 6:1**

2:0, 1:1: 3:0

გოლები: 1:0 ჰავლატი-5 (ვერსტეეგი-9, სობრუკი-3), 2:0 ა. ჯონსონი-3 (ფრეზერი-2), 3:0 კეინი-7 (ჰავლატი-8, ბროუერი-4), 3:1 ბოიდი-4 (სერიჩი-2), 4:1 ტეუვზი-1 (კეინი-10, ბარკერი-2), 5:1 ვერსტეეგი-3 (კეინი-11, ტეუვზი-8), 6:1 ბროუერი-2 (ჰავლატი-8, ბარკერი-3).

**ფინიქსი-სან ხოსე 4:2**

2:2, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 ბოილი-4 (ქლოუ-5, ვლასიჩი-7), 0:2 ქლოუ-9 (ერჰოფი-10, რობ ბლეიკი-7), 1:2 ტიხონოვი-1 (ჰანუალი-6, ფედორუკი-2), 2:2 ო. იოკინენი-6 (ზ. მიხალეკი-4, პ. მიულერი-5), 3:2 პ. მიულერი-5 (ო. იოკინენი-9), 4:2 ო. იოკინენი-7 (დოუნი-7, ჟოვანოვსკი-1).

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **იტალია** | |
| **სერია A** | |
| პარმა-ბარი | 1:1 |
| **სერია C1/B** | |
| ტერნანა-გალიპოლი | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფრაიბურგი-სტ. პაული | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტრუა-ბულონი | 1:0 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| ნასიონალი-ბრაგა | 1:0 |
| ბენფიკა-ავეში | 3:0 |
| **დანია** | |
| მიდტიულანდი-ვეილე | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| სტ. გალენი-ვილი | 0:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იონიკოსი-კარდიცასი | 3:1 |
| **თურქეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დიარბაქირი-ალთაი | 4:1 |
| **ირლანდია** | |
| სტ. პატსი-დერი | 2:1 |
| **კვიპროსი** | |
| აეპ-ეთნიკოსი | 0:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ბოლესლავი-ბანიკი | 0:2 |
| **რუსეთი** | |
| მოსკოვი-ცსკა | 1:4 |
| **ბულგარეთი** | |
| სლავია-ჩერნომორეცი | 2:0 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-მაკაბი (ნ) | 2:3 |
| **არგენტინა** | |
| რივერი-ურაკანი | 3:3 |
| სან მარტინი-რასინგი | 0:2 |
| **ბრაზილია** | |
| ბოტაფოგო-ფლამენგო | 0:1 |
| ინტერნასიონალი-იპატინგა | 4:0 |
| ვიტორია-ატ. მინეირო | 0:1 |
| **ჩილე** | |
| რეინჯერსი-უნ. ჩილე | 1:0 |
| ო'ჰიგინსი-უაჩიპატო | 3:2 |
| **კოლუმბია** | |
| დეპ. კალი-დეპ. კუინდიო | 2:0 |
| ინდეპენდიენტე-ლა ეკვიდადი | 2:1 |
| **პერუ** | |
| სან მარტინი-ატ. ლიმა | 1:0 |
| **ურუგვაი** | |
| პენიაროლი-ვ. ესპანიოლა | 3:0 |
| **მექსიკა** | |
| ამერიკა-მონტერეი | 1:0 |
| **ჰოკეი** | |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-აიკ | 5:3 |
| **ხელბურთი** | |
| **შვედეთი** | |
| დროტი-სავეჰოფი | 29:31 |
| რედბერგსლიდსი-გუიფი | 32:32 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. შანხაი** | |
| ფედერერი-სიმონი | 6:4, 4:6, 3:6 |
| მიურეი-როდიკი | 6:4, 1:6, 6:1 |

TV სპორტი

**11 ნოემბერი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

08:40 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
09:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ნიიმეგენი-ეინდჰოვენი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
15:05 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. იუვენტუსი-ზენიტი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:20 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
20:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
01:10 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. დინამო-არსენალი.
03:05 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
04:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. იუვენტუსი-ზენიტი.
06:45 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
10:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-სამპდორია.
12:00 ცურვა. მსოფლიოს თასი. რუსეთი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის თასი. ჯგუფური ტურნირი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
18:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:05 მინი-მოედანი
18:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
20:30 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:40 ცურვა. მსოფლიოს თასი. სტოკჰოლმი. შვედეთი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ტამპა ბეი.
02:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
02:35 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-სამპდორია.
04:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
05:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:00 ცურვა. მსოფლიოს თასი. რუსეთი.

**EUROSPORT**

11:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ფინალი. ვენუს უილიამსი-ვერა ზვონარევა. დოჰა. კატარი.
13:30 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. III დღე.
15:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
16:00 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. IV დღე (LIVE).
19:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი.
19:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:30 მულტისპორტი.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. IV დღე (LIVE).
00:00 პროფესიული კრივი. კალიარი. იტალია (LIVE).
02:00 წყალ-სამოტორო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მარსელი. საფრანგეთი.
02:30 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. IV დღე.
04:00 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. იაპონიის ლიგა. ტურის მიმოხილვა.
14:00 ახალი ამბები.
14:30 სუპერკროსი. I რბოლა. ციურიხი. შვეიცარია.
15:30 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. 1/4 ფინალი. ახალი ზელანდია.
18:00 სუპერკროსი. II რბოლა. ციურიხი. შვეიცარია.
19:00 კალათბურთი. ევროთასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები.
20:00 ახალი ამბები.
20:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
21:00 კალათბურთი. ევროთასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი (LIVE).
00:30 სუპერკროსი. II რბოლა. ციურიხი. შვეიცარია.
02:00 ახალი ამბები.

უცხოური სპორტი

დოპინგი

# ორის ნაცვლად ოთხი

## დოპინგის მიღება კარიერის დასრულების ტოლფასი იქნება

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო (WADA) დოპინგთან ბრძოლას ამკაცრებს. ამ ორგანიზაციამ ახალი კოდექსი შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც იმ სპორტსმენს, რომელსაც აკრძალული პრეპარატის მიღებაში გამოიჭერენ, ორის ნაცვლად ოთხწლიანი დისკვალიფიკაციით დასჯიან, რაც ფაქტობრივად წესის დამრღვევს პროფესიულ სპორტში დაბრუნების საშუალებას აღარ მისცემს.

WADA-ს ახალი კოდექსი 2009 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში. დისკვალიფიკაციის ვადის გაზრდასთან ერთად, ცვლილება შევიდა გადაწყვეტილების მიღების მექანიზმშიც. ამიერიდან, დოპინგის საქმესთან დაკავშირებული ვერდიქტის გამოტანის დროს, მხედველობაში მიიღებენ სპორტსმენის ჩვენებას, გათვალისწინებული იქნება განსაკუთრებული შემთხვევები, შემამსუბუქებელი გარემოებები, ათლეტის მიერ ბრალის აღიარება და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, სპორტსმენს თავის დაცვის საშუალება ექნება, მაგრამ თუ ბრალი მაინც დამტკიცდა, ოთხწლიან დისკვალიფიკაციასთან ერთად, წესის დამრღვევს საპრიზო თანხების დაბრუნებაც მოუწევს.

*"WADA-ს კოდექსმა საკმაოდ სერიოზული ცვლილებები განიცადა. ამიერიდან, სპორტსმენის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის აღმოჩენა 4-წლიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება. გარდა ამისა, კოდექსი უფრო მოქნილი გახდა. თუ სპორტსმენი დაწვრილებით ახსნის მის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის მოხვედრას და დაამტკიცებს, რომ ეს ნივთიერება სპორტული შედეგების ასამაღლებლად არ მიუღია, მის წინააღმდეგ სანქციები გამოყენებული არ იქნება"*, - აცხადებს WADA-ს ოფიციალური წარმომადგენელი.

ანტისადოპინგო სააგენტოს უფლება აქვს ნებისმიერ დღეს შეამოწმოს სპორტსმენი. დროსა და ადგილს თავად ათლეტი ირჩევს, მაგრამ თუ დოპინგკონტროლის ოფიცერი დათქმულ დროს სპორტსმენს ვერ იპოვის, მაშინ მას შესაბამის გრაფაში "გამოტოვებულ ტესტირებას" ჩაუწერს. 18 თვის განმავლობაში სამი ასეთი დარღვევა ავტომატურად ორწლიან დისკვალიფიკაციას ითვალისწინებს.

ასევე აღსანიშნავია კიდევ ერთი სიახლე. მომავალი წლიდან დაჩქარდება სადოპინგო საქმეების განხილვა. A ტესტის დადებითი შედეგის შემთხვევაში, B სინჯის გახსნის მაქსიმალური ვადა შვიდ დღეს უტოლდება, ხოლო სპორტსმენის დისკვალიფიკაციით დასჯის გადაწყვეტილებიდან არა უგვიანეს 20 დღეში ეს სიახლე პრესაში ოფიციალურად უნდა გამოცხადდეს.

### პეკინური სკანდალების რიცხვი შეიძლება 15-მდე ავიდეს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟაკ როგემ** გამოაცხადა, რომ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე დაფიქსირებულ დოპინგსკანდალთა რიცხვმა შესაძლოა 15-ს მიაღწიოს.

ზაფხულის ოლიმპიადის დროს, აკრძალული პრეპარატის მიღებაში 8 ათლეტი ამხილეს, მაგრამ ბელგიელი ფუნქციონერის სიტყვებით, ჯერჯერობით ცნობილი არ არის პეკინში აღებული ყველა დოპინგსინჯის შედეგი.

*"ოლიმპიადის წინ დოპინგის მიღების 39 შემთხვევა გამოვავლინეთ, უშუალოდ ოლიმპიადის მსვლელობისას - რვა შემთხვევა. სავარაუდოდ, კიდევ შვიდი წესის დამრღვევის შესახებ უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი*, - მოჰყავს როგეს სიტყვები სააგენტო "როიტერს". *- ყველა დოპინგტესტის საბოლოო შედეგი ექვსი კვირის განმავლობაში გახდება ცნობილი".*

როგეს სიტყვებით, დოპინგის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა მისი ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა. *"დოპინგი სპორტში - ეს იგივეა, რაც სისხლის სამართლის დანაშაული ცხოვრებაში"*, - ამბობს პრეზიდენტი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# გადაწყვეტილია: 20 დეკემბერს ვალუევი და ჰოლიფილდი

სუპერმძიმეწონაში WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, რუსი **ნიკოლაი ვალუევი** მორიგ ბრძოლას 20 დეკემბერს, შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გამართავს. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსი გიგანტის წინააღმდეგ ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე **ევანდერ ჰოლიფილდი** იჩხუბებს.

ადრე ვალუევის გუნდი უარს აცხადებდა 46 წლის ჰოლიფილდთან შეხვედრაზე, რადგან მსოფლიოს ექსჩემპიონი რუსის დონის მოწინააღმდეგედ არ მიაჩნდა. მაგრამ ვალუევის მენეჯერის **ბორის დიმიტროვის** განცხადებით, მისი კლიენტის დათანხმდა ევანდერთან ბრძოლას, ვინაიდან ამ ეტაპზე სხვა ღირსეული კანდიდატურა ვერ იპოვა.

დიმიტროვის თქმით, ბრძოლის კონტრაქტი ჯერ გაფორმებული არ არის, მაგრამ ზეპირი შეთანხმება მიღწეულია და მხარეები ოფიციალურ ხელშეკრულებას უახლოესი ორი კვირის განმავლობაში გააფორმებენ. სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი მომავალი ბრძოლის ჰონორარის ოდენობაც.

შეგახსენებთ, რომ ევანდერ ჰოლიფილდი შარშან ოქტომბრის შემდეგ არ გასულა რინგზე. ერთი წლის წინ, ამერიკელმა ქულებით წააგო ბრძოლა კიდევ ერთ რუს მოკრივე **სულთან იბრაჰიმოვთან**.



ფორმულა 1

# დამსხვრეული ტელევიზორი

## ჰემილტონის ტრიუმფს ფერარის პრეზიდენტის ტელევიზორი ემსხვერპლა

"ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** აღიარა, რომ ბრაზილიის გრანპრის ბოლო მეტრებისას, როცა **ლუის ჰემილტონმა** ტიტული გამოსტაცა **ფელიპე მასას**, გამწარებულმა ტელევიზორი დაამსხვრია. ამის შესახებ მან მუჯელოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. პრესასა და გულშემატკივრებთან შეხვედრა 2008 წლის სეზონის დასრულებას მიეძღვნა.

*"უნდა ვაღიარო, რომ ტელევიზორი დავამსხვრიე. ისეთი საშინელი ხმა იყო, მეზობელ ოთახში მყოფი ჩემი ქალიშვილი გვარიანად შეშინდა. საბედნიეროდ, სახლში კიდევ ერთი ტელევიზორი გვქონდა და იქ დაჯილდოების ცერემონიას ვუყურე, რომელიც ძალიან მომეწონა.*

*მგონი, ფორმულა 1-ის ისტორიაში არასოდეს გვინახავს, რომ ჩემპიონატის ბედი ფინალური გრანპრის ბოლო მოსახვევში გადაწყვეტილიყოს. სასწაული თუ ხდება, მხოლოდ ერთხელ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სასწაული შარშან მოხდა და ასეთი რამ, როგორც წესი, არ მეორდება ხოლმე. არადა, ფელიპე ძალიან ახლოს იყო ამ სასწაულთან"*, - ამბობს დე მონტეძემოლო.

სკუდერიის პრეზიდენტმა თბილი სიტყვები არ დაიშურა შარშანდელი ჩემპიონის **კიმი რაიკონენის** მისამართით: *"კიმი ამ სეზონის ბოლო რბოლამდე მსოფლიოს ჩემპიონად ითვლებოდა. მან ბევრი რამ გააკეთა იმისთვის, რომ ზედიზედ მეორედ მოგვეპოვებინა კონსტრუქტორთა თასი. ამ საქმეში მისი დიდი წვლილია. ლუის ჰემილტონისადმი პატივისცემის მიუხედავად, ჩემი პილოტებით კმაყოფილი ვარ - ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო დუეტი გვყავს".*



გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ამბები

კალათბურთი

### მარბერი სან ანტონიოსაც მოუნდა

NEW YORK DAILY NEWS-ის ცნობით, "სან ანტონიო სპურსი" **სტეფონ მარბერის** გადაბირებით არის დაინტერესებული. როგორც იცით, ცნობილი გამთამაშებელი ვერ მოხვდა "ნიუ იორკ ნიქსის" განაცხადში და კლუბმა ის ტრანსფერზე დააყენა.

ცნობილია, რომ "სან ანტონიოს" მწვავე საკადრო პრობლემები აქვს. ამ გუნდს დაახლოებით ერთი თვე ვერ დაეხმარებიან ლიდერები - **ტონი პარკერი და მანუ ჯინობილი**. "სპურსის" ხელმძღვანელობა სწორედ მარბერის განიხილავს ამ კალათბურთელების შემცვლელად.

### ოდენი ბრუნდება

2007 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა, "პორტლენდის" ცენტრმა **გრეგ ოდენმა** ვარჯიშები განაახლა და სავარაუდოდ, ამ კვირას დაუბრუნდება გუნდს. შეგახსენებთ, რომ 20 წლის კალათბურთელმა წლევანდელი სეზონის პირველივე ტურში ფეხის ტრავმა მიიღო და ორი კვირით იძულებითმა დასვენებამ მოუწია.

"პორტლენდმა" NBA-ის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული ოდენი ოთხმატჩიან გასვლით ტურნეში იახლა. ცენტრი ხვალ "ორლანდოსთან" შეხვედრას გამოტოვებს, მაგრამ თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ხუთშაბათს "მაიამის" წინააღმდეგ გავა მოედანზე.

როგორც იცით, ოდენმა ასევე ფეხის ტრავმის გამო მთელი შარშანდელი სეზონი გააცდინა.

### ბოში კარტერის კვალდაკვალ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ბოლო ტურში ("შარლოტის" წინააღმდეგ), "ტორონტო რეპტორზის" ლიდერმა **კრის ბოშმა** 30 ქულა დააგროვა. შესაბამისად, ეს ფორვარდი კანადური კლუბის ისტორიაში მეორე კალათბურთელი გახდა, ვინც 7000 ქულას მოუყარა თავი.

პირველად მსგავსი შედეგი **ვინს კარტერმა** (ამჟამად "ნიუ ჯერსიში" ირიცხება) დააფიქსირა, რომელიც "რეპტორზის" ღირსებას 1998-2004 წლებში იცავდა. მის ანგარიშზე 9420 ქულა მოდის.

იმავე "შარლოტთან" მატჩში, "ტორონტომ" 784 მატჩამდე აიყვანა სარეკორდო სერია, რომლის დროსაც ერთ შეხვედრაში მინიმუმ სამ ზუსტ სამქულიანს ასრულებს.

### დენვერმა მაკდაესი მოიშორა

"დენვერ ნაგეტსმა" ვეტერან ფორვარდ **ანტონიო მაკდაესთან** შეთანხმებას მიაღწია - კლუბი კალათბურთელის კონტრაქტს გამოისყიდის. ამ გარიგების თანახმად, 34 წლის თავდამსხმელი დაახლოებით 6 მილიონ დოლარს მიიღებს.

ყველანაირი ფორმალობა ამ დღეებში მოგვარდება და სავარაუდოდ, მაკდაესი "დეტროიტში" დაბრუნდება. ანტონიომ ეს კლუბი "პისტონზსა" და "დენვერს" შორის განხორციელებული გაცვლის შემდეგ დატოვა, როცა **ალენ აივერსონის** სანაცვლოდ "დეტროიტმა" **ჩონსი ბილაპსი**, ანტონიო მაკდაესი და **შეიხ სემბი** დათმო.

მაკდაესი რეგულარულ ჩემპიონატში თამაშის უფლებას თავისუფალი აგენტის სტატუსის მოპოვებიდან 30 დღის თავზე მიიღებს.

ჰოკეი

### ზეტერბერგს დეტროიტში ურჩევნია

"დეტროიტ რედ უინგზის" შვედი ფორვარდი **ჰენრიკ ზეტერბერგი** კლუბის ხელმძღვანელობასთან ახალი კონტრაქტის თაობაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს.

ESPN-ის ინფორმაციით, საქმე ეხება 7-9 წლიან ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ზეტერბერგმა წელიწადში 7-8 მილიონი დოლარი უნდა გამოიმუშაოს.

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი აგენტების ბაზარზე (შვედ თავდამსხმელს გაისად უმთავრდება ხელშეკრულება "რედ უინგზთან), ზეტერბერგს 9-10 მილიონი დოლარის ოდენობის ხელფასის მიღება შეუძლია, მაგრამ ჰოკეისტს "დეტროიტში" დარჩენა სურს და ამიტომაც თანხმდება შედარებით დაბალ ხელფასს.

### ახალი ამერიკული რეკორდი

"კაროლინა ჰარიკეინზის" დამრიგებელმა **პიტერ ლავიოლეტმა** ამერიკელი მწვრთნელებისთვის ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალი რეკორდი დაამყარა NHL-ში მიღწეული გამარჯვებების რაოდენობით. "ოტავასთან" გამარჯვება (2:1) მის კარიერაში 240-ე იყო, რამაც 43 წლის სპეციალისტს ამერიკის ნაკრებისა და "ტამპა ბეის" ყოფილი თავკაცის **ჯო ტორტოლერას** რეკორდის გაუმჯობესების საშუალება მისცა.

იმ ამერიკელ მწვრთნელებს შორის, რომლებმაც 200-ზე მეტ გამარჯვებას მიაღწიეს, აგრეთვე შედიან: **ბობ ჯონსონი** (234), **რობი ფტორეკი** (229) და **ჰერბ ბურკსი** (219).